



თოლია

ტალღა ალერსით ლოკავს ნაპირებს,
ცისფერ ნისლებში ცურავს თოლია...
ზღვაზე დარჩენას აღარ ვაპირებ,
შენზე ფიქრები გამომყოლია.

შენზე ფიქრები გამომყოლია,
სიზმრის ოდაში მინდა გხედავდე,
ცის სამრეკლომდე ო, რა შორია,
ჩვენ ვინ აგვიყვანს უკვდავებამდე?!

ტალღა კი ისევ ლოკავს ნაპირებს,
ზღვისფერ ნისლებში ცურავს თოლია...

ნორა ედიშერაშვილი

ISBN 978-9941-9946-2-3



ნორა ედიშერაშვილი
რაც მიყვარდა



ნორა ედიშერაშვილი

რას მიჰყვარდა



გამომცემლობა „მერანი“
თბილისი 2025 წელი

ბიოგრაფიული ესკიზი

ავტორი:

მადლობას ვუხდით ამ წიგნის მთავარ რედაქტორს, ქალბატონ მანანა გორგიშვილს, რედაქტორს, ქალბატონ ნინო როსტიაშვილს, ინგლისური ენიდან მთარგმნელს, ქალბატონ მზია კვირიკაშვილს – ლოურენსს, ტექნიკური რედაქტორი ბადრი პატარიძეს (შვილს) და მთელ შემოქმედებით კოლექტივს, წიგნზე ნაყოფიერი შრომის, მომზადების, ორგანიზების, თანადგომისა და გამოცემისათვის!

რედაქტორი	მანანა გორგიშვილი
რედაქტორი	ნინო როსტიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	ბადრი პატარიძე
დამკვეთი	თამარ ტყაბლაძე

დავიბადე კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში, აქვე მივიღე საშუალო განათლება. 1964 წელს დავამთავრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, პროფესიით ვარ სწავლული აგრონომი, აგრეთვე, ჟურნალისტი – მეორადი განათლებით. სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი თბილისის სამარკო ღვინის ქარხანაში, კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში, კასპის რაიონის კულტურის სახლის დირექტორად (სტუდენტობის წლებში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის სპექტაკლებშიც ვმონაწილეობდი), ხოვლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, კასპის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ, პასუხისმგებელ რედაქტორად.

ლიტერატურული საქმიანობა დავიწყე 60-იან წლებში, ჩემი ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, ნარკვევები იბეჭდებოდა საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე, აფხაზეთის და აჭარის ცენტრალურ პრესაში, რაიონულ გაზეთებში, ლიტერატურულ გამოცემებში, ავტორთა კრებულებში, ისრაელში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალში... გამოცემული მაქვს მხატვრული ნარკვევების წიგნი „დიდსაჩინოეს განძეული“...

ვარ საქართველოს ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირების წევრი, ნანა დავარ-შაბათაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი...

ნორა ედიშერაშვილი

მზის ქვეყანაში მოსული მგზავრი...

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთის რჩეულთა. მადლია, ამასთანავე ტვირთიც არის, - რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“ - ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე და ჩემდაუნებურად ამოტივტივდა ჩემს გონებაში ეს ფრთიანი გამონათქვამი, რადგან კიდევ ერთი ახალი წიგნის გამოცემაზე უნდა გიამბოთ - ნორა ედიშერაშვილის „რაც მიყვარდა“. ყოველი ახალი წიგნის დაბადება, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორი ჩვენი რეალობისა და ყოველდღიურობის აღწერით ცდილობს დაგვანახოს ის დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რაც ბოლო წლების ისტორიულმა ქართველებმა მოგვიტანა. კითხულობ და თითოეული ფურცლიდან უკვე განცდილსა და გადატანილ სატკივარს იხსენებ, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის თუ დღევანდელის ტკივილის, დამოუკიდებლობაგამოცხადებული სახელმწიფოს წინააღმდეგობების, პოლიტიკური კატაკლიზმების და ბოლო დროს რეალობაში გამეფებული მოუგვარებელი პრობლემების გამოძახილია:

თუკი გადავყრი ქაღალდზე სიტყვებს,
დამდაღავს ერთი ლექსის ხანძარი...
პატარა გულში დიდ განცდებს ვიტევ,
მზის ქვეყანაში მოსული მგზავრი...

სწორედაც „მზის ქვეყანაში მოსული მგზავრის“ ლექსად ქცეულ მის ფიქრებს, წიგნად აკინძულს ფურცლავ, კითხულობ და გაცეცხავს ავტორის დამოკიდებულება დღევანდელ რეალობასთან. სამშობლოს სიყვარულით, მისი ერთიანობის სურვილით, უკეთესი მომავლის რწმენით არის გამთბარი მისი ლექსები, რაც უფრო მეტად გვაცნობს ავტორს, უფრო მეტს

გვეუბნება მის შესახებ და მრავალ თემათაგან ამ ჯერზე უნდა გამოვყო ყველა ჩვენგანისთვის ნაცნობი ტკივილი, რასაც დაკარგული ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია:

გაუსაძლისი გახდა ტკივილი,
ქარი გვინუნავს ცხოვრების აფრას,
რა ბედენაა გულში კივილი,
თუ ვერ ვუშველეთ სოხუმს და გაგრას.

მხრებით საზიდი მძიმე ლოდია მისთვის, რიგითი ქართველისთვის, ღვთისგან ბოძებული სიკეთე... დიახ, გადაფურცლეთ წიგნი, გადაიკითხეთ და თქვენც გაიზიარებთ ჩემს ემოციას, რადგან ძნელია არ დაეთანხმო, არ გაიზიარო, არ განიცადო ის წუხილი, რომელსაც ასეთი გულისტკივილით გადმოგვცემს.

გაძლება უნდა ამ ქართველებს,
ზოგჯერ მოთმენაც დიდი განძია...
საქართველოსთვის დაჩეხილ შვილებს,
ზეანეული გლოვობს ვარძიაც...

თუმცა, ავტორის სევდიანობას იმედი ახლავს, იმის იმედი, რომ ეს ყოველივე დროებითია და საქართველო გაბრწყინდება. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის წინაპირობა, ყოველ განსაცდელს რწმენის სიძლიერით და ერთად დგომით შევხვდეთ, რათა მომავალ თაობას ღირსეული, გაბრწყინებული საქართველო დაუტოვოთ. ძნელია, არ აგაფორიაქოს, სულით ხორცამდე არ შეგძრას, ტკბილ-მწარე მოგონებები არ გაგიღვიძოს, არ ჩაგაფიქროს სიღრმისეული განცდით გადმოცემულმა სიტყვებმა...

ვიცი, შევმდგარვარ მიმწუხრის დაღმართს,
აღბათ, ოდესმე მოვალ ბალახად,
შენთვის არ ვიცი, მამულო, დაღლა,
ნეტამც, შენი მზე იქაც მანახვა!

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ხომ ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარკეა და არავის შეუძლია მასში თა-

ვისი ბუნება შენიღბოს. სწორედაც ასეთი ერთგული სარკეა წინამდებარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც ნათლად და ღიად იკითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება... ავტორი გვიზიარებს მის წინაშე მდგარ გადაუჭრელ, რთულ პრობლემებს და ცდილობს მკითხველი აიყოლიოს, რათა მის მიერ დანახულ ჩვენს თვალწინ გაჩაღებულ ღირებულებათა ქარცეცხლის განვლვის, ჩაქრობის გამოსავალი მოძებნოს. ყოველი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი დანიშნულება ხომ სწორედ ეს არის:

მომეძალა საფიქრი და საწუხარი,
თრიალეთი ბეჭზე იფენს თოვლის ნაბადს,
დამაქვს სული ნაზაფრი და ნაქუხარი,
რით ვუნამლო აფხაზეთის მტკივან მთა-ბარს?!
ვით აღვუდგე გადმოხეთქილ ზვავს და ღვარცოფს,
დაჭრილ მამულს ავაცილო ცხელი ტყვია?!
დაეძებენ დაკარგულნი... ერთურთს, ნაცნობს...
ამ სიმუხთლეს საქართველოს ჯვარცმა ჰქვია!...

ყველაზე რთული ცვლილებათა ეპოქაში ცხოვრება ყოფილა და ვცხოვრობთ უკვე ასე სამი ათეული წელია. ეს დრო ისტორიისთვის ალბათ არაფერია, მაგრამ თაობებს, რომლებიც ამ დროს დაიბადნენ, მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვურჩიოთ - შური, მტრობა და სიძულვილი უარყონ და ღვთიური სიკეთე, სიყვარული ეძებონ:

მე სიყვარულის ღმერთი ვინამე,
ეს ლოცვა თქვენთვის მინდა, იცოდეთ,
სიკვდილის მერეც მოვალ მინაზე
და ვუგალობებ მზეს და სიცოცხლეს...

მზეს და სიცოცხლეს უგალობს ქალბატონი ნორა, გადაშლი წიგნს, წაიკითხავ და დარწმუნდები, რომ ამ წიგნში ყოველი სიტყვა მოზომილად, დაფიქრებით აკრეფილი სტრიქონია, სადაც

ნათლად და გარკვევით ჩანს ავტორის პიროვნული რაობა და შინაგანი სამყარო. ნორა ედიშერაშვილის შვებად მომადლებული ლექსებია მკითხველის წინაშე, რომელთა წაკითხვისას შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს მკითხველს ბუნების საოცარი მოვლენების ავტორისეული უჩვეულო აღწერა, მეტაფორული მიგნებები და მხატვრული გაპიროვნებები:

ზამთრის ბაღებში თარეშობს ქარი,
და ოქროს ფოთლებს ქუჩაში სძინავთ,
ფიქრი მდევს მღვრიე, ცივი და მწყრალი,
ამ უღიმღამო დღეების მიმართ.
ვიცი, დროს მიაქვს თოვლი და წვიმა,
ცხოვრებაც ასე, ავი და ქუში...
მე კი უშენოდ ცხელ გზაზეც მცივა,
და ვერ ვიშორებ ტკივილებს სულში...

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ნორა ციკლში „მარადისობის ბინადარი“ დოკუმენტურ პროზას გვთავაზობს, სადაც საოცარი სიზუსტით, სიყვარულით, მოწინებით გვიყვება შეხვედრებზე გოგლა ლეონიძესთან, ანა კალანდაძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, ნინო ჯავახიშვილთან... „არსად ისე უხვი და სურნელოვანი შემოდგომა არ იცის, როგორც კახეთში. ძონისფრად აელვარდებიან ბრონეულის ხეები. ვაზის ფოთლებიდან იჭვრიტებიან ქარვა-თაფლიანი მტევნები. მიწაზე განოლილან საზამთროები, შუკიდან შუკაში გადადის ნესვის არომატული სუნი. არა, ქართლელს არ გაუკვირდება ამდენი ხილის ნახვა, მაგრამ, კახეთში მგზავრობა და ლხინი კახელებთან, სიამეს მგვრის. სხვა რამეც მიზიდავს აქეთკენ: - კვეტერა და ნეკრესი, ალავერდი და შუამთა, გრემი და იყალთო... გზა კი პატარძელზე გადის“...

დიახ, მკითხველმა ნამდვილად კარგი საჩუქარი მიიღო ნორა ედიშერაშვილის ახალი კრებულის - „რაც მიყვარდა“ - სახით.

ავტორისეულმა დამოკიდებულებამ და რეალობის შეფასებამ დღის სინათლე იხილა, მე კი ჩემი სათქმელი სწორედ მისი ლექსების მცირე ამონარიდების მოშველიებით მოგანოდეთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, მკითხველისგან იგი გულწრფელ აღიარებას და სიყვარულს მიიღებს.

მანანა გორგიშვილი

ჰოეი



რაც მიყვარდა

შემომიჩნდა ეს ფრთიანი სევდა,
სულზე მადებს მოუხეშავ თათებს,
შენზე ფიქრი რა ჯიუტად მდევდა,
მაფხიზლებდა თეთრად ღამენათევს.

დავენევი თრიალეთის ღრუბელს,
გავალვიძებ მიძინებულ გრძნობებს
მივეფერო მინდა, ჩემივ უბნელს,
გავუმაგრო გარღვეული ღობე.

ქარვის ვენახს მდინარესთან ვეძებ,
დასიცხულა მოქათქათე რიყე,
წლებმა ერთად ჩაგვიარა გვერდზე,
დრო ვერ შლიდა კლდეებსა და რიფებს.

მომენატრა ჩემი სოფლის ფერი,
ტირიფებთან მოსისინე ქარი,
შარაგზაზე ავარდნილი მტვერი
და მეზობლის გაღებული კარი.

დავინწყება როგორ შევძლო შენი,
ნანვიმარზე მოცახცახე სხივის,
ალიონზე ნაზი ბინდიც გშვენის
და ურმულის უჩინარი სიმიც.

თავთან მადგას ეს ფრთიანი სევდა,
სულზე მადებს მოუხეშავ თათებს,...
რაც მიყვარდა, ოცნებებში მხვევდა,
მაფხიზლებდა თეთრად ღამენათევს...

სამშობლოსათვის, მაცალე!

გავბედე, გამოგიგზავნე,
მოკრძალებული უსტარი,
შენთან მოსვლამდე ვიმგზავრე,
ღანვზე მცოცავი კურცხალით.

მაცალე, ღმერთო, შევადო,
მარადისობის სარკმელი,
ნათლის სვეტს ხელი შევახო,
მოვიხსნა გულის სარქველი.

მაცალე, მოვინახულო,
ქვათახევი და გელათი,
დროსთან მებრძოლი ხახული...
დამატკბე მათი ცქერათი.

ნუ მომკლავ, რომ არ მანახვო,
ლურჯი გაგრა და ბიჭვინთა,
იქ მივეფერო ბალახებს,
ვისუნთქო ზღვით და ფიჭვითა.

ერთი სიცოცხლე კი არა,
იქნება, მეტიც მაცალო,
საგალობლებით ფიალა
სამაჩაბლოში დავცალო.

მესტუმროს მუზაც, იქნება,
გავათბო მკერდის უბეში,
ერთად ავკინძო წიგნებად,
განცდა, რწმენა და ნუგეში.

ჩემი ცხოვრება ეს იყო,
ხნულში ჩავაგდე მარცვალი,
ერთი მლოცველი მეც ვიყო,
სამშობლოსათვის, მაცალე!

მ ა რ ტ ი

დამიჯდა გვერდით ცბიერი და კისკისა მარტი,
დანამქრულ ზამთარს თუ გააღებოხ დილის არილი;
ეი, ალქაჯო, გამიშალე ეგ შენი „კარტი“,
მითხარ, რით მოდის იმედების ლურჯი აპრილი.

მითხარ, რად იყო ეს ცხოვრება დიდი გამოცდა,
ქართულ მიწაზე ვით მოვიდა მტერი, ამდენი...
ამ ლაბირინთში გზა-ბილიკი რად არ გამოჩნდა,
ქარტეხილებში რად დაიწვა სულის კანდელი?!

დამიჯდა გვერდით ცბიერი და კისკისა მარტი!



ო, მაპატიე...

როცა გადიხსნის ზეცა საკინძეს,
ჯიქნებს დასცლიან ვაზის მტევნები,
დავითელი დროის უხმო ნაბიჯებს,
მზეს სიკისკასით ავედვენები.

შემეფეთება დილა ბილიკზე,
მთა გადმომწვდება მძიმე ხელებით,
თუ არ მოვძებნე „ვაჟას პირიმზე“,
ვით დავიგულო ქართლის ჩქერები?!

რას იჩურჩულებს მცხეთასთან მტკვარი,
თუ შენი თმოგვი არ მყვარებია,
ნახე, რამდენი ვარსკვლავი არის,
ამ ლაჟვარდებით გამხარებია.

ო, მაპატიე, მამულო, ჩემო,
თუ ვერ ვთქვი ისე, როგორც მეწადა,
მეხუროს ზეცის უღრუბლო ჩერო,
ერთი მეხოტბე შენი მეცა ვარ!

სიყვარული შენი მღევდა

სითბო მახლდა ჩემი ოდის,
ქარი ღრუბლის მანდილს ხევდა,
ალავერდში მივდიოდი,
ქვათახევი გამახსენდა.

ფარჩას მიგებს ზედაზენი,
ნიკორწმინდაც, ერთადერთი,
ანთებულა ჯვარი, ჩვენი,
დგას მცხეთასთან, როგორც ღმერთი...

და სადაც კი მივდიოდი,
ქართლო, ჩემო ტკბილო დედავ,
სითბო მახლდა ჩემი ოდის,
სიყვარული შენი მღევდა!



ნ ა ტ ე რ ფ ა ლ ი

*(თრიალეთში, რკონის მონასტერთან ნატერფალია,
ხალხს იგი თამარ დედოფლისეულად მიუჩნევია)*

კლდეკარს ქვეითად მოადგა თამარ,
მთები კერავენ ნისლების ქათიბს,
თეძამი იბნევს ქვახიდის ქამარს,
ყაყაჩოს ფერი ედება სათიბს.
თელიანს დადგეს კარავი ბრძენთა,
დუმს წამიერად ყველა საკრავი,
ერის ტკივილზე საუბრობს ღმერთთან,
თვით საქართველოს მზე და ვარსკვლავი.
ტაძარსა შიგან ფიქრი რიალებს,
საკურთხეველთან დაღლილა, თამარ...
და ნატერფალი რჩება თრიალეთს,
წლები ასხმული ქვახიდის ქამარს...

„ძ ლ ე ვ ა ი...“ დ ი დ ი

ჩამოიბერტყა ბუნებამ სიცხე,
ალარ ჩანს ღრუბლის იალკიალი,
მამულო, უმაღ მეხსნება სივრცე,
შენი „დიდგორის“ შორი ციალით.
ჩაგვიდგა ქართლში მტრის სპა და ჯარი,
გადაგვიბუგა ტყე და მინდორი,
დასაგმანია სამშობლოს კარი,
წინ გვიდევს ბრძოლის ერთი „დიდგორი“...
წუხელ ფიქრებში ვათიე ღამე,
უფალო, ლოცვით მუხლებსა ვხრიდი,
სხვა „საკვირველი“ გვითხარი, რამე,
გვანახვე კიდეც, „ძლევაი...“ დიდი!

ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი...

ახლა მოდაში თეთრი ლექსია,
მამულზე ოდებს წერენ მგოსნები,
ენა ქართული მოდის მესიად,
ვით სასწაული, ჩვენი ოცნების.
დიდგორში მღერის ბიჭი, ქართლელი,
ბანი მოსძახეს ხეთა კვირტებმა...
ღმერთო, გვიმრავლე აკვნის გამთლელი,
დალოცე ერის გამოღვიძება!

გ ა ნ გ ა შ ი ს ზ ა რ ი

დამძიმდა ბილწთა ცოდვილი სული
და ბორგავს მიწის გადაშლილ მკერდზე,
ფიქრი მღლის მძიმე, ზღვარგადასული,
მტრობით გახლეჩილ მამულის ბედზე.
ალარ მაოცებს სიშლეგე ქარის,
შემოვარდნილი დილა-დილობით,
მე ერთგულების მომყვება ვალი,
შეუბღალავი შენი შვილობით...
სადღაცას, ახლო, სუნია დენტის,
ვიღაც გვანიშნებს უხეშ ძალაზე,
განგაშის ზარი სივრცეებს ერთვის
და ქართველის ყველა კარი ჩარახეთ!
ვით მივანვდინო უფალს სარჩელი?!
ნეტავი მომცა ფრთები, საფრენი...
სამშობლო არის გადასარჩენი,
გადავიწყეთ სხვა... ყველაფერი!

ის აგვისტო

ჩაგვიქროლა ამ ზამთარმაც, მგონი,
ვით წასულა სხვაც, მრავალი, მსგავსი,
ცასთან მიდის თეთრი ნისლის ბოლი...
მთებზე ხოხავს ხაკისფერი ხავსი.

ჩამომივლის, ალბათ, ზენა ქარი,
წვიმაც,
(ღრუბელს მძივებივით სცვივა),
დახშულია ჩემი გულის კარი,
სულშიც ახლა თოვლია და მცვივა.

ის აგვისტო...
მტერს ძალღივით მისევს,
დამიფლეთოს მიწა, „ერთი ციდა“,
ყურთან მადგას ომის ექო ისევ
და სიმშვიდე ჰაერივით მინდა.

არ გამოჩნდა არსით ხსნა და შვება,
მწუხრისფერი მოსდებია სერებს;
მამულს უნდა გასაჭირში შველა,
მოფერება ამ ნახანძრალ ველებს!

.....

ის აგვისტო...
მტერს ძალღივით მისევს!..

შენი მზითა და მთვარიტა

შვილს - ბადრი პატარიძეს

რა ვქნა, ვერ შევიყვარე
თმაში თოვლის ფიფქები;
ცოტა სითბო ვიკმარე,
ბევრი - მძიმე ფიქრები.

ლანგრებით მორთმეული
იყო წლები, აშარი,
უკან დარჩა წყეული
ეკლიანი გზა-შარა;

გაქრა შავი სიზმარი,
დანავსული ცხოვრება;
სევდა - გულის ხიზანი
ნულარ განმეორდება!...

ჩემი ქოხი ინთება
შენი მზითა და მთვარიტა. . .
რა ვქნა, თმები ირთვება,
თოვლიანი ქარიტა...

წვიმა რომ არა...

წვიმა რომ არა,
დავივლიდი ალბათ, თრიალეთს,
მზით ნამთვრალევი,
ლერწმიანში დავიძინებდი,
ჩამოჯდებოდა მთის მუხლებზე
მთვარე, ბრიალა,
დაეხვეოდა ყელს ფათალო-
მწვანე მძივები...
წელამდე სათიბს, ნაწვიმარში,
მივარღვევ კენტად,
ნაფერებ ტანზე, კაბას იშრობს
ყვითელი ძიძო...
ო, როგორ მინდა,
როგორ მინდა, მიგულო შენთან
და თრიალეთში არ დამნაცრო,
მამულო, ვინძლო!.



შენთვის, მამულო!

დამსკდარი მხრებით, დაღლილი გულით,
საუკუნეებს ნთქავენ ლოდები...
ვიღაცამ თრთოლვით გატეხა პური
და მოიტაცა მთვარის გოდება;
ვიღაცა ინვის, ვიღაცის ეშხით,
ლამე ილოკავს ნამიან ტუჩებს,
სიკეთით, რწმენით ავსილი პეშვით,
დავივლი ჩემი ქალაქის ქუჩებს.
ვდგავარ ცხოვრების დაკიდულ ბონდზე,
მზის სირჩას სვამენ ლექსის ლოთები...
შენთვის ვიმღერებ, მამულო, ოდებს,
თორემ... გულგრილად თვლემენ ლოდები!

კვიტერა

მე მოვდიოდი შენსკენ ოცნებით,
არ მიძებნია ჟღალი ცხენები,
მომაცილებდნენ ხეთა ფოთლები,
ალერსს მანვდიდნენ მწვანე ხელებით.

იყო ცხოვრება დიდი აღმართი,
შენ მალღებოდი, ჩემო კვეტერა;
ავბედით დროზე სიტყვაც არა თქვი,
მაგ ბებერ კედლებს ისეც ეწერა.

ენერა წარსულ დღეთა ღაღადი,
ქალ-ვაჟთა როკვა, ცხელი ფლოქვები...
ეხვია ციხეს თეთრი ბაღდადი,
და ჩერდებოდნენ ღრუბლის ბოლქვები.

ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ი

„1386 წელს, თემურ ლენგის ურდოებმა მონასტერი დაარბიეს, იქ შეფარებული საეკლესიო პირები და სოფლის მცხოვრებლები, რომლებმაც უარი თქვეს ქრისტიანობის უარყოფაზე, ერთად გამოკეტეს და ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს“...
საქართველოს ისტორიის ფურცლებიდან.

შეასკდებიან ქსილის ქარები,
აქ მწუხრისფერი ბევრი ხევია....
მოთქმითა რეკენ ტაძრის ზარები,
წინარეხს იქით ქვათახევია.

ვერაფერს მეტყვის დამწვარი სული,
სისხლი სდის ყველა ჩაფერფლილ სხეულს...
შემზარავ ამბავს ჰყვება წარსული,
სხვა ღმერთი ჰყავდა იმ ჯალათს, წყეულს.

და ლოცულობდნენ ბერები გზნებით,
ცეცხლი ლოკავდა გუმბათის ფასადს...
დულაბად დარჩა მლოცველთა ძვლები,
რწმენა - ჩამქრალი სიცოცხლის ფასად.

წლების მეწყერი მარხავს ჯალათებს;
ქსილისთან ბევრი მლაშე ხევია...
მარადისობა სადაც ანათებს,
ეს ხელთუქმნელი ქვათახევია!

კ ი დ ე ვ რ ა მ დ ე ნ ი ?!

ვიდრე ხმას ვუწყობ წვიმების სიმებს,
ქარი ქსილისზე ნისლებს დავარცხნის,
მზე ნაწვიმარზე გამიშლის სხივებს
და დამლელ დღეებს თვალწინ ამაცლის.

გამომეცლება ფეხქვეშ საყრდენი,
ნუ მეტყვი სიტყვას, რასაც კი ფიქრობ;
გატყდება ღამე კიდევ რამდენი,
სანამ საწუთრო ლაჟვარდებს მიქრობს?!...

.....
ვიდრე ხმას ვუწყობ წვიმების სიმებს,
ქარი ქსილისზე ნისლებს დავარცხნის...

ბ ა ხ ტ რ ი ო ნ თ ა ნ

შორს, ბახტრიონთან....
გახუნდება ღამის ქულაჯა
და კლდეთა მხრებზე,
ნისლს დავარცხნის
ქარი, თითებით,
შემოფრინდება სულში დილა,
როგორც დურაჯი
და გაზაფხულის უნაბისფერ
მზით მოვირთვები...
შორს,
ბახტრიონთან...

როცა ღმერთია ჩემთან

ამძიმებს ქალაქს დამღლელი ფიქრი,
უხილავ მტერთან შეხვედრა უცებ;
ახლავს უენო ტკივილი სიმწრის,
ქართან დარჩენილ ღამეულ ქუჩებს.

გადაგვიარა ბევრმა სტიქიამ,
და უთვალავი ომიც გვინახავს,
იმ თავგანწირვას... რაც შეგვიქია,
ძვირფას განძივით გულში ვინახავ...

თავთან მადგია ჟამი, მუხთალი,
ვარ ოცნებებში გამოკეტილი,
თვალზე მაშრება ცრემლის კურცხალი:
ვინ დავიგულო შემწე, კეთილი?!

მოვიხსნი ალბათ, ბედის მარწუხებს,
სულში იმედი ისედაც წვეთავს...
მძაფრი განცდები ვით შემანუხებს,
როცა ღმერთია მამულო, ჩემთან!



გ ა გ რ ა შ ი პ ა ტ ა რ ა ს ა ხ ლ ი ა

მხატვარ ანდრო პახტაძეს

აქ მზეც კი გვაოცებს თავისი ანცობით,
სხივებით თამაშობს ზღვაზე,
გაგრაში პატარა სახლია, ნაცნობი,
ოთახი - ფერებით სავსე.

ო, ამ სახლს ვერავინ ჩაუვლის გულგრილად,
მინდა, ხალისით მოვიდე;
ამ სახლში ულექსოდ ნურასდროს ნუ მიხვალ,
მხატვარი გიწყენს, თოლიგე!

აქ ერთ კაცს იცნობენ კაცური კაცობით,
შეგხვდებათ ღიმილით გზაზე...
გაგრაში პატარა სახლია, ნაცნობი,
სიცოცხლის ფერებით სავსე...

1967 წელი, გაგრა.



ნ ა რ ნ ე რ ა

ანა კალანდაძის წიგნზე

მზის „ქოხში“ ცხოვრობს პოეტი ქალი...
მზის „ქოხში“ ლექსი ღმერთის ტოლია...
ქივქივით დადის აშარი ქარი,
ჰკიდია ღამე ზღაპრულ გოლიათს.

ფარჩის მანდილით შემოდის მთვარე,
მეფლისს მართავენ შმაგი მუხები,
აღებს ზეფირი ნალკოტის კარებს,
მაქმანს იქსოვენ თეთრი ნუშები.

ცვივა ქალაღდზე ოქრო და ლალი,
სტრიქონს გრიგალის ძალაც ჰქონია...
მზის „ქოხში“ ცხოვრობს პოეტი ქალი
და ლექსი მისთვის ღმერთის ტოლია...

1975 წელი.



ჩ ა დ გ ე ბ ა ზ ა მ თ რ ი ს ქ ა რ ბ უ ქ ი

წუხელის მთვარემ ნამგალი,
სარკმლის რაფაზე დაჰკიდა...
ვერ მოგიტანე სამხარი,
ვერ დავტკბი შენი ნახვითა.

მომძალებია სურვილი,
აფეთქებული აპრილის,
ჩვენი ხე(ვ)ხმელას წყურვილი,
მადლი - პურის და მარილის.

ხოვლეში* ახლა ჩიტები,
ნისლიან დღეებს კენკავენ;
იქნება როგორ გჭირდება,
სიზმრის კარიბჭეს ვერ გაველ.

იწვის იმედის პატრუქი,
ქრებიან მწუხრის ფერები...
ჩადგება ზამთრის ქარბუქი,
მოვალ და მოგეფერები!

.....

* ხოვლე - სოფელი ქართლში

მ ა რ ო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ს!

წარწერა ნანა ღვინეფაძის წიგნზე „შარავანდედი“

ეს ღამეც გატყდა ფიქრთა სრბოლაში,
დავხურე წიგნის ბოლო ფურცლები...
შემლილი ქარის უხმო გლოვაში,
ღანვზე შილიფად დასხდნენ კურცხლები...

ტაბახმელასთან ვეძებ ნატერფალს,
მაცილებს დედის მოთქმა, გოდება;
გარდასულ დღეებს მრუდე რად ერქვა,
ან ეს ტკივილი რად მეორდება?!

მამულისათვის თბილისის კართან,
მკერდდაფლეთილი იწვა ქალწული...
იმ თავგანწირვის ვალი გვემართა,
ჩამოვირეცხეთ ცრემლი წარსულის.

რა უნდა ბედკრულ სიკვდილს მაყარში?!
ფერფლს ვაცლი ხსოვნის ციცქნა ნაღვერდალს,
ტაბახმელასთან მარო მაყაშვილს
ვეძებ და ყვავილს ვაყრი ნატერფალს!..

წლებია ისე ჩავლილი

წუხელ ამინდი გაფუჭდა,
ცას ეკრა ღრუბლის ნაჭერი,
იყო ჯირითი ქარბუქთა,
სცრიდა ღვთის დიდი საცერი.

არ ენთო მთვარის ნათურა,
მზესთან არ ჰქონდა შეხება,
ტყის ფერიებთან გართულა,
„ცის გახსნა“ ვისაც ეხება.

ამ დილით ხრამზე ჩავივლი,
ვიღაცამ დადგა ფაცერი,
წლებია ისე ჩავლილი,
ვარ, როგორც შოლტით ნაცემი!



ფერი იცვალეს

გზააბნეული ქვითინებს ქარი,
მუმლის ღრუბელი წვიმად იფშენება
და შემოდგომის ნებით და ძალით,
ფერი იცვალეს მწვანე მინდვრებმა.

ვიცი, ამამღვრევს დროის სიავე,
სხვა გრიგალები შემომხვდნენ გზაზე,
პირი გაეხსნა ძველ ნაიარევს,
„მიღეთი“ დარდი მაყრია თავზე.

სულს ვერ მოვარგე მტკიცე ჯავშანი,
ხელში მიქრება წლების ნადავლი;
გარეთ მიცოცავს ფიქრი, აშარი
და მიბრუნდება გულზე გადავლით.

ყოფა ასეთი სიზმარსაც არ ჰგავს,
თუმც, კი ცხოვრება სხვაგვარად ღირდა...
შემკრთალ ღამეებს უაზროდ ვკარგავ,
სიზმრის „ნაცვალი“ ამიტომ მინდა!..



საით გარბიან?!

იწვის ქუჩაში აგვისტოს ხვატი,
შებმია სიცხეს როკაპი ქარი;
გაუნყრა ყველა მოქმედი ხატი,
წაშალოს უნდა სავალი კვალი.

საით გარბიან ნეტავ დღეები,
ვის დაუყენეს განკითხვის ჟამი?!
ჩამიწყეს გულში დარდის შრეები,
დასაჯეს ფიქრში ნათევი ღამე.

მე, სილამაზის ტრფიალს და უძღებს,
შემინდობს ღმერთი, ლოცვით მოსილი...
წლობით დაგროვილ ტკივილებს ვუძღებს,
სიცოცხლისათვის ერთხელ მოსული!...



რა ხანია დაყვავილდა

ჟინჟულავს...
 ცამ მოწველა ღრუბლის ცური,
 თქორი წვიმა გადაუვლის გამშრალ ხნულებს;
 ვინ შემეცნოს ჩამქრალ დღეთა განაცდური,
 მზის ტახტრევანს ვინ მიათმევს ნამეხ გულებს.
 მოლოდინი გაეკვრება თმენის ჯვარზე,
 ეს დღეც წავა, დრო-ჟამი ნთქავს წლების მარაგს;
 ბედისწერა დამენევა სადმე, გზაზე
 და მომცელავს, როგორც კორდის მწვანე ბალახს.
 რა ხანია დაყვავილდა ფურისულა,
 მაგნოლიას... ტანს უძარცვავს ქურდი ქარი;
 ჩქარა, თორემ,
 ამ ქვეყნიდან წავალ, სულაც,
 მოდი, ვიდრე,
 ეს სურვილი ჯერაც არის!



ს ა მ თ ა ვ ი ს ი

მზის ღიმილით მიხმოვს სამთავისი,
 მივალ...
 ფიქრმა ზეცა შეიერთა;
 მე სიჩუმე მეძახოდა მისი,
 სიდიადე - მარადიულ ფერთა.

ჩუქურთმაში დამეკარგა თვალი,
 რულში სუნთქავს წარსულ დღეთა წყება,
 აქ რომ დავრჩე სხივებივით გარეთ,
 ფერფლს მომაყრის ცივი დავიწყება.

უკვდავება ენთო სამთავისში,
 ფრესკებიდან ვიგრძენ ძარღვის ფეთქება...
 მე სიჩუმე დამედევნა მისი,
 სიდიადე - მარადიულ ფერთა!



შ ე ნ ზ ე ფ ი ქ რ ე ბ ი თ

ქარმა დაგავა ნუხელ ქუჩები,
მწუხრის ფარდები ღამემ დაკეცა,
მკათათვის ღადარს თუ გადვურჩები,
ვერ გავექცევი თვალებს, ნაკვერცხალს.

ვერ დამიჭერენ გრძნობის თასმები,
(ვიცი, გახდები ჩემი გოლგოთა);
შენზე ფიქრებით ღამენათევი,
გადაგეყრები სადმე, გომბორთან.

ახლა კი...
ლოდინს კენკავს ბელურა,
ფოთლებში ვახვევ იმედის ხვითოს,
მზის არტახებში ბორგავს „ლექურა“
და ვეფერები მონყენილ სტრიქონს.



სამშობლოვ, ჩემო!

გაშლიან მთები ფოშფოშა* ნისლებს,
და ოქტომბერიც ჩამოყრის ფერებს;
დასცვივათ ხეებს ფოთლები ისევ,
როკავ ქარებთან მგზავრობენ მერე.

მამულზე ფიქრი არ მიმთავრდება,
სიზმრებში ვცურავ და ვიკარგები...
ცხოვრება მოკლე... დამიმთავრდება,
დაეშვებიან მწუხრის ფარდები.

ვით გამოვტაცო თავი სადარდეთს,
მოვძებნო სულის უღრუბლო ჩერო...
ვინძლო, სიცოცხლე ისე დამთავრდეს,
არ მოგეფერო, სამშობლოვ, ჩემო?!

.....



*ფოშფოშა - თხელი ნისლი.

ჩემამდე აღარ მოდიან

შემომეჩვივნენ ყინვები,
ქარებს შეკვირვან ძმასავით,
ფიქრის კალოზე ხილვები,
ჩავშალე პურის ძნასავით

უშენოდ წუთიც ლოდია,
მკერდს ჩაწყობილი შრეებით...
ჩემამდე აღარ მოდიან
ალუბლისფერი დღეები...

ის ჩვენი გზები ერთმანეთს
ყვავილობისას დასცილდა...
გაგიშლი გულის პერგამენტს,
ტკივილი სამანს გასცილდა...

წლები წაგვშლიან უკვალოდ,
/იორლა ცხენით მიდიან/...
შეგვინდე ცოდვა, უფალო,
განგება შენი დიდია.



დაწახვინი

ზედაველაზე ქარები,
გლიან ქვებსა და მინდორს;
რეკავენ უფლის ზარები,
მტერი თუ მოდგა დიდგორს.

ქართველის ნაწილი სხვისია,
მინით, ზეფირით, ხვატით...
მთის წვერზე დანახვისია,
„ცის კიბითა“ და ხატით.

აქ მთელი საქართველოა,
ზოგჯერ დაშლილი დროში...
წინ გასატანი ლელოა,
ხუთჯვარიანი დროში.

ტაძარში რწმენით მიდიან,
მამულზე ფიქრით, ლოცვით;
ავალ, სურვილი დიდია,
ფეხით, კიბით თუ ცოცვით.



მოლაღური

(ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნას)

კაბადონზე მთვარე გაშლის დიადემას,
ნაიშლება ღამის ბნელი ყიამეთი,
კავთისხევი ნათლის სვეტით დიადდება,
სულს განაბავს რულდაკრული თრიალეთი.

ცის გუმბათზე მოფრინდება მოლაღური,
ლერწმის ტკბილი სალამური ამღერდება,
მგალობელი, უფლის ხელით მონათლული,
იმ ჰანგებით არასოდეს დაბერდება.

ზეფირს მიაქვს ხმები ტკბილი, ახლობელი,
შეიხსნება ღრუბლის ლეგა ყაბალახი,
დგას ირემი, ჰანგის დიდი მწყალობელი;
მთიდან ბარში ჩამოსული საბალახოდ.

ჩამომარცვლის როცა ღამე მძივებს, გიშრის
და ფრთოსნებიც თვალებს მილულავენ, მძინარს,
ვაჰმე, იმ მგალობელ ომარ კელაპტრიშვილს,
სალამურით მკერდზე ცის „პარნასში“ სძინავს!



იმ ერთი ლექსით

არარაობის ქონება,
სულის მწენავი ლოდინი,
ეს დაფლეთილი ცხოვრება,
ბეჭზე დამანვა ლოდივით.

რა მეთქმის, თუკი მიჭირდა,
კაცის ცნობა და ფერება,
იმ ერთი ლექსით მილხინდა,
გულით რომ დაინერება.

თვალეებში ნისლებს ვიშორებ,
არყოფნის მზარავს ფიქრები,
დარდს ავსებს შენი სიშორე,
ჭორებსა ქსოვენ ჭინკები...



...ნ ა ვ ა თ ა ვ ი ს ი თ!

ამოვახვიე ცხოვრების შულო,
დროს ნაჰყვა ბევრი აის-დაისი...
ვით შემაჩვიე იარას, სულო,
რად არ დამიცხრა ეგეც თავისით.

ვიცი, ნამექცა „ბნელში“ სხეული,
მომდევენ წლები დაღლილი, მძიმე...
შემომრჩა სევდა ვერდაძლეული
და მკერდში ვაბამ დაწყვეტილ სიმებს.

ცხოვრება ისევ დაიხვევს შულოს,
დროს გადაჰყვება აის-დაისიც...
ეს იარები დამიცხრე, სულო,
ვიდრე სიცოცხლე წავა თავისით!..



ს ე ლ ე ბ ი

ვერ მოგიმზადებ მყვირალა ფერებს
და არც დამჯერე პირობას გაძლევ...
მე ვეფერები მინიან ხელებს,
ნაზია, მაგრამ კლდესავით გამძლე.

ამ ხელებს ესმით ჩურჩული ვაზის,
გაითავისებს მინდვრის ანამნებს...
ხელები მშველის მათოვს თუ მანვიმს,
ან მარტოობა როცა გადამრევს.

ხელებს ვერ ნახავთ უქმად და მშვიდად,
კვირტებს გაუთბობს ნაზამთრალ ხეხილს,
დედის გულივით ნაღდი და წმინდა,
ხელები სძლევენ ყელგამშრალ ხერგილს...

ჩამოვიბერტყავ უმწიფარ ფერებს
და არც დამჯერე პირობას გაძლევ,
მე ვეფერები მინიან ხელებს,
ნაზია, მაგრამ კლდესავით გამძლე.



მ გ ლ ე ბ ი ს ა რ ე ნ ა

*„ვდიოთ მაცხოვარს რუდუნებით და ორ ილიას“...
რეზო ამაშუკელი*

ცხოვრება გვექცა მგლების არენად,
კაცის ღირსება დასცეს ბეჭებზე,
„ჩალის“ ფასი აქვს მწერლის გავლენას,
გამორიყულა გაღმით... მეჩერზე...

როკავს სიბილწე და ფუფუნება,
ნაძირალების მდიდრულ მეჯლისზე,
ცინიზმი ახლავს მათ მყრალ ბუნებას,
მჭლე მონყალებას თუკი ველირსეთ...

არ ვიცი, მეფე ვინ გვყავდა ძუნწი,
ან სული ასე როდის ბლაოდა...
ნაძრახი, შავი ვარდები უწინ,
საქართველოში ვისთვის ჰყვოდა?!..

თუმც, მგელკაცები ლარებს ითვლიან,
კარს გვიხტებიან, როგორც ავაზა...
„ვდიოთ მაცხოვარს...და ორ ილიას“...
უფალი განსჯის მრუდს და ავაზაკს!..

1996 წელი, მარნეული, იმირი.

მ ც ხ ე თ ა შ ი

(გოგლა ლეონიძის ხსოვნას)

ქართლში გადანვა მკერდსავსე მთვარე,
მინის სიჩუმე დააკვდა მცხეთას,
„ოლემ“ გაუძლო მოვარდნილ ქარებს
და არ გადაჰყვა ტალღათა წყვეტას.

ფიქრებში ისევ იძინებს ნუში,
ქალაქის თავზე ანთია ჯვარი;
გოგლას ეძებდა არაგვი გუშინ,
გულდათუთქული ჩიოდა მტკვარი!..



სანამ დროა!

*„ამაოება ამაოებათა ყოველივე ამაოა“...
ეკლესიასტე*

თუკი „ყოველივე ამაოა,
არს დასაბამი და დასასრული“...
შემოდი, ჩემს ქოხში, სანამ დროა,
ვიდრე სიბერეა განაბული.
შემოდი, მოხსენ დუმილის რიდე,
ქვეყნად ჩვენი მოსვლა გავამართლოთ.
იქნებ, სურვილი ორივეს გვჭირდეს,
იქნებ, ცხოვრება ხალისით ვმართოთ.
და თუ „ყოველივე ამაოა,
არს დასაბამი და დასასრული“...
შემოდი ჩემს ქოხში, ახლა დროა,
გულზე დავინვინოთ გაზაფხული.



და ის წარსულიც...

ყინვა გუაშით მიხატავს სარკმელს,
ზეფირი ნისლებს წენავს და ართავს,
შენ ვინ მოგიტანს უჩემოდ სათქმელს,
თუ მოლოდინი დაახრჩობს ზამთარს?!

დასავიწყებელს დრო შთანთქავს, ალბათ,
ველარ გავტეხავ წყვდიადის ტიხარს;
შეგვინდობს ღმერთი, ცოდვილს და მართალს,
და ის წარსულიც ამიტომ მიყვარს!



ცისკრის ნათელთან

აუწყვეტია თებერვლის ქარონს,
 ღრუბლის ქულაჯა აცვია ღამეს,
 დაშრება ალბათ, ცხოვრების წყარო,
 წარსულს მიმწუხრის ფერები რთავენ.

შენ ვერ გაიგე სიკეთის ფასი,
 და მიმზადებდი ამისთვის სასჯელს;
 დარდი და ჭმუნვა პეშვებით მასვი,
 მიტოვებს ყინვა მოხატულ ფანჯრებს.

ახლა არავინ არსად მიმელის,
 მხრებს მიმძიმებენ თმენის ხუნდები;
 იმ განშორების დღით, საშინელით,
 ჩემს ოცნებებში ხსოვნით ვბრუნდები.

მიჰყვება ღამე თებერვლის ქარონს,
 ხრამის სიღრმეში ჩაცურდა მთვარე...
 ცისკრის ნათელთან შეხვედრას ვჩქარობ
 და ლოცვით ვაღებ იმედის კარებს..

1995 წელი, მარნეული, იმირი.



რკონში

და ეს ზაფხულიც შორეთში მიდის,
 „სინათლისა და სიმწვანის დედა“,
 აღარც რა ქარი, ჩუმი და მშვიდი,
 შემომეჩვია უჟმური სევდა.

სხვა სურვილები მიმღვრევენ ფიქრებს,
 სულის სავანეს ვეძებ და ვნატრობ,
 ცბიერ მირაჟებს გავექცე, იქნებ,
 გავითავისებ ნისლიან ტატნობს...

ხილვებში თეძამს კლდეკარში მივდექ,
 შვენის „ნოხები“, რკონში ქვახიდას,
 საკურთხეველთან საკმეველს მიბნევს,
 ვარსკვლავთა ცვენა ცის გუმბათიდან.

მეგზურობს ზღაპრულ ბუნების ხიბლი,
 ლაჟვარდი ზეცის თეთრი თაღები,
 ტყის შარი-შური იღვრება ირგვლივ,
 მზის მოლივლივე სხივთა ტალღებით.

მარადისობის მცველნი არიან,
 ღვთით კურთხეული კლდეკარის ბჭენი...
 კვლავ დაიფარე, მზეო, მარიამ,
 წილხვედრი შენი, სამშობლო - ჩვენი!

ქართული გენით...

ნონა გაფრინდაშვილს

ვერ გაახუნა ჟამთა სვლამ,
დაუვინყარი ფურცლები,
ის საჭადრაკო აღმასვლა,
გამარჯვებულის კურცხლები.

სპორტსმენი ქალის სახელით,
ქართული გენით, მანდილით,
ხუთგზის კვარცხლბეკზე ახვედი,
აგიხდა გულის ნადილი.

დედოფლის გვირგვინოსანო,
სამყაროს გზებზე იარე;
სინმინდის დიდო მგოსანო,
ბევრჯერ გვაჩუქე სიამე.

სამშობლო განსაცდელშია,
ჩარღვეულა და ჩაშლილა.
ხსნა და იმედი ერშია.
„დიდგორი“ აქვე გაშლილა.

თუ ინტელექტი ძვირდება,
სიმშვიდე როგორ მიშველის?!
ალიოხინიც გვჭირდება,
ნიმცოვიჩიც და ფიშერიც.

დაძრწის ლალატის აფთარი,
ხარობს მზაკვართა სეფასთან,
ეგ სულის ცრემლი, მართალი,
ბაჯალლო ოქროდ შეფასდა.

დუმილით როგორ მოგმართო,
ერთგულებაშიც ღმერთი ხარ;
„ქალთა ჭადრაკის მონარქო“,
მარადისობას შერთვიხარ.

არსად, არასდროს შეგშლია,
უფალთან გქონდა ნათლობა...
რაც სიკეთეა, შენშია,
ყველაფრისათვის მადლობა!

დედას

დაგთოვია, დედა, თმებზე, ვიცი,
ფიქრში დნები შენთა შვილთა ბედზე,
სიყვარული შენ გვასწავლე მიწის,
ვარდის წყალიც შენ გვასხურე მკერდზე.

როგორ დათვლის კერა ფრთიან მართვებს,
გვზრდიდა შენი ქირმანშალის კალთა,
შენი ვალი... ო, რა დიდი გემართებს,
ვერ დაგიგეთ ფიანდაზი კართან.

სათმეულის მარგალიტით დავალ,
მსურს მოგიძღვნა, მაინც, ვერა ვბედავ;
უფრო მეტად გადაგიხდი ამაგს,
შვილზე ფიქრით დავინვები, დედა!...

1962 წელი

ღრუბლები ქსილისზე

(ესკიზი)

გადაუვლიან ქსილის ღრუბლები
და სველდებიან თივის ზვინები;
ვით მოვისმინო ის საუბრები,
რას უყვებიან კლდეებს წვიმები.

ზეცას ჩამოაქვს გუმბათის ქერი,
სველ მავთულებზე სხედან ჩიტები;
ჩამოიბერტყა ბუნებამ ფერი,
შენ კი არ იცი, როგორ მჭირდება...

დღეა დაღლილი, წვიმაა გარეთ,
ღრუბლის მართონს არ უჩანს ბოლო;
რა სტკივათ ნეტავ, ავარდნილ ქარებს,
სად მიდის ცამდე აჭრილი ბოლი?!..

რაც გუშინ იყო, დღესაც ასეა,
ჩამოიცალა წვიმის ბოთლები...
და მიტოვებენ მრუმე ხასიათს,
ქუჩის თქეში და სველი ფოთლები.



და სურვილებსაც...

შეიკერავენ ქლოროფილის კაბებს ხეები
და სურვილებსაც გაზაფხულზე შეხსნიან ღვედებს;
მაისის წვიმებს დაუცდიან მშრალი ხევეები,
მზის საგალობლებს შევაგებებთ სიცოცხლის ღმერთებს.

წლის ყველა დროში დამემგზავრა მრუმე სიცივე,
მე განშორებაც ამოვარდნილ გრიგალს ვადარე,
ხასიათს მიცვლის დარჩენილი წლების სიმცირე,
შენთან შეხვედრის მონატრებას მაინც ვატარებ.

წარსულსაც ალბათ, დავიწყების მოედო ხავსი,
ალარ მაკვირვებს, რატომ ვდგავარ ნანგრევის ჩრდილში,
ნატკენი სული ისევ ისე იმედით მავსებს
და არ მანუხებს სიყვარულის დაკარგვის შიში.

შეიკერავენ ქლოროფილის კაბებს ხეები
და სურვილებსაც გაზაფხულზე შეხსნიან ღვედებს..



თეძამაზა, ფონით...

გავითავისებ ამინდებს,
ცერზე შემდგარი ვხვდები,
უშენოდ როგორ წავიდე,
ვძებნო მამულის გზები?!

ბილიკებს შევყვე თრიალეთს,
ჩავმუხლო ძლიერ ხატთან,
სად ცოდვა-მადლი ტრიალებს,
ძველი კლდეკარის კართან.

ცისკრის ვარსკვლავებს შევწვდები,
თეძამს გადავალ, ფონით,
ღვთისა და კაცის შეწვევით,
მზეც არ გვექნება შორი.

საწუთრო გულზე მაბიჯებს,
წლების სიავეც მეძმო;
დავითელი დროის ნაბიჯებს,
რომ შენთან მოსვლა შევძლო!...



გ ა ნ მ ე ო რ დ ე ბ ა

ეს წელიწადიც ჩამოყრის დღეებს,
წავა სალამო, რძისფერი დილა...
კვლავ ჩარეცხავენ წვიმები კლდეებს,
კორდის ბალახებს დააფენს ჩრდილად.

განმეორდება, რაც იყო წინათ,
რაც ბუნებას სურს, ასე თუ ისე...
პანია თესლებს ხნულებში სძინავთ,
რომ გაზაფხულზე მოვიდნენ ისევ!...

.....
ეს წელიწადიც ჩამოყრის დღეებს...

„ბ ა რ ხ ა ტ ი ს კ ა ბ ი თ...“

ცა ჩამოჰგავდა „ბარხატის კაბას“,
ენტო ვარსკვლავთა გირლიანდები...
ეფინა მინას ყვითელი გამა,
მთვარეს უყეფდნენ ღამის ლანდები.

მე სული ვაწრთვნი გულის ქურაში
და მხრებით ვზიდე სევდის იარა...
დამღლელ ფიქრსა და უთქმელ ზრუნვაში,
ბევრჯერ გრიგალმა გადამიარა...

ცა ისევ შეცვლის „ბარხატის კაბას“,
ბოლო ვარსკვლავიც ჩაიქრობს ციმციმს,
მზე... სხივთა თოკებს მინაზე აბამს
და არად აგდებს ქარების სიცილს!

იმ გზაზე...

ნეტავ, რას შეცვლის თბილი ზამთარი,
ახლა ქუჩაში ნისლის ბინდია....
რა სიავე მაქვს გადასატანი,
ან ეს ღრუბლები საით მიდიან?!

დგანან დღეები, მძიმე აფრებით,
ვეღარ ვაჩერებ არეულ ფიქრებს...
ჩნდება სურვილი და გამძაფრებით,
დროსთან ჭიდილში კვლავ ძალას ვიკრებ...

და მაინც, ისევ ვითვლი იარებს,
დავეძებ სულის წამალ-სალბუნებს...
რა სიმძიმელიც გამოვიარე,
ღმერთო, იმ გზაზე ნუ დამაბრუნებ!



შენს ახოებში...

შენს ახოებში ვერ მოვითქვი, მამულო, სული,
მდევენ დღეები, მაგრამ ძალა მე აღარ შემწევს,
ამ ყველაფერს კი არც თავი აქვს, არც დასასრული,
ვინ დავიგულო ყიამეთში, მხსნელად და შემწედ?!

რა ვქნა, თუ თვალწინ თამაშდება ამ სოფლის დრამა,
წინ კი გზა მიდევს გასატანი ლელო-ჭაპანი,
და თავგასული ნაძირლები ჩვენს შორის დგანან,
უიმედობის რომ დაგვხურონ ბილწი საბანი.

წარსულმა უკან დამადევნა შავი ფიქრები,
უშენოდ ვაბამ სიყვარულის დაწყვეტილ სიმებს,
სხივივით სუფთა და გულწრფელი როგორ ვიქნები,
თუ ცხოვრებაა უხიაგი, სანუთრო მძიმე?!...

.....

შენს ახოებში ვერ მოვითქვი, მამულო, სული!...



ჩ ი ტ ე ბ ი

სხედან ჩემს აივანზე მოზუზული ჩიტები,
მზეს ღრუბლები მალავენ, წვიმაა და ქარია,
თვალსა ხუჭავს ზამთარი, ბუზღუნებენ ტიტები,
მარტო შევრჩი სადარდეთს... მენატრები ძალიან!

ვერ ვიცილებ ტკივილებს და ამ „მიეთ-მოეთებს“,
ყელამდე ვარ განცდებით, უკან მომდევს წარსული,
დამეკარგა მშველელი, მეგობარი, მოკეთე
და ცხოვრება გამიხდა მძიმე, ფერგადასული.

იყო წლები ნათელი, მარტო ჩემთვის კუთვნილი,
ვინ დამიფრთხო ფრინველი, ბედს რომ ედგა დარაჯად?!
ნაჯაფარი ხელებით, როგორ გავხდე უნდილი?!
ჩემთვის დიდი განძია, „ჯარისკაცის ფარაჯა“.

უხიაგი დღეები ისევ მოწყენილია,
მტრობითა და ღალატით მოთმინება აივსო...
„ანმყო თუ არ გენყალობსო“, ბრძანებს დიდი ილია,
ზავი დადე უფალთან, როცა ბრძოლა გარისკო!...



ჯ ა ვ რ ი

გამოვეთხოვე ზამთრის ამინდებს,
ქარი, მზაკვარი მე აღარ მართობს;
ჩამოიცალა გრძნობის სამინდე,
ახლა ღამეა და შენზე ვდარდობ.

რა მაქნისია უაზრო ფიქრი,
თუ სიმარტოვე თვალეში მიმზერს...
დრო გაუხედნავ კვიცივით მიჰქრის
და ვეძებ შენთან შეხვედრის მიზეზს.

იმედი გულში ცრემლივით წვეთავს,
ეს ტკივილებიც გაივლის ბოლოს
და რაც მიყვარდა, მოვდივართ ერთად
აქამდე შენით ვცხოვრობდი მხოლოდ.

ეს გაზაფხული არ მიდის არსად,
შემოჰყვა ქარებს ღრუბლების ჯარი
და როგორც ყველა, მოკვდავის მსგავსად,
დამყვება გულის უთქმელი ჯავრი.



მაინც, არ იშლი?!

მიდიხარ, შენსას არ იშლი?!
მე სამანს იქით ვერ გაველ...
ველარც მზის ნოხებს გაგიშლი,
ვერც ჯეჯიმსა და კრეტსაბმელს.

დავკარგე შენი გზა-კვალი,
ვებრძვი ტკივილს და იარას...
არც ვინმე, დილის მაყარი,
არც „პრინცმა“ ჩამოიარა.

ეს სიმარტოვე... ბრალია,
ბედთან უძლური, მორჩილი;
გარეთ მსუსხავი ქარია,
სიკვდილ-სიცოცხლის ქორწილი...

მიდიხარ, მაინც, არ იშლი?!
მეც არ მოგაწვდი ჩემს სათქმელს...
არცრა მზის ნოხებს გაგიშლი,
არც ჯეჯიმსა და კრეტსაბმელს...



მიქცევის ჟამი

ჩამოიშორა მზემ სიმხურვალე,
ცაზე შილიფად გადაიარა,
დამყვება შენი ნახვის წყურვილი,
გამეხსნა გულში ძველი იარა.

ეს შემოდგომა დამატრობს, ვიცი,
ოქროს ფოთლებით აავსებს ქუჩებს
და ნებიერი, მშობელი მინის,
გავითავისებ შენს ტკივილს, უცებ.

წყვდიადში შფოთავს ნასიცხი ღამე,
არ იშლის მთვარე გზებზე ხეტიალს,
წამოგვეწევა მიქცევის ჟამი
და ყველაფერი ხსოვნას ერთვიან.



უბრად მიდიან

მონუსხულივით შევყურებ სარკმელს,
დავეძებ მიმქრალ ნისლის ბორიოს*,
სცვიოდა ღვენთი შანდალში სანთელს,
ვიღაც ხატავდა დილის ორიონს*.

ცხოვრება მოჰგავს ამღვრეულ მორევს,
შორიდან გვიღრენს მშიერ ძაღლივით;
შენ ლაჟვარდები მითხარი, თორემ,
წლებიც მეყოფა ფიქრით დაღლილი.

მამულო, შენი სინათლე მსურდა,
მხიბლავდა ლურჯი ზეცის სიმაღლე,
ველური სივრცე და მიწის სუნთქვა,
შენი ამაყი, დიდი სილალე.

უბრად მიდიან წელიწადები,
სანუთრო თავის არშინით გვზომავს,
რჩება ტკივილი, გულის დარდებით,
წუთისოფელთან ამაო ბრძოლა...



დრისის ციხესთან

*თეძმის ხეობაში, ამაყად დგას ქართლის მეფეების
მიერ აშენებული დრისის ციხე, ჟამთან მორკინალი და
დაუმარცხებელი...*

კოსმიური სიმშვიდით დგანან ციხის კედლები,
მონყენილი დარაჯობს მთვარის ჩუმი ღვთაება,
მეცხოვნეს ეძებენ უჩინარი მხედრები,
ჩაუქროლეს ყიჟინით გადაღლილმა ქარებმა.

აქვე, ახლოს, სოფელში მზის სხივები ტყდებოდა
და მამალი ყიოდა გლეხი კაცის ერდოზე,
მასპინძელის თონეში „დედას პური“ ცხვებოდა,
გვირილები გვინვევდნენ თრიალეთის ფერდობზე.

სად წავიდა ის ხალხი, რომელ მხარეს ვეძიო,
სად იხდიან ქორწილებს, ნათლობას თუ ძეობას?!
ყვავილების მეჯლისზე ერთხელ მაინც ვენვიო,
იმედებით ამავესო მათი სულის მხნეობამ.

იმ ლაჟვარდის ღიმილებს დრისის ციხე ნატრობდა,
დუმან მისი კედლები ზემაღალი ღირსებით...
-სადმე ხომ არ გინახავთ, აქ რომ ბიჭი დარბოდა,
-იქნებ მასთან წავიდა გოგო, ზენადრისელი?!

*ბორიო -სადარო ნისლი,

*ორიონი - გაცისკრება (საბა).

მე ვინ გამითბობს ?!...

(დედის ხსოვნას)

უღრუბლო ცაზე მიცურავს მთვარე,
ჩამოარიგებს სადაფის ფერებს,
წამოჰყრის ფეხზე დასაბმელ ქარებს,
მოგვიხტებიან მიწაზე, მერე.

მე ვინ გამითბობს უშენოდ ფიქრებს,
გამიხალისებს მოწყენილ ზამთარს,
გამიფერადებს ღამეულ სიზმრებს,
დადგება ჩემი სიმშვიდის კართან?

არავინ იცის, დარდს როგორ ვწამლობ,
რატომ დამყვება სურვილის ჩრდილი,
ცხოვრებას თითქმის თავიდან ვსწავლობ,
ძილიც გამიხდა ურჩი და ფრთხილი.

ხილვებში ვძერწავ მაგ ნატიფ სახეს,
წინ ვით აღვუდგე ქარებს, ავარდნილს?!
შენი დუმილი შავ ფიქრებს მახვევს,
ვითარცა ჯავარს, ან და მარადის!



დეკემბერი

ოჰ, ეს ქარი, ჩემი ცოდვით სავსე,
შემომახვევს შავი ღრუბლის ნაჭერს...
გადმომაცურის ნამის მძივებს, თავზე,
მზეს მიჩრდილავს, რუხი ნისლით ნაჯერს...
ქუჩის კარავს შლის იუდას ლანდი,
ზის და მამულს ხის კუნძოვით ჩორკნის...
უჩინარი, დეკემბერი დადის
და ჩუმ სახლებს ადებს ზამთრის ბორკილს!

სადაც დამტოვე

ხელმოცარული დგანან დღეები,
გასხლტა ხელიდან ბედის სადავე,
უაზრო დარდებს როცა შეეცები,
მაშინ აემღვრა ტკივილს სათავე.
ველის სურნელი დაჰქონდა მაისს,
ჩემს ბაღში თეთრი ვარდები თოვდა
და მიმზადებდა მიმწუხრის დაისს,
შეთანხმებული წლებსა და დროსთან.
ჩამიქრა თვალწინ სურვილის ჩრდილი,
დავხურე გულის მძიმე სარკველი,
მზის ბილიკებზე ოცნებით ვივლი,
რომ მოგიტანო მუნჯი სათქმელი.
ვიცი, ფუჭია შენთან კამათი,
ღმერთმა ხომ იცის, სიტყვაზე გენდე,
არ გამაჩნია სხვა მისამართი,
სადაც დამტოვე, იქ გიცდი დღემდე!

ისევ შენი იმედით...

მინდვრის მწვანე ბალახით მიწა გვიქსოვს ფარდაგებს,
სველდებიან ხეები ციდან ღრუბლის ცრემლებით,
მტკივა სევდა მამულის, ვერ გავცილდი სადარდეთს,
ქარს კი მოაქვს სურნელი ვარდის... ნელსაცხებელის...

ახლა ფერი ეცვლება, ბინდში შემკრთალ განთიადს,
მთვარის ციცქნა ნალევი, სადღაც თავს იმძინარებს
და ზეფირი ქოშინით მახვევს ნისლის მანტიას;
ჩემთან, აქვე, ქალაქში თვლემს პატარა მდინარე.

ხსნას დავეძებ ქუჩებში, ახლოს ვიგრძნო წარსული,
არ გვეღირსა სიმშვიდე, ვერ ვპოულობ სამართალს,
ჩემში ცოცხლობს აგვისტო, სისხლით, ზღვარგადასულით,
შარით მოდის ჯალათი, რომ სამშობლო წამართვას.

თუ არც ვინმე, მშველელი, „ქვაზე მადლის დამდეგი“
და თუ ქვეყნის დუმილიც გაგვიხდება საშიში,
ისევ შენი იმედით, ღმერთო, შენი განგებით,
დაიფარე მამული, მოდგმა, გენი და ჯიში.



განგებით მერგო

მე ცის ღიმილი განგებით მერგო,
ვითვლიდი დღეებს, წლებს და თარიღებს,
გულში სიკეთის სინათლე მენთო,
მერე კარდაკარ პეშვით ვარიგე.

რად დამეკარგა შენი გზა-კვალი,
საით გაჰყევი ღრუბლებს და ქარებს?!
ჩამუქდა ჩემი თეთრი ცარგვალი,
სულ სხვანაირად ამოდის მთვარე.

ყველა ჭრილობა შუშდება ბოლოს,
იმედი ისევ მიჭირავს ხელში...
შენამდე ბილიკს გაგვკვალავ, მხოლოდ,
ლოდინს დავკიდებ ცელივით ჭერში.

ეს შემოდგომაც უშენოდ მიდის,
ფიქრი მტკივა და ვერაფრით ვწამლობ...
გაუჩინარდნენ სიზმრები, მშვიდი
და უთქმელ დარდებს ინახავს წალო.



ის ატკრეცილი დღეები

(მეგობრებს)

კავთისხევს წასვლა მიყვარდა,
პატიუი, შუა უბანის...
შინაურების ჭიშკართან
ცვდებოდა ჩვენი ჯუბანი...
გახსოვთ?! გალობა ცისკრამდის,
ლექსი... კაფია ფრთიანი,
კავთურა გულში გვიკრავდა,
ის ქვა და ლოდებიანი...
ის ატკრეცილი დღეები...
ლამის თევები... კავთაში...
ჩამოთოვლილი ხეები,
ბუხრისპირულით, ზამთარში...
გახსოვთ? მცხეთაში, არაგვთან,
გულგადაშლილი პურობა ...
სვეტიცხოველი გვფარავდა
და ლეონიძის სტუმრობა.
კელაპტრიშვილთა სალამურს
ეჯიბებოდა ბულბული;
გვილამაზებდა სალამოს
გოგლას ლექსი და ბუბუნი...
გახსოვთ?! ვდუდუნებ ამ სიტყვას,
ათასგზის ვიტყვი, მძინარიც...
ჯერაც... ბევრი რამ არ გვითქვამს,
ჯერაც... ცხოვრება წინ არის!...

1995 წელი

პარიაციები მათხოვრობის თემაზე

„დამარტყი, მაგრამ მომისმინე“,
თამაზ ნივნივაძე

აღზევებით და დაცემით,
მომრავლდნენ ქონდრის კაცები,
ცხოვრება ცრუ ჩინოსნების,
ქარვაა, კრიალოსნების...
აშენდნენ, რარიგ აშენდნენ,
ძონეულებით დამშვენდნენ,
ცას მისწვდნენ ხარბი ხელებით,
ქამხით შემოსეს მცველები...
ჰოდა, ეს ქონდრის კაცები,
აღზევებით თუ დაცემით,
ქვეყანას ჩალად გვითვლიან,
გუდის ყველივით ითლიან...

2

ქუჩაში ბავშვი მათხოვრობს,
გამშრალა დედის ჯიქანი...
ამ „ხიბლით“ ქალი არ ცხოვრობს,
საკირეს მისცა ჯიგარი...
დრო ვერ ჩაგვივლის უკვალოდ,
კართან შიმშილი კაკანებს...
ვილაცა კვდება უწამლოდ,
ვილაც - სიცივით კანკალებს...
ჩვენ გადმოგვიგდეს ქამანჩა,
ველარ დავდივართ მცინარი...

ჯერაც, მშველელი არა ჩანს,
სისხლის ცრემლია მდინარი...
იქნებ, ვიკმაროთ წინა თქმა,
იცლება ქვეყნის მარანი...
„ - სხვა საქართველო“... ვინა თქვა?!
ეს საქართველო არ არის!..

1998 წელი, მარნეული.

რ ი თ ი ვ უ ნ ა მ ლ ო თ ?!

*„ჩახედე შენს სულს: გრძნობ კი რასმე შენში იარას
ისეთს, რისთვისაც აიღებდი ხელში იარაღს?“
მურმან ლებანიძე.*

მავანი ვინმე... უხიაგი, გულღრძო, რეგვენი,
(ო, დედამიწა ამფერებსაც, მზის პურით კვებავს),
ვინ დამაჯერებს, შვლის ნუკრს იცავს კაცი, ეგერი,
თუ სულს ტაბაკზე, ხინკალივით, უღმერთოდ კეპავს.

არ დაგიდევენ, ვართ მირაჟში, მოსული წამით,
ჩირად არ უღირთ, სხვისი ჭირი, ვაება, ურვა;
ვინ მიეშველოს, ვინ ასმინოს, ანი და ბანი,
ამგვარ სატანას, დემონს რითი ვუნამლოთ, მურმან?!

1995 წელი.

ხ ე (ვ) ხ მ ე ლ ა

*ხე(ვ)ხმელა პატარა მდინარეა კასპის რაიონში, რომე-
ლიც დასაბამს კლდეკარში იღებს, ხოვლეს გვერდით
ჩამოუდის და მტკვარს გრაკალთან ერთვის.*

ტოლებში მარტო როდი ხარ,
სხვაც მოჩუხჩუხებს შენხელა;
მთის გულმკერდიდან მოდიხარ,
წყალ-ნაკადულა, ხე(ვ)ხმელა.

დაგვიდასტურებს, უთქმელად,
თეძამი - დიდი დაია,
შენით სულდგმულობს ურთხმელა,
ძიძო, გვირილა, ბაია.

ბევრი მიგელის სავალზე,
ჩამოივაკებ თავქვეთი,
ქუდს მოგიხდიან სალამზე,
იის ციხე და ავკეთი.

ქარი იჭვებით ქირქილებს,
მთებზე ბოლავენ ნისლები,
ჩამოუქროლებ ნისქვილებს,
სიცოცხლის ხიბლით ივსები.

თუმც, ხვატი გიჭერს მარწუხებს,
ვერ კი გიტეხავს ხერხემაღს;
დრო - ჟამი შენ არ განუხებს,
იდინე, ჩემო ხე(ვ)ხმელავ!

ის სიჭაბუკე

*„ნეტავ საით წასულა, ჩემი ახალგაზრდობა“...
გიორგი ლეონიძე*

გულდაგულ კენკავს მზის მარცვლებს ყანჩა,
ფეხზე ჰკიდია ქარის თარეში,
ის სიჭაბუკე ნეტავ სად დამრჩა,
გადამეკარგა რომელ მხარეში?!
ეს დეკემბერი, ცივი და მკაცრი,
ხრამზე დაჰკიდებს ფოჩიან ფარდებს;
იმ განშორების ტკივილით აცრილს,
გული გამიშლის სევდიან „კარტებს“;
მოვიშლი ალბათ, დაბინდულ ბუდეს,
ხრამზე გადავწევ მიმწუხრის ფარდას,
ის სიჭაბუკე ოლონდ დაბრუნდეს,
ლოცვად დავდგები ღმერთების კართან!...

1997 წელი, მარნეული.

ნ ა ძ ვ ე ბ ი

(ს უ რ ა თ ი)

დგანან ნაძვები ამოლტილები,
როკაპი ქარით გაშოლტილები;
თოვლის ფიფქები, ცით ჩამოსული,
ქირმანშალივით აქვთ წამოსხმული.
დგანან ნაძვები... ჟამი გრძელია
და გაზაფხულის მოსვლას ელიან.

ნუ დაგვტოვო

*ტექნიკური უნივერსიტეტის
პედაგოგს – ნინო (ნანი) პატარიძეს*

იმირი, ქართლის იმირი,
ვაზის ნაჟურით გვაკეთებს,
ხან ბროწეულით გვილიმის,
ხან- მაყვალს შემოგვაფეთებს.

ასეა, სოფლის თვისება,
ხრამის წყალს გვასმევს პეშვითა,
ჩამოხვალთ, ჭერი ივსება,
სტუმარ - მასპინძლის ეშხითა...

რა მომკლავს, ცას რომ ავხედავ,
ცვარდანამული შუბლითა,
ნეტავი შემოგახედათ,
რა მირონი დულს უფლითა.

ნოხს იქსოვს მწვანე იმირი,
მიწას ხნავენ და თესავენ,
ნუ დაგვტოვოთ ხიბლის ამარა
ჩამოდით, თქვენი კვნესამე!..

1997 წელი, მარნეული, იმირი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს

9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნას

გაძლება უნდა ამ ქართველებს,
ზოგჯერ მოთმენაც დიდი განძია...
საქართველოსთვის დაჩეხილ შვილებს,
ზეანეული გლოვობს ვარძიაც...

მტკივა სხეული მზეჩამქრალ დედის,
მტლად ვით დავედო თამარს თუ ეკას...
თავისუფლებას სისხლით რომ ვწერდით,
რწმენით ვაგებდით გელათს და ზეკარს.

არ ვიტაცებდით მეზობლის ერდოს,
ძელქვად ვუდექით სვაგებს და ორბებს;
ყველას თავისი პარნასი ერგო,
გაივლონ წნულის მაღალი ღობე.

სიცოცხლისათვის რეკენ ზარები,
იყუჩე, გულო, ანატირებო;
ისევ ძლიერნი ვართ ერთმანეთით,
საქართველოსთვის,
ბრძოლით, შვილებო!

ს ე რ ა ფ ი ტ ი

*"მე (ვარ) სერაფიტი, ასული ჯავახ მცირისა, პიტიახ-
შის ფარსმან მეფისა, მეუღლე იოღამა-ნგანისა-ძლე-
ვამოსილისა... ის, ვინც იყო ახალგაზრდა, და იმდე-
ნად კეთილი და მშვენიერი, რომ არავინ იყო (მისი)
მსგავსი სილამაზით. გარდაიცვალა 21 წლისა".
მცხეთის არქეოლოგიური გათხრებიდან...*

ო, სერაფიტა, მაგ სულეთში დარჩები, ოდეს,
ციდან მოგვესმის სიცოცხლეზე შენი ჰანგები...
ეგ სილამაზე, ფერუცვლელი, ნეტავი მქონდეს,
ათწლეულებში არასოდეს დავიკარგები.

იმ გაზაფხულებს, სიყვარულის სწვავდა ხანძარი,
დრო ბარბაცებდა, დუღდა სისხლი, იყო ალერსი;
ცხოვრება ლალი, გარდასული, იქნებ, არც არის?!
თვლემს საუკუნე, უკვდავების თიხით ნალესი.

მარადისობის ტახტრევანით მოგიხმოზ ისევ;
გულის მეუფე, ბედნიერი, მოგანვდის ბარძიმს...
გაფრენილ დღეებს, მდუმარებით და ხსოვნით ივსებ,
ო, დედოფალო, დავინყება არასდროს განვიმს!



ს ა კ უ რ თ ხ ი ს ი

*„და ვიხილე საკურთხისი ერთ დროს სიცოცხლით
სავსე სოფელი, „დიად საბჭოთა ეპოქაში“ დაცლილი
და იავარქმნილი...“*

ჩემი დღიურიდან...

დიდგორთან ნასოფლარია,
როდია შორი მანძილი,
ბუნების ნაოფლარია,
ახურავს თეთრი მანძილი.

წაშლილა მისი ზეკარი,
დაძრწის ნადირი ტიალი,
გაზრდილა ძეძვის ეკალი,
ჩარხის უკუღმა ტრიალით.

უწინ მოჩქეფდა სიცოცხლე,
არ იყო ხალხი ჯაბანი,
მტერთან დახვედრა იცოდნენ,
ცვდებოდა მათი კაბანი...

სოფელი ჰგავდა მზით აცრილს,
მწვანე ნოხებით დაფენილს,
მამულს უზრდიდნენ დიაცნი
მართვეს, აკვნიდან აფრენილს...

დიდგორში წვანან ზვარაკად,
ხმალდალენილი ბიჭები,
ხსოვნას უდგანან დარაჯად
ცადაზიდული ფიჭვები.

ნალველი ახრჩობს, ოხერი,
რთველია პანტა-ლოლოსი,
მთიელებს უხმობს სოფელი,
ბოლო არ უჩანს მოლოდინს...

ნატრულობს ფრთამალ არწივებს,
ჟამი შებმია საკურთხისს!
თუმცა, ჯანლი აქვთ ქარ-წვიმებს,
მაინც, ღვთით არის ნაკურთხი!

1987 წელი

ლ ა ქ ა

წარწერა ალისა არჩვაძის წიგნზე „მოგონებები“

ვინ მოიგონა, ან რა უფლებით,
კაცთა ამგვარი ხოცვა და ჟლეტა,
აღზევებული ძალაუფლებით
სიცოცხლის ყვავილს რა ხელი კრეფდა?!
დამძიმდა სული ბილწის, ცოდვილის,
ეგდო სასწორზე ყოფნა - არყოფნა,
თავისუფლების მძიმე ბორკილით,
უგვანო წლები მხრებით დაგვექონდა.
ახლა კი გვიკვირს, კითხვაზე პასუხს,
რატომ მოითხოვს მოდგმა და გენი;
ეკამათობთ, ვფურცლავთ მინავლულ წარსულს
და ლაქებს შლიან შვილები, ჩვენი!..

ა მ ო რ ძ ა ლ ე ბ ი

ცნობილ გაგრელ ექიმს - მერი რამიშვილს

იქნება სჯობდა, არმოსვლა ქვეყნად,
იქნებ, სურვილიც სხვაგვარად მეთქვა,
იქნებ, მინავლდა გრძნობათა ცეცხლი,
გაუფერულდა ოქრო და ვერცხლი.

ლამე აშარი მიჭერს არტახებს,
ხარკს უხდის სული მოჯარულ ვარამს,
გადავიფიქრე წასვლა ქვათახევს,
ქსილისზეც ახლა ღრუბლები წვანან...

გაუსაძლისი გახდა ტკივილი,
ქარი გვიწენავს ცხოვრების აფრას,
რა ბედენაა გულში კივილი,
თუ ვერ ვუშველეთ სოხუმს და გაგრას.

რა დროს ქალური წვა და რიდია,
გვიკორტნის მამულს ყორნების გუნდი...
ამორძალები ომში მიდიან
და იფერებენ ხაკისფერ მუნდირს...



მ არ ა დ ის ო ბ ის ბ ი ლ ი კ ზ ე

„წუხელის ბიჭი დაბადებულა“. ანზორ აბულაშვილი

ვინ მისცათ ქარებს სიმღერის ნიჭი,
შემოგვწყრა მათი მუხების ღმერთი,
მეზობლის გოგოს ეყოლა ბიჭი,
თვალმახარა და ფიფქივით თეთრი.

დაერღვა ოჯახს რული და რიტმი,
გული მოხეტეილ სიხარულს უძლებს,
აუხდა მამას ოცნება დიდი,
ამაღლდა მზემდე ჭერი და ფუძე.

უგალობს ჩიტი მამულის იმედს,
ჭინკებთან დავობს დიდგულა ფიჭვი;
მარადისობის ბილიკებს მისდევს
და ანგელოზებს უცინის ბიჭი...



ოცნების სახლი

მედეა კახიძეს

ვგავდი ზეცაში გაფრენილ მერცხალს,
მზით სავსე მქონდა ღარიბი სახლი,
ახლა ბუხართან ჯამ-ჭურჭელს ვრეცხავ,
ჟამი სველ დღეებს თვალთანინ მაცლის.

სასონარკვეთა იწვის შანდალში,
დაუდგა ლოდინს ცხელი ტაროსი,
დამაქვს მოთმენა ოქროს ზარდახშით,
მიცავს იმედი, ვით ავგაროზი.

ბედთან მორკინალ ამქარში მეც ვარ,
ჩემს სარკმელს მთვრალი ქარი თავს ახლის...
ვეძებ ზეცაში გაფრენილ მერცხალს,
შორეთში დამრჩა ოცნების სახლი...



ზედაზენზე

განა „ინდი მინდი“ ვარ,
ვაზის ხმელი ფოთოლი,
ზედაზენზე მივდივარ,
ყამარივით მორთული...

დათარეშობს არაგვზე,
ფერი, აქვამარინის,
ველის მწვანე კაბაზე,
მარმამს იქსოვს არილი.

გზაზე გდია დუმილი,
და წარსულის სიავე,
ფიქრი, ჩემი დობილი
წლებში მარონიავებს.

განა „ინდი მინდი“ ვარ?
ლამეს შევსვამ ფიალით...
ზედაზენზე მივდივარ,
ქართვლის ლოცვად, მივდივარ
მისი ერთი ტრფიალი...



ე რ თ ა ნ მ ი ნ დ ა შ ი

პაატა სააკაძის ხსოვნას.

უსტარაულის წყაროსთან,
იშლება ღამის ნაბადი...
„ცის კიბით“ ბიჭის ჩამოსვლა,
ფიქრით მდევს, კარით კარამდის.

პეშვით წყალს შესვამს, ვით მირონს,
/ნოსტეში, სხივით ციმციმებს/
ამბავს გვიტოვებს, იმ გმირულს,
ტაძრად შევა და იძინებს.

უსტარაულის წყაროსთან,
იშლება ღამის ნაბადი...
„ცის კიბით“ ბიჭის ჩამოსვლა,
უფლის ნებაა, მარადი!..



ტკივილიანი მოტივი

სიცოცხლის ეტლმა დაღმართი,
ჭენებით ჩაიხრიგინა;
ასგზის გაახლე ბარათი,
დამღალა კალმის წრიპინმა.

ის დრო გვერჩივნა ორივეს,
ცაში ვწვდებოდით ლაჟვარდებს,
სად გაგონილა, თოლიგე,
ეშმა მეჯლისებს მართავდეს.

სადა ხარ, ახლა, ვინ იცის?!
ვის უგებ ზღაპრულ ოდებსა,
ცერებზე იწევს თბილისი,
დაღლილი ქარიც გოდებსა.

შენს ღმერთს ვილასთან ვუჩივლო,
ჩარაზეს ყველა ტაძარი,
გულსა ჭამს დარდი, უჩინო,
მზეი არის და არც არის!..



გ ა რ დ ა ტ ე ნ ი

დიდუდის, დარა ბარჯაძე-კოშაძის ნათელ ხსოვნას.

გარდატენი...
 უფლის თვალი,
 ტკბილზე ტკბილი დედუღეთი,
 ზვარში, მათრობელა ქარი,
 მოციქული - დიდი ღმერთის.
 მთების მწვანე გალავანი,
 ზეცა - ლურჯი მინარეთი,
 ვარსკვლავების ქარავანი,
 ადევნებულ მდინარეთი.
 „ათრევაზე“ წყალი მისვამს,
 ღვთით ნაკურთხი მირონია,
 ფარჩის მწვანე კაბას იცვამს,
 ტანას სანაპირონია.
 სიყმაწვილის ბილიკები,
 ნამის მძივებს დამიბნევენ,
 თმაგაშლილი ტირიფები,
 სულ კინკილა ჩამირბენენ.
 გულს ავუხდენ დანაპირებს,
 გაუფანტავ სადაგ იჭვებს,
 სიყვარული გადამირევს,
 თვალმახარა გოგო-ბიჭებს.
 ცას ელტვიან ჩვენი გზები,
 მეჯლისია, მსუყე ფერთა...
 და მივდივარ, მძიმე წლებით,
 იმ ბავშვობის სათავესთან!..

ნ ვ ი მ ა

ეს მერამდენედ გაწვიმდა ღამით,
 ცამ ჩამოწველა ღრუბლის ჯიქნები,
 დრო ბონდის ხიდზე შეჩერდა წამით,
 შემოიხვია მინის ფიქრები.
 შეირხა ხიდი, ტვირთი ემძიმა,
 ქარმა მოცელა თივა, კორდების...
 განმეორდება, ვიცი, ეს წვიმა,
 ჩვენ?...
 არასოდეს გავმეორდებით!
 წვიმს!

რ ა მ ო ბ ა ქ ვ ს ?!

(ესკიზი)

შენი თვალები ჰგვანან ცისიერს,
 ატმის ყვავილის შემონათებას;
 მძიმე ფიქრები რად დამისიე,
 ჩემი ოცნების ერთო, ხატებავ!...
 მარტს ახვევია ღრუბლის მანდილი,
 თეთრი კვირტებით ნუში აივსო;
 ქართლს დაგვიჩიოთავს, მალე, აპრილი,
 შენ კი, რა მოგაქვს, ვარდის მაისო?!

ა მ შ უ ა ლ ა მ ე ს

პაოლო იაშვილის ხსოვნას

აღარ არიან ბოდლერი და მაღარმე ქვეყნად,
სხვა მეხოტბენი შეაქებენ პარიზის ქუჩებს,
ამ შუალამეს, შენს სტრიქონებს, გულდაგულ ვკენკავ,
მაგრამ დასასრულს, ო, დასასრულს, ბოლო არ უჩანს!

რა განუხებდა, რა გტანჯავდა, ასე გულმართალს,
ან ვით აენთე? მკერდს გინვაჟდა სიტყვის ხანძარი,
ნაზ ოცნებებში „სასახლენი“ ცად აგიმართავს
და სიყვარული მამულისა ლექსად დასძარი.

იქით ვერჰარნი, ბოდლერი და მაღარმე ერთად,
ცისფერყანწელებს ამშვენებდი, ვით სამკაული...
ამ შუა ლამეს, შენს სტრიქონებს გულდაგულ ვკენკავ,
სულის ტკივილის სალბუნია ლექსი, პაოლო!..



ომბადახდილი მაგის ს უ რ ა თ ზ ე

რა უსასოოდ დაგვტოვე, მამა,
წუთისოფელი მაღია, თურმე,
შენი სიმღერა წაიღო ქარმა,
რომ ღიღინებდი ურმულს, მეურმე.

შენი სიმღერა წაიღო ქარმა,
ჯამიდან ღვინო მოწვეთავს პურზე;
სამყარო იყო მზისფერი ქარვა,
ახლა ბელტები გაყრია გულზე.

წახვედი, დაგრჩა სათქმელი ბევრი,
ათასი დარდი, სითბო, სიცივე,
ვაზის ნაფურით ავსილი ქვევრი,
ჯერ არ დამდგარი წელთა სიმძიმე.

ჩამქრალა შენი ფერების გამა,
ჩვენთვის დატოვე ნათელი ფერი,
ერთი სიცოცხლე წაიღო ქარმა,
გადაიკარგა ღრუბლებში მტვერი.

შენ უკვდავება დანერე შვილით
და მოგეცარა შუადღის ჩერო,
ველის ყვავილებს დაგიკრეფ, დილით,
ო, მამავ, ჩემო!

1970 წელი.

მიტავეპის გზაზე

შემოუვლიან ჭადრებს ქარები,
გაიცრიცება ამინდის ფერი,
ლანდებს ეძებენ სულის თვალები,
დაბლა ჩამოვა ლაფვარდის ქერი.

მე ქვეყნის მძიმე ტვირთი გადამღლის
და სურვილებიც ველად გაჭრილან,
რა იქნა სიყრმის მზიანი სახლი,
ან სიყვარულის მონმე, აჯილა*?!

ცხოვრების შხამი მიჩენს იარებს,
უხეში ბედის ვზიდუ ლოდები,
სულ მიტევების გზებზე ვიარე,
ისევ აქ ვდგავარ და გელოდები.

დრო კი მიდის და არსად ჩერდება,
სადაც ვარდია, ეკალიც ხარობს...
და რადგან გული არა ბერდება,
შენთან მოსვლასაც ამიტომ ვჩქარობ...

.....

*აჯილა - საქორწილო ტახტი (საბა)

გოგი დოლიძეს

(ხ ს ო ვ ნ ა)

ახლა, თითქოს, მტკივან გულზე,
ვებერთელა ლოდი წევს,
ეკრანიდან სიყვარულზე,
მღერის გოგი დოლიძე.

უფლით, ჩვენი, მწყალობელით,
მოდის მწუხრის ლანდი,
ვით ბუღბული, მგალობელი,
უკვდავების ჰანგით.

თვალში ცრემლი ჩაგუბდება,
სულში რეკენ ზარები;
თალხი ღამე გახუნდება,
წავა ცისკრის კარედი.

ეკრანიდან სიცოცხლეზე,
მღერის გოგი დოლიძე;
ამიტომაც, მტკივან გულზე,
ვებერთელა ლოდი წევს!

ყვავილების მეფე

მიხეილ მამულაშვილს

დანერლია გიორგი ლეონიძის დაკვეთით, რე-
დაქტირებულია მის მიერ და წავიკითხე მიხეილ მამ-
ულაშვილის საიუბილეო საღამოზე, მცხეთაში, 1963
წლის 28 დეკემბერს.

სვეტიცხოვლის ჩუქურთმები,
მინა, ერთი პეშვი,
ანთებული ჯვარი...
მთები...
მიმოზების ეშხი...
რამ გაუძღოს ამდენ ყვავილს,
მხიბლავს მათი ენა,
მომდებია ტრფობის ალი,
სიტყვის აღმაფრენა.
ჟამი ითვლის
ნელთა ფურცვლას
და არაგვის შხეფებს,
მამული კი გვირგვინს უწნავს,
ყვავილების მეფეს!

1963 წელი, მცხეთა.

ომარ ხაიამს!

ანა კალანდაძისეული ინტერპრეტაციით

„ნიჰამი არუზმა ინახულა ხაიამის საფლავი ბაღის
კედელთან, მთლად დაფარული მსხლისა და ქლია-
ვის ხის ყვავილებით, გაახსენდა პოეტის სიტყვები და
აქვითინდა“.

ფირდოუსი

ყველაფერს ამ ქვეყნად აქვს თავის მიზანი,
ქლიავიც ფიფქებს ყრის ო, დიდი ხანია,
საფლავთან მუხლმოხრით ტიროდა ნიჰამი,
ომარ ხაიამ!..
სული აქვს ნანამები, თრთიან ბაგენი,
ხმაი, იდუმალი, მიაპობს უკუნეთს...
-ეჰეი, მოიტათ, ღვინო და ჰანგები,
ლოთი ვარ, ვარდობას ფერუცვლელს ვუყურებ...
ფიფქებში დნებიან მსხალი და ქლიავი,
ნიჰამიც წასულა, ო, დიდი ხანია...
საფლავზე ჩურჩულებს მსუბუქი ნიავი,
ომარ ხაიამ!..



ჩემი ქართლი

აიკრიფა ვარსკვლავები ხვიჩა-ხვიჩა,
ცისკიდურზე მზემ გადიხსნა ოქროს მკერდი,
დღესაც ისევ მომესალმა ჩიტი, სკვინჩა,
დღესაც ისევ შეფართქალდა თეთრი მტრედი.

აზარფეშით დავილოცე დილის მადლი,
მინის ძეთა სიყვარულით ღვინო შევსვი;
უფლის ხელით დაიხატა ჩემი ქართლი,
აჰა, მისთვის დაიბადა ერთი ლექსი!



გერგეთში

თამარ და ნუცა ლუდუშაურებს

დაიწვა ცაში ივლისი,
ველარ ვჩერდები ბარადა,
დავტოვე ცხელი თბილისი,
თუმც კი, მასთან ვარ მარადა.
დავკეცე გზები ხევამდე,
მიმელის სნო და გერგეთი...
რა ფერი მოდის ჩემამდე??
მზეც არ მინახავს ეგეთი!
გამოჩნდა თეთრი მყინვარი,
ცისფერი ნისლის მანდილით;
გავეშებული მდინარე,
დამოკლებული მანძილით.
ცხვარს ასვენებენ მწყემსები,
პურ-მარილს გვიშლის სარქალი,...
ქართული ადათ-წესებით,
ნინაპრის შემონათვალით.
მთა ვნახე ფერშეუცვლელი,
ავსილი გრძნობის ბარძიმი...
ის შეხვედრები, უცვლელი,
გულს მივაბარე განძივით...

1965 წელი, ყაზბეგი.

რ ე ქ ვ ი ე მ ი თ

ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსოვნას

მინდვრის ქრელი ყვავილებით,
დილის ცელქი ქარით,
ვეძებ ცისკრის გაელვებას,
ნოხებს მიფენს ბარი.
თეთრი რაში ბალახსა სძოვს,
ცად ტოროლა ანცობს,
ალავერდში „ცოდვის კალოს“
ალარავინ აწყობს.
გტანჯეს, მაგრამ ვერ წაგართვეს,
მშობლიური მინა,
მაგ დაღვრილი ცხელი სისხლით,
საქართველოს იცავ.
როგორ მინდა, მოგეფერო,
ამოგიშრო ცრემლი,
დაჭრილ მკერდზე გადაგისვა,
დედის თბილი ხელი.
ბახტრიონზე ლეგა ღრუბლებს
დავედევნო, მინდა,
შენს საძვალეს ვეთაყვანო,
ჩავიმუხლო, გმირთან.
ჰოდა, ხსოვნის ყვავილებით,
რექვიემით, ზარით...
მოვალ, რათა დაგიდაფნო,
წამებულის გზანი!

1968 წელი, ახმეტა.

ნ ა ვ ა ლ

შვილს - ბადრი პატარიძეს

რად ამედევნა ტკივილი,
სულში აფეთქდა აპრილი,
ბავშვობა, მინის ყივილი...
გაზაფხულივით ჩავლილი,
„დედას პური“ და ღიმილი,
სინზე ხალვათად დაყრილი;
მარანში ქვევრის ხივილი,
ძარღვებში სისხლად ჩაღვრილი;
რას მომძახიან, რა უნდათ,
რა სიმძიმის დაუდგათ,
იქნება, საქმე წაუხდათ,
ცუდი სიზმარი აუხდათ,
რა უნდათ, ნეტავ, რა უნდათ,
რა ვაი - ვიში აუტყდათ?!....
მეც მათთან შეყრა მწყუროდა,
ერთად ლხინი და პურობა,
ჩეროს ვლოცავდე სუროთა,
ხიზნად ვიდოდე ხუროთა.
ო, წავალ, ვერ დავბრუნდები,
მზის და სიცოცხლის უძღები,
მთვარე დამკარგავს თვალთაგან,
ლუკმას გავიყოფ ქართანა...
შენ არ დაგწყევლოს ართვალმა,
შენ არ დაგაზროს ზამთარმა.
წასვლა წესია ბუნების,
ტკივილი - არ დაბრუნების!...

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი

გუგულა ფიფინოვს

პატარა ქალაქში ცხოვრობს პროვიზორი,
 წლები გადაუყრია „ზვინებად“,
 შუბლზე გავლებია დროის ზოლი...
 საქმემ თუ ინება,
 წამალი გამხდარა შეჭირვებად,
 - თქვენ ხართო, ბატონი,
 სურდო მოიყოლესო, წვიმებმა...
 გეტყვით და, ხეშეშა ხელებით,
 საოცრად გამთბარი ხელებით,
 რომ ასდის კატაბალახას სურნელი,
 მოგართმევთ წამალს და,
 ტკივილი ნაბრძანდება ფეხისწვერებით...
 ...
 შუბლზე გავლებული დროის ზოლით,
 დგას აფთიაქში პროვიზორი,
 ჩვენთვის სათუთი და სასურველი.

1970 წელი, კასპი.



სატანის წაწალი

აშარი, ვინმე... სასთუმალზე მიბნევს სიავეს,
 სატანის წაწალს, სად ვუყელო „დევი“, მომრევი?!
 ელვა და მეხი, ჩემს სულშიაც გადიგრიანებს,
 რჩება ტკივილი, დამეხილი, ნაჭრილობევი.

სატანის წაწალს გასწყვეტია სიკეთის სიმი,
 გადაუხმია გულის ბაღში გრძნობის მარცვალი;
 მქირდავი, ესე, უმადური, გულღრძო და ცივი,
 მოდის ქუჩაში, საკუთარი თავის მძარცვავი!



გ უ შ ი ნ ი ყ ო

რაიკომის ერთი ბიუროს გახსენების გამო

„მინდა, გამლერებო, მინდა, გაცეკვებო“,
გახსოვს? ის დღე - „გვამთა დიდი საკრებულო“?!
ჩვენი რწმენის კანდელი ხომ ცალკე ენთო,
ზოგთა მძორებს, ალბათ, მიწაც არ ღებულობს.

გუშინ იყო, გუშინწინ და იმის წინაც,
მოსდიოდათ ორი „შაში“ ცრუ დამსმენებს,
დასეტყვილი გული ახლაც ისევ მტკივა,
ის განცდები თანა მდევს და არ მასვენებს.

„მინდა, გაცეკვებო, მინდა, გამლერებო“...
იქ შეკაზმულ ცხენებს ვინ მოგვცემდა, მართალს?!
შენი კალთა უხვი დააფარე, ღმერთო,
სიკეთის ხე ვინაც გადაგვირგო კართან!

1978 წელი.



დასტაქრის ფასი

არც ჰიპოკრატე და ავიცენა,
ვერ მშველის ზაზა ფანასკერტელიც...
იმ განსაძელში ვინ გამიხსენა?
განსჯის სივრცეში ველარ ვეტევი,
მაგიდა - რთული ოპერაციის,
ქირურგის ხელში ელავს სკალპელი,
ნეტავი მომცა ფრთები, არწივის,
ტკივილებს მოვხსნა ყელზე საბელი.
- „ერთი წუთიცო“, - ითხოვს ექიმი,
წუთი, დრო-ჟამის დინჯი მსაზღვრელი...
ქუჩაში დადის ცივი ზეფირი,
შემოდის ფიქრი, თავზე საყრელი.
დღე გაიზარა, მძიმე და თარსი,
გაზაფხულივით მოდის ვარდობა,
ჯერაც არ ვიცი დასტაქრის ფასი,
თუნდაც, ათასგზის ვუთხრა მადლობა.

1998 წელი, თბილისი,
„მიხაილოვის“ საავადმყოფო.



მ ა რ ტ ი ს პ ი რ ს

(სურათი)

მარტისპირს
მზეი მომძლავრდა,
ყელყელობენ იანი,
წვიმამ ზურმუხტით მოქარგა,
მინდვრები, ხავერდიანი.
მოდიდნენ მთის მდინარენი,
მორბიან ზათქით, ღრიალით,
შფოთავენ ხეთა კვირტები,
- ვინ ერჩის, ბეჩა, ტიალი?!
- მზეო, გაუთბე გულები,
არ მიაყენონ ზიანი!..

პასუხი... არსად!

აღბათ, არასდროს შემოხვალ ჩემთან,
არ მადევს ქედზე შენი უღელი...
ამ მარტოობის განცდა და სევდა,
უბეში მიწევს, როგორც ღრუბელი.
გადაჰყვა წლები ცდასა და ლოდინს,
ჩამიქრა თვალში ნათლის ფერები.
გაზაფხული კი მიდის და მოდის,
დამიჭკნა სულის „ქრიზანთემები“.
ველარ ვიშუშებ დამჩნეულ ნახმლევს,
გადამეკარგე რუხი ცასავით;
იმედს განძივით ფარჩაში ვახვევ,
ეჰე--ე-ე-ე... პასუხი
არსად, არსაით!

თოვლის ფუნჯით

(სურათი)

ჩამოებრტყა შემოდგომამ ნარინჯების ფერი;
ქარი პენტავს ლეგა ღრუბლებს, ფთილა-ფთილა ფანტავს.
სადღაც აქვე, მგალობელი სიცოცხლეზე მღერის,
ზამთრის ლამაზ პეიზაჟებს უფლის ხელი ხატავს.

გადამიფენს ნაბდის თექას ყიამეთი ღამე,
ფიქრის გორგალს გადმომიგდებს, ამინწენავს, აშლის...
გამოვიხმოზ ნარსულიდან მინავლებულ წამებს,
შენს ერდოსთან ჩავიმუხლებ, კარავს დავცემ, გავშლი...

ჩემთან ახლოს მგალობელი ისევ ისე მღერის,
ქარი ხვეტავს ქართლის ბალებს, ხეთა ფოთლებს ფანტავს...
დამადევნა შემოდგომამ ნარინჯების ფერი,
ზამთრის სურათს უფლის ხელი თოვლის ფუნჯით ხატავს...



მ ი რ ა ჟ ე ბ ი თ

აღმართითა თუ დაღმართით,
სულ მირაჟებით ვიარე...
ბედისწერა კი ქამანდით,
მდევდა, მაყრიდა იარებს...

მრუდედ დაგებულ მახეში,
უშენოდაც რომ შემცივდა,
მაშინ ამ სულის სარკეში,
მზემ ჩაიხედა ზეციდან.

ანგელოზების თვალებით,
შემომანათა სიმშვიდემ,
ეს ნირნამხდარი ქარებიც
ნისლების ქუდებს მიხდიდნენ.

მე სიძულვილი მემძიმა,
არ გავუტოლდი სატანას,
ვინც სათნოება შემძინა,
მიტევების გზით მატარა...

.....

აღმართითა თუ დაღმართით,
სულ მირაჟებით ვიარე...



„ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი“

(სურათი)

გუშინ წვიმდა, გუშინწინაც,
დღესაც ისევ აპირებს...
ხან თოვს, სადღაც ფიფქი ცვივა...
მტკვარიც გასცდა ნაპირებს.

კი, ველოდით, „ნასესხებმა“
თავი სულმთლად აიშვა,
მოვიდა და მარტის „სესხმა“,
გარეთ აღარ გაგვიშვა.

ალბათ, ისევ არ შეწყდება,
წვიმის თქემის სხმულები,
თუმც, მოსავლის ბედი წყდება,
თესლს ითხოვენ ხნულები.

ვართ ლოდინში, ვუცდით მზესა...
ცად ღრუბლები მიდიან,
ამინდს ჩვენი ხვნა და თესვა
განწყობაზე ჰკიდია!



დუმილის ცრემლთან

ადრე წასულ ძმებს

მაინც, რად იყო, ის შავი ელდა,
გადამითელა სული და ხორცი,
ვის დაემგზავრეთ, ტრისტან და ელდარ,
წამოგვიზარდეთ საფლავის ბორცვი.

ან, ის მაისი, ჩვენთვის ავბედი,
ჩადარდებული თქვენი სურათით;
მაგ ადრე წასვლით თითქმის დავბერდი,
მომიახლოვდა თეთრი სულეთი.

ვით მოვიძიო მარადი სახლი,
მზის საუფლოდან წასული კაცის;
აქ, მწუხარებას ქარი თავს ახლის
და დავიწყებას ათოვს და აწვიმს.

თქვენი ტკივილი მტკივა და გნატრობთ,
გიცდით, უძილო ღამის გამთევნი;
დუმილის ცრემლთან ვარ, მარტოდმარტო,
და არა ქრება ხსოვნის სანთელი.



ნადირობის სეზონი

ჭალაში თოფი გავარდა,
სადღაც აყვირდა ციცარი,
ხესთან მოწყვეტით დავარდა,
საბრალო ჩიტი ვიცანი.

ვარდის ყონალი, ბულბული,
უბადლო ჰანგის მფლობელი,
წევს და ქარს მიაქვს ბუმბული,
კორდებზე ტოვებს მოფენილს.

ხრამისპირს გლოვის ზარია,
დაჭკნა ვარდი და შროშანი,
მგოსნები აღარ არიან,
წასულა ყველა ფრთოსანი.

ნურავინ ესვრით მგალობელს,
ცოდვა და ბრალი დიდია,
სიცოცხლისათვის გალობენ,
საწუთრო ცრუ და ფლიდია.

ჟამი არ გვჩუქნის ჟასმინებს,
წავალთ და დავიკარგებით...
ღმერთო, მარადის გვასმინე,
ეს საოცარი ჰანგები...

ი ვ ლ ი ს ი

მზის ნალვერდალზე იწვის ივლისი,
ცვივა თაველი, ხვატზე დახლილი,
ჩემი მამულის ჯადო - თილისმით,
საკურთხეველთან მივალ, დაღლილი.

გავხსნი ჩარაზულ გულის დარაბებს,
დამტოვებს ყველა დარდი, ტკივილი,
ეს მზეკაბანი ისევ გადამრევს,
მტკვარზე ჩავლილი, შეკრულ ტივივით.

იწვის ზაფხული, ზეცის ბუხარში,
დნება სიცოცხლე - ოქროს მადანი,
ცხოვრება მკაცრი, ზოგჯერ უხეში,
ნეტავ, რად არი,
ღმერთო, რად არი?!



ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე შ ი

ნეტავი როგორ გავტეხავ ზამთარს,
რად შფოთავს ასე ჩემი სხეული?!
დაიწვა სული, „მბჟუტავი ლამფა“,
განცდის „დილეგში“ გამომწყვდეული.

თვლემს კუნაპეტი „ფეხმძიმე“ ღამე,
რძისფერ ალიონს გვიმზადებს დილა,
ქარო, ხვალისა გვითხარი რამე,
გამითავისე, ვით ღრუბლის ფთილა.

ვიცი, იმედით შემოვა მარტი,
მოჰყვება ჭრელი დღეების წყება:
ალარ მასვენებს მამულზე დარდი,
ცივი ღუმელი და დავინწყება...

შავი ფიქრები სჩვევია ზამთარს,
შემოვხსნი სევდას ნისლის არტახებს,
ვარდობის თვეში ლამაზს და მართალს,
მოვინახულებ რკონს და ქვათახევს...

მე სიყვარულის ღმერთი ვინამე,
ეს ლოცვა თქვენთვის მინდა, იცოდეთ,
სიკვდილის მერეც მოვალ მინაზე
და ვუგალობებ მზეს და სიცოცხლეს...

თეთრი ზამთარი

თოვს და...
 ნამქრები წვანან შუკებში,
 ეზო-კარს მინგრევს ქარი, აფთარი...
 ასე ცივი და ზოგჯერ უხეში,
 ესკორტით მოდგა თეთრი ზამთარი...
 შევკარი ღამე საგუთნე თოკით,
 გადამეკარგა მთენთავი რული...
 სხეულს არიდებს უენო ბორკილს,
 ჭაპანწყვეტაში დაღლილი გული...
 ეს ყველაფერი ფუჭია, იქნებ,
 დროის სიავე ხავსივით ცოცავს...
 გამოადევნებს ვინმე რექვიმს,
 სადღაც, ვილაცა დაუკრავს მოცარტს...
 თოვს...



გარეთ მზეა და დარია!

გულო, ჩიტივით ფართხალებ,
 მკერდს გამეტებით ეხლები!...
 მაცალე, ცოტაც მაცალე,
 ნუ დამაყარე ეკლები!

სად მიგაქვს ჩემი ნაწილი,
 კეცავ სიცოცხლის გზა - შარას,
 ვინ გამიზომა მანძილი?!
 მაჭმევ ტკბილ-მწარე მაშარაბს.

მე თანადგომა მამხნევებს,
 თორემ, ღალატიც მინახავს!
 იმ სიყვარულის ნამსხვრევებს,
 ვკრიფავ და... შენთან ვინახავ.

გულო, ტკივილი მწარეა,
 გამყვება, მემახსოვრება;
 გარეთ მზეა და დარია,
 გარეთ მეძახის ცხოვრება!



მიმწუხრის დაღმართზე

მიჰყვება ქარი ნისლის ქარავანს,
ცისფერი ტივით მთებში მიდიან;
ოდეს ხილვებში შენთან არა ვარ,
ცხოვრება ჩემთვის მრუმე ბინდია.

დღეებს ლოდინში ვფანტავ ოცნებით,
როდემდე შევძლებ ტკივილის მალვას?!
სულის მეოხად ვდგავარ ლოცვებით,
მოვირგე ცივი რიდი და კრძალვა.

დავძლიე შავი არყოფნის შიში,
ხალისით ვმართავ ჩიტების ნადიმს...
ერთფეროვნების მამყოფეს ჩრდილში,
თოკზე გავკიდე სევდა და დარდი.

ვიცი, შევმდგარვარ მიმწუხრის დაღმართს,
ალბათ, ოდესმე მოვალ ბალახად,
შენთვის არ ვიცი, მამულო, დალლა,
ნეტამც, შენი მზე იქაც მანახვა!



სილვესტი

როდემდე უნდა ვშალო წარსული,
ველოლიავო ნაღვლიან სტრიქონს,
ან ეს ფიქრები... ცამდე ასული,
ყვავილებივით როდემდე ვკრიფო?!
ჩამომისახლდნენ შლეგი ქარები,
აუწყვეტიათ გუთნის საბელი,
ჩარახეს ჩემი გულის კარები,
დამიხშეს სხივი, უცხოდ ნაფერი.
მაგანი ისევ მთავაზობს ჯვარცმას,
ვერ ვიხსნი მკერდზე ჭრილობის სახვევს;
მაფორიატებს დღეების მარცვლა
და იმ წარსულის სიზმრებში მახვევს.

რაც უნდა მოხდეს

მოჰყვა ღრუბელი მზიან ამინდებს,
დიოდა წვიმის წმინდა მირონი,
რაც უნდა მოხდეს, უნდა ნავიდე,
დავკეცო გზები უნაპირონი.
ხურდა ფულივით დავითვლი დღეებს,
ვიცი, ისინი სადაც გარბიან,
ქარები გლიან მძინარე კლდეებს,
სიცხიან გულზე ლოდებს აყრიან.
როდემდე უნდა ვიცადო კიდეც,
მამულში ვეძებ მენამულ ვარდებს,
მთვარე განთიადს სარკმელთან ჰკიდებს
და თავზე მახვევს ფიქრიან დარდებს.

დაბვინაუბული სინანული

ჩემს გულზე წვანან აშარი წლები
და მენანება ჩავლილი ფუჭად..
იმედიათი მომავლის რწმენით,
შენთან მოვყავდი მდუმარე ქუჩას...

ახლა, შორს არის ოცნების სახლი,
ვუსმენ ქარების მოთქმა-გოდებას,
იმ განშორების ტკივილით დაღლილს,
პეშვით მანვდიან ყალბ შეცოდებას...

გამიხანგრძლივდა მტანჯველი წამი.
გვერდით დამიჯდა საბანგე ძილი...
მიუწვდომელი, მკრთალი და შავი,
სარკმელთან დადის ვილაცის ჩრდილი...

ჩაკეტეს შენსკენ სავალი გზები.
სავსეა დარდით ნაცნობი ქუჩა...
ჩემს გულზე წვანან აშარი წლები
და მენანება ჩავლილი ფუჭად.



საით გარბიან?

თვლემდა ქუჩაში აგვისტოს ხვატი,
შებმია სიცხეს როკაპი ქარი,
გაუწყრა ყველა მოქმედი ხატი.
წაშალოს უნდა სავალი კვალი.
საით გარბიან, ნეტავ, დღეები,
ვის დაუყენეს განკითხვის ჟამი?!
ჩამიწყეს გულში დარდის შრეები,
დასაჯეს ფიქრში ნათევი ღამე...
მე, სილამაზის ტრფიალს და უძღებს,
შემინდობს ღმერთი, ლოცვით მოსილი;
წლობით დაგროვილ ტკივილებს ვუძღებს,
სიცოცხლისათვის ერთხელ მოსული!

მამულის ღოცვა

შვენის სიფითრე ნაწვიმარ დილას
და ზეზეულად მძინარე ხეებს,
მიჰყვება ღრუბელს ნაგლეჯი ფთილა,
გზადაგზა იშრობს უხორცო ხელებს.
ქარი ბუზღუნით გადაგვის ქუჩებს,
წაშლის ნაკვალევს, ჩვენ რომ დავტოვეთ,
სულში უხეშად შემოვა უცებ,
მღვრიე ამინდი და სიმარტოვე.
ცას კი უჭირავს წვიმის აღვირი,
სველდება მიწის მძიმე სხეული;
და ვუსმენ ზეფირს ფიქრით დაღლილი,
მამულის ღოცვად გადაქცეული...

დ რ ო მ ი დ ი ს...

მალე პეიზაჟს შეცვლის ზაფხული
და თბილ ქვეყნებში წავლენ მერცხლები;
ამედევნება ფიქრი წარსულის,
ჩამიდნებიან თმებში ვერცხლები.

დრო მიდის, მიდის, ჩუმად და ნელა,
ჩამოარიგებს გზადაგზა ფერებს,
წაჰყვება დარდი, უაზრო ღელვა,
მათ ნამსხვრევებს კი ვაგროვებ, მერე.

გამოვიზოგავ მზედაკრულ ღიმილს,
ავავსებ შუქით მინავლულ თვალებს,
ეს ლაქვარდები სიცოცხლედ მიღირს,
დავემგზავრები ამისთვის ქარებს...

.....

მალე პეიზაჟს შეცვლის ზაფხული
და თბილ ქვეყნებში წავლენ მერცხლები.

**ბ ე ნ ვ ი ს ბ ი ლ ი კ ი თ!**

უმისამართოდ ვფანტავდი სურვილს.
ფიქრით შენს ერდოს ვერა ვშორდები;
ჯავარში ბორგავს ნატკენი სული,
ჩამიკირწყალდნენ მკერდში ლოდები...
აუხდენელი სიზმრებით ვცხოვრობ,
ჩადარდებულა ნამგზავრი მთვარეც.
მე შენი სითბო მინდოდა მხოლოდ
და უმეგზუროდ მოვდევი ქარებს...
ეს შემოდგომა შეგვიცვლის ფერებს,
ქარი სისინებს და ნისლი ბოლავს.
გაუსაძლისი ლოდინის მერე,
ბენვის ბილიკით კვლავ შენთან მოვალ!

ქ ა რ თ უ ლ ი მ ზ ი თ

სულში რა უნდათ აშარ ამინდებს,
ზეცის საბანში მფუთავს ზამთარი...
ბარათებივით ჩამოვარიგე,
ლექსები... გულის ჩამონათალი...
არ ვიცი ეს გზა სად გათავდება,
ვინ დამიმატოს დრო და მანძილი?!..
დამიდგეს იქნებ, ვინმე, თავდებად,
რადგან ქართული მზით ვარ აცრილი.

.....

სულში რა უნდათ აშარ ამინდებს?!

რად ვერ შევნიშნე?...

სარკმელთან მოდგა ნამგზავრი მთვარე
და უშურველად არიგებს ფერებს...
ლამის მდგმურები ხუჭავენ თვალებს,
საყვარელ სიზმრებს ხედავენ, მერე.

მთები შორიდან ჰგვანან ურჩხულებს,
ერკინებიან ჟამსა და ლოდინს
და შეჩვეულებს, ქართან ჩურჩულებს,
დავინწყებიათ სიზიფეს ლოდი.

ცხოვრების ტვირთი წლებია დამაქვს,
აღბათ, სანუთრო დაუსვამს წერტილს
და რომ არ გითხრა, უფლება არ მაქვს,
კვლავ ქვაზე დავდებ სიყვარულს, შენს წილს.

კართან ჩამოდგა შავი აჩრდილი,
წვეთავს იმედი, ვით ვაზის ცრემლი,
ამ იარებით, დარდით, განცდილით,
დღე მიდის უბრად, ისევ უცვლელი.

ჩვენს შორის დარჩა უთქმელი, ბევრი,
რად ვერ შევნიშნეთ ის მრუდე ბზარი?!
და ყოველ დილით ამაოდ ველი,
პასუხს, რომელსაც არავინ გზავნის.

ის ბილიკები

ციური ბაკურაძე-გუჯეჯიანის ხსოვნას

ჩვენ „ხელის გულზე გვედო“ ქვეყანა,
გავლილ ნაბიჯებს წლები ითვლიან,
თუმცა, დარდები მკერდზე გვეყარა,
ჩვენთვის გალობდა ჩიტი ნიბლია.

პეშვით მანვდიდი რწმენას და სიტბოს,
იმედს, რომელსაც გზებზე ვკარგავდი,
ვიბადებოდი თავიდან თითქოს,
როცა იმ დღეებს ლალით ქარგავდი.

შენს ნატერფალებს დავეძებ დღემდე,
სად ხვდები ახლა წვიმებს და ქარებს?!
შენი წაშლილი სიცოცხლის შემდეგ,
გაუფერულდა მზეცა და მთვარეც.

ვინ მოგიტანა სიკვდილის „კიბე“,
ჩააქრო შენი თვალის ცისკარი
და თუ შემოხვდი ხიფათებს კიდეც
მაგ სულეთიდან სიზმრად გვითხარი.

ხრამისპირს ისევ გვიცდის მაყვალი,
მდინარეს შევენის მთვლემარე ყანჩა...
ის ბილიკები... შენსკენ სავალი,
გაუხუნარი ხსოვნაში დამრჩა!

რა ეშველება თქვენი?!

რა ეშველება თქვენი აბეზარ ქარებს?!
ბოლავს ზეცაში სამყაროს კვამლი,
გადათელავენ მინდვრებს და ჭალებს,
რომ დედამინას დაატყონ კვალი.

მოიტაცებენ ღამეს ლანდები,
დასიცხულ კლდეებს ასდით ალმური,
დამისხდებიან გულზე დარდები,
არც დაფნა მშველის, არც სალამური.

ვიცი, ბინდს ნაშლის დილის სიფითრე,
მომემატება თვალებში სითბო,
იმ სადაგ წლებზე აღარ ვიფიქრებ,
ოღონდ იმედებს ნულარ ჩამიქრობ.

ჩამოვარიგებ ცრემლსა და ღიმილს,
მზის ბილიკებზე სიყრმითვე ნაჩვენს,
შენთან შეხვედრა სიცოცხლედ მიღირს
და ტკივილების ატანას მაჩვენს.

.....

რა ეშველება თქვენი აბეზარ ქარებს?!.



განა კიდევ შეგეყრები?!

შერჩა ქალაქს მომთენთავი ხვატი,
ქარი ხვეტავს ფიქრით დაღლილ ქუჩებს,
მომენატრა ის ცბიერი მარტი,
ამინდს რომ ცვლის, ნამიერად, უცებ...

გაუსაძლის ტკივილს უძლებს გული,
ოცნებებში დამეფანტნენ წლები,
ცხოვრება კი მძიმეა და რთული,
გაღეულან გასავლელი გზები.

დასრულდება ეს სიცოცხლე ვიცი,
მივდივარ და ვერ ვიქარვებ ნაღველს,
მიმაქვს ხიბლი ქართულ ცის და მიწის,
ვინ შემინდობს ამ სამოთხის მნახველს?!

სად ნაუვალ ლაჟვარდებს და ფერებს,
სულსა და ხორცს ანკი როგორ დავთმობ?!
ამდენი ცდის და ლოდინის მერე,
შენი ქოხის სურნელიც კი მათრობს.

განა კიდევ შეგეყრები სადმე?!
უთქმელ დარდებს მივაბარებ მთვარეს...
ვერ გადავდებ სახვალაოდ სათქმელს,
დავედევნოთ წუთისოფლის ქარებს...

სხვა გაზაფხულებს...

შემოჰყვა ღამეს იუდას ლანდი,
და ხენეშის მიწა ჩუმი და ცხელი,
გულზე მანვება მიღეთის დარდი,
უჭირავს ჩემი მაჯა და ხელი.

ცხოვრება მოჰგავს ბობოქარ მორევს,
ნაპირზე ვდგავარ და დღემდე ვიცდი,
გზა უსასრულოდ მიჰყვება შორეთს,
დაიკეცება ჩემთვისაც, ვიცი...

ჩაცხრება ალბათ, სულის იარა,
გამითბობს ვინმე გადაღლილ ფიქრებს...
ნასიცხარ ღამის ლანდებს კი არა,
შენს ნაფხურებს გამოვყვე, იქნებ...

მინდა, ოცნება მექცეს სიცხადედ,
დრომ ჩაგვიქროლოს ვინძლო, უკვალოდ...
სხვა გაზაფხულებს ერთად ვკინძავდეთ,
შენ მოგვიმართე ხელი, უფალო!



ვერ დაგპირდები

დავტოვე ღია სულის სარკმელი,
სადაფის ფერით შემოდის მთვარე...
იქნებ ღამესაც ჰქონდა სათქმელი,
მაგრამ ჭინკები ფხიზლობენ გარეთ.
ვერ დაგპირდები, ვიცხოვრო ჩემთვის,
ანდა, თავიდან დავიწყებ ისევ,
და თუ იმედი სურვილებს ერთვის,
მიხვდები ჩემი დუმილის მიზეზს.
თმენის ტაძარში დაგიცდი კიდევ,
ბევრი რამ დამრჩა შენთან სათქმელი...
და მონატრება თუ ისევ გჭირდეს...
ღიაა ჩემი სულის სარკმელი!..

როგორც მზის სხივი

ქუჩის გადაღმა დგას შენი ლანდი,
ჩათვლემილ გრძნობებს აღვიძებს ჩემში,
ცივი დუმილის სევდა და დარდი,
თაიგულივით მიჭირავს ხელში.
ვერ მოგანვდინე ფიქრი, მალული
და ვერ გავაბი სულის ძაფები,
გაუფასურდა ეს სინანულიც,
უქმად ჩავლილი დღეთა განცდები.
შემომრჩა კიდევ სურვილი ხილვის,
ჩემი გზა მაინც სხვაგან არ მიდის,
რომ სინათლე ხარ, უნისლო დილის,
როგორც მზის სხივი, ჩუმი და მშვიდი.

წვიმის პეიზაჟი

(სურათი)

ჩამოიხია ღრუბელმა კალთა,
ლეგა ქულები ცაზე გორავენ,
გარიგებულან ნისლები ქართან,
მთაზე სხედან და თეთრად ბოლავენ.

ცრის, საცერიდან... შრიალებს წვიმა,
და სულს უბრუნებს დასიცხულ მინდვრებს;
„ხეთა რიგს“ სველი ფოთლები სცვივა,
მიზიარებენ მოწყენილ ფიქრებს.

უნილბოდ ვუმზერ ფერმკრთალ ვერნისაჟს,
გავითავისე და ვერ ვშორდები;
მზე ნაშლის მალე წვიმის პეიზაჟს,
უთვალავ სხივთა ოქროს შოლტებით!



დრო ბარბაცებს....

დრო ბარბაცებს შლეგიცა და მშვიდიც
და ხმელ ფოთლებს მაყრის ცივი ქარი...
ცხოვრება კი უგემურად მიდის,
ჩაურაზავ თავის ოთხი კარით.

შემომადნა იმედები ხელში
და ცხელ დარდებს გულში ჩუმად გამწყვდევე;
გაჯეჯილდა სინანული ჩემში,
რა ექნა მაშინ, თუ ხმას ველარ განვდენ.

შეეჩვია ნისლი თვალის კაკლებს,
შენს სიცოცხლეს გუშინ ჩემად ვთვლიდი,
კვლავ თავს ახლის ქარი სულის სარკმელს
და ცხოვრება უღიმღამოდ მიდის!



ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ნ ვ ი მ ა დ...

გამიცრიაგდა ღამე თვალებში
და მიცოცავდნენ ფიქრები გარეთ...
გაბეზრებული ქარის თარეშით,
ცის თაღზე თვლემდა დაღლილი მთვარე.

ჩუმ მოგონებებს ჩავჭიდე ხელი,
ვერ კი ვიპოვე თავი და ბოლო,
რა უფერულად წავიდა წელი,
გულზე წარსული მესვენა მხოლოდ.

და იქცა ცრემლი ნაცრისფერ წვიმად,
ღამე გულგრილად ხუჭავდა თვალებს,
რაც კი მიყვარდა, დიდი ხნის წინათ,
დღეს არ მიღებდა ჩარაზულ კარებს.

დაიმსხვრა ჩემი ყველა სურვილი,
სახატედ მექცა შენი სურათი,
მოჰქონდათ ქარებს მინდვრის სურნელი
და ყველაფერი იყო სულერთი.



ქ რ ის, ფ ი ქ რ ის ქ ა რ ი...

დაუკითხავად გაცვივდნენ წლები,
დავეძებ, როგორც გაბნეულ მძივებს,
დამოკლდა ჩემი სანუთროს გზები,
მიაქვს ცხოვრება, ვით ტვირთი მძიმე.

ქრის ფიქრის ქარი, მიწნავს დარდებს,
მკერდში მიწყდება გულის ძარღვები,
ო, როგორ მინდა გაზაფხულს ვგავდე
და სულს ათოვდეს თეთრი ვარდები.

ეს მოლოდინი მათბობს და მავსებს,
მამულის კართან ვდგავარ და ვიცდი,
მზეს შეეხაროდი სიცოცხლით სავსე,
ვითავისებდი ცრემლსა და სიცილს.

დიდი ხანია მტვერს ვაცლი წარსულს,
არ ლენავს ჩემი კალო და კევრი,
ვიზომავ მანძილს, ზეცამდე ასულს,
და მომდევს ნისლი, სადაფის ფერი.



მიმწუხრის ჩრდილში

გადაირივნენ ღამის ქარები,
შემოაღწეს ხეებს ტოტები,
გვიმტვრიეს სახლის დირე-ქარები,
აგვიკლეს მუნჯი მოთქმა-გოდებით.

იქნება ქარებს სტკიოდათ რამე,
მათი წუხილი ჩვენ არ გვესმოდა,
იმ უჩვეულო და სადაგ ღამეს
ტირიფი ასე რატომ კვნესოდა?!

ვიღაცა გვართმევს მამულს და სითბოს
და გვითვალთვალეს შური და ღვარძლი,
ცოდვილი ვინმე განკაცდა თითქოს,
თავის არშინით გვიზომავს მანძილს.

ვის ეკლის ნაცვლად დაადგეს დაფნა,
მოუნდათ სხვისი ბედის წარმართვა,
ქარს მისდევს მძიმე ცხოვრების აფრა
და ვამუნათებთ უღვთო სამართალს.

მე გულის კოვზით ვარიგე სითბო,
(ყველა სიკეთის სინათლე მსურდა)...
მიმწუხრის ჩრდილში ვდგავარ და ვფიქრობ,
მარტო შთენილი საკუთარ სულთან.

გზადაგზა ვტოვებ

რატომ გარბიან წელიწადები
და ერთი წამი მეორეს არ ჰგავს?!
გარემოცული ღამის ლანდებით,
სამყაროც თითქოს სახესა ჰკარგავს.

აღბათ სურვილი ჩამივლის ფუჭად,
თუ ჩემს თვალებში შენ არ იქნები,
ნაბიჯებს მითვლის ცბიერი ქუჩა,
არ მეხსნებიან მძიმე ფიქრები.

გზადაგზა ვტოვებ სიცოცხლის ნაწილს,
უაზრო სევდით მიწას ვშორდები...
მაისის ვარდებს იმედი აწვიმს,
ცერზე დგებიან ველის კორდები.

მე გულით დამაქვს ბევრი სათქმელი,
მამულო, შენს წინ მეხსნება ზეცა...
სულის შანდალში იწვის კანდელი
და გაუკვალავ ბილიკებს ვკეცავ!



უშენოდ

მე შეიძლება მოგკვდე უშენოდ,
გულზე სიავემ დამცეს ტორები...
ცისკრის გაზაფხულს ველარ ვუყელო,
ვერ დავიგულო გვერდით ტოლები...

მაისი ისევ მოჩითავს ტაფობს,
ყაყაჩო დასწავს ქართლის სანახებს...
მთვარე დაჰკიდებს ცის თოკზე ნაფოტს,
დილა ალოკავს ცვრიან ბალახებს...

წყაროზე წავა ხატულა გოგო,
მოსკდება დოქში ჟრჟოლა და ფიცი,
დაუვარცხნელი ტირიფი, ლორთქო,
ფეხქვეშ დაუგდება გამკილავ სიცილს...

აცეკვდებიან ჯუჯა ჭინკები,
ირემი ირემს შეძრავს ყვირილით
და ღამეული მძიმე ფიქრები,
აედევნება ნისლებს ღიმილით...

მომისაკლისებს მდელოზე ქარი,
მოხეტიალ სევდას როგორ ვუშველო?!
ჩახსენ, ძვირფასო, ეგ გულის კარი,
თორემ... სიცოცხლე წავა უშენოდ.

სახლი

გარინდებული თვლემენ სახლები,
ხედავენ ცრიაგ და უჟმურ სიზმრებს,
მოხეტიალე ქარის თანხლებით,
„პეშვით“ ფანტავენ მონყენილ ფიქრებს.

მდუმარე სახლი მიხმობს და მელის,
გადაუხდელი დამყვება ვალი,
კედლებზე ცოცავს ხავსი სიძველის
და მოდებულია ჟანგი და ბზარი.

წასულა სახლის ყველა სულდგმული,
სხვა ხიფათები შეყრიათ გზაზე,
არც სუნთქვა ვარდის... სტვენა ბუღბუღის...
ჯუჯა ბალახი ბიბინებს კარზე.

შემომისახლდა სევდა და დარდი,
მზიანი კერის ჩამქრალა ცეცხლი,
შემკრთალ სარკმელთან დგას დედის ლანდი,
ცრემლით და თმებში ჩამდნარი ვერცხლით.

ახლა სახლს დილის ნიაფი ვარცხნის,
ბოქლომზე ადევს წყვდიადის ლუქი,
ლოდინის დღეებს დუმილით მარცვლის
და ქრება ბინდი იმედის შუქით!..

სიზმრის თაროზე

სანუთრო მარტივ კანონებს გვინერს,
 დრო და გარემო შეგვიცვლის მერე,
 სიზმრის თაროზე სული რად მიდევს,
 რას ერჩის ხავსი მზენასვამ ფერებს?!
 შორიდან რეკავს მიმწუხრის ზარი,
 (ვიცი, ამაღამ ნაწვიმზე მოთოვს),
 გარეთ კი დარბის შეშლილი ქარი,
 დაასამარებს მძინარე ფოთოლს.
 დაბრუნდებიან დღეები, ისევ,
 ფერადოვანი, ჭრელი მარტივით,
 და რაკი გვცანი სიცოცხლის ღირსად,
 ცხოვრებაც გვინდა, ღმერთო, მარტივი!

ზამთრის ბაღებში

ზამთრის ბაღებში თარეშობს ქარი
 და ოქროს ფოთლებს ქუჩაში სძინავთ,
 ფიქრი მდევს მღვრიე, ცივი და მწყრალი,
 ამ უღიმღამო დღეების მიმართ.
 ვიცი, დროს მიაქვს თოვლი და წვიმა,
 ცხოვრებაც ასე, ავი და ქუში...
 მე კი უშენოდ ცხელ გზაზეც მცივა
 და ვერ ვიპოვებ ტკივილებს სულში....

ასე, უბრალოდ...

მაინც, საიტკენ მიდიან გზები,
 სად დავიგულო მყუდრო სავანე,
 ვინ შეაღენა სურვილებს ფრთები,
 ან ტანჯვის თმენას რატომ მავალებს?!
 ველარ ავუნყე ფეხი გულისთქმას,
 ჩამიწყდა ბენვის ხიდი, სავალი,
 მამულო, შენთვის დღემდე არ მითქვამს,
 რომ გამიწყალდა სულის წამალი,
 რომ ბილიკია მრუდე და გრძელი,
 ამ გზაზე ბევრი გაქრა უკვალოდ,
 რომ ცხოვრებაა რთული და ძნელი,
 გადის სიცოცხლე ასე, უბრალოდ!

დაე, დამნაცროს,
 სათის თვალეზმა,
 დამიყვავილდეს
 სულის შინდარა,
 მყავდე ბავშვივით,
 ურჩი, თავნება,
 მე სხვა სიმდიდრე
 არა მინდ არა!

უხილავი სიმით

ყველა სურვილი ნაჰყვა ზენა ქარს
და ვერ ვალაგებ დაბნეულ ფიქრებს...
მამულო, ჩემი სუნთქვა შენა ხარ,
მინაზე ვდგავარ და ძალას ვიკრებ.

მხრებზე მემსხვრევა აჯამი დარდი,
თავს ველარ ვუჭერ გახსნილ იარებს
და ტკივილებმა, გულზე რომ დამდის,
მდინარეებად გადამიარეს.

უხილავ სიმით შენთან ვარ, თითქმის,
ჩემი ჯვარი ხარ და ეშაფოტი,
გაცელილ დღეებს ვკინძავ და ვითვლი,
როგორც ავბედი წლების ნაყოფი.

გადაშლილი მაქვს ცხოვრების წიგნი
და თუ მეყოფა დრო და მანძილი,
გამითავისე, მამულო, ირგვლივ,
ცისა და მიწის ციცქნა ნაწილი.



ძველი
რკინაუდანი



გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი

რა აბრიალებს ცისფერთვალთან,
გამოვაჯავრებ იებს ნაზობას,
ჩვენი წარსული ნამეხარია,
მომავალი კი გვიფენს ვარდობას.
მე მიხარია, თუ მიხარია,
გაზაფხული და ახალგაზრდობა.

1961 წელი

გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი და ფერისცვალებაჲ!

მამადავითზე ღრუბელი ჩანვა,
ლოყას მიკოცნის ფარფატი ფიფქი,
გულგრილად მივდეგ დღეების მარცვლას,
ჟამი გაფრენილ ჩიტივით მიჰქრის.
რუსთველზე ბიჭი მომანვდის იებს,
ლიმილს ვთავაზობ ცისფერთვალეზას,
ყველა სიძნელეს შენს გამო ვძლიე,
გაზაფხულო და ფერისცვალებაჲ!

1961 წელი

მ ო ხ ვ ა ლ

იქსოვებოდა ნუთებით ჟამი
და მიჰყვებოდა ცხოვრება ჩვენი...
იქსოვებოდა ოცნებით ჟამი
და ვივსებოდით იმედით, რწმენით...
ახლა კი... ახლა მიმქრალი ღამე,
ურიგებს სახლებს სიჩუმეს, სიზმრებს...
შენ ვერ დაითვლი უჩემოდ წამებს,
მოხვალ, მომიტან ყვავილებს ისევ...

1961 წელი

* * *

ისე ცახცახებდა ღამის უბინობა,
სულ არ გვანახებდა ღრუბელთა თარეში,
არა, ნუ გვაცოცხლოს ქვეყნად უბინოდა,
არა, ნუ ვიცოცხლოთ ერთუროთის გარეშე.
სულში გადაინვა ლექსის კანდელები,
საითლაც ბუნებამ ზეფირი მორიყა,
მომე უკვდავება, თორემ... დავბერდებით...
პეშვით დაილევს სიცოცხლის ქრონიკა...

1965

მზეო, მარიამ!

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“...
ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნუ გიკვირთ თუ ფერთა სიუხვე მიტაცებს,
დეე, მოვკვდე, ამ ფერებს თუ დავემალები,
ფერებს რა გამოლევს დალოცვილ მიწაზე,
მაგრამ სულ სხვა არის ცისფერი თვალები.

მე მათში სიცოცხლის ნიშანი შევიცან,
მარადი სიამის გავმხდარვარ მწყურვალნი...
ფერების წვიმაში გამლუმპავს ჩემი ცა,
თოვლის ფანტელივით დავიპყრობ მწვერვალებს.

დავდივარ, მაგ თვალთა მზერა მწვავს, მაფიქრებს,
ოცნება მთის ნისლებს ზეცამდე მიჰყვება...
ჟამთა სვლა ამ თმებზე დამაყრის ნაფიფქებს,
ჟამთა სვლას შორეთში მივყევარ, მივყევარ...

ნუ მომკლავს ეგ მზერა, ნუ მაქცევს ფერფლისებრ,
ხომ იცი, სიყვარულს ვერ დავემალები,
მზეო, მარიამ, წყალობა მაღირსე,
მაახლე მეგზურად ცისფერი თვალები...

1965 წელი

დაულოცეთ

ვინ ესტუმრა საქართველოს,
 შეადარა სიტყვა ნახულს,
 გვინუნებდეს ვაზის ძალას,
 გვინუნებდეს „კარდენახულს“...
 ვინ ესტუმრა საქართველოს,
 თან არ ნაჰყვამთების მადლი,
 ვაზის ქება არ წაიღო
 პარიზს... ლონდონს... პრაღას... მადრიდს...
 საქართველოს საზღვრის ზღურბლზე,
 არ დაადგა ფეხი სპარსმა,
 რაც გადურჩა ჯალალ-ედ-დინს,
 შაჰ აბასის ხმალმა პარსა...
 ჩეხდა ლეკი... ჩეხდა თურქი...
 შამხალი თუ მონღოლთ სპა და..
 ღვინის ძალა ეამა თუ
 მოემატა ხონთქარს მადა...
 ჩეხეს, ჩეხეს... უღვთოდ ჩეხეს...
 რომ ჩაეხშოთ ქართველთ ძალა,
 მაინც, ფესვი მიწას შერჩა,
 გაიფურჩქნა, გაიშალა...
 და რაკი გვაქვს ზეცა ქარვის,
 მზის ველებზე ყანა მნიფობს...
 დაუჩოქეთ ვაზის მნიდნავს,
 დაულოცეთ ვაზის ჭიგო!...

1963 წელი.

უფლისციხეში

„გამოვიმინდვროთ, წავიდეთ უფლისციხეს
 და როშკას“...

მედეა კახიძე

ვერ დავაკარე ფეხი დარბაზებს,
 ვერ ვნახე ფრესკა, სახემიმქრალი,
 ეს გაზაფხული შუქით ამავსებს,
 დღეა, ქირქალი...

უფლისციხეში ვდიე სურვილებს
 და დავინისლე წმინდა ალაგით...
 ვხედავ ვაჟკაცებს, შუბლდაბურვილებს,
 ლურჯი სკარაგმით.

ცხენთა თქარათქურს მისდევდნენ წლები,
 მათი სიცოცხლე ჰგავდა სიმღერას...
 თვალს ვერ ივსებდა ვაჟკაცის ძვლებით
 სპარსთა ქიმერა...
 ბევრჯერ წაიღეს დედათა ცრემლი,
 მიწა კი... ვერა!..



მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო ბ დ ა მ ც ხ ე თ ა

გიორგი ლეონიძესთან ერთად

ქარს მოჰქონდა ნაზი სუნთქვა
და... ჩურჩული ხეთა,
ხელგაშლილი მასპინძლობდა
დაქარგული მცხეთა.

შემოხვედი შენებურად,
მოგყვა სიტყვის სიტკბო,
ზამთარი ვით მომერევა,
სულს სტრიქონში ვითბობ...

შემოხვედი... თან შემოგყვა,
სიტყვა დაძარღვული,
საქართველოს სიყვარულში
ანთებული გული.

თქვი: ჭაბუკნო, წინაპართა
სადღეგრძელო შევსვით...
მინის გულში ჩაწყობილა
მათი ფენა ექვსად...

აქ მარხია მხარგაშლილი
ვაჟკაცების ძვლები,
ბრძოლის ველზე დასისხლული
დამსხვრეული ხმლებით...

თქვი და, შევსვით სადღეგრძელო,
არმაზის და ჯვარის,
შემოსეულ ურდოს ლენდა
გორგასალის ჯარი.

აქ მტრის რისხვა თავს დააწყდა,
გადაეწო ერთხანს,
მამულს მსხვერპლად შეენირა
მრავალ გულის ფეთქება...

თქვი და, შევსვით სადღეგრძელო
დიდების და შრომის,
სიყვარული აგვამაღლებს
მეგობრის და ძმობის,

სვეტიცხოვლის კარიბჭესთან
ცოცხლობს საქართველო,
თქვი და მისდა სადიდებლად
შევსვით სადღეგრძელო...

ქარს მოჰქონდა ნაზი სუნთქვა
და... ჩურჩული ხეთა,
ხელგაშლილი მასპინძლობდა
მცხეთა!...

1963 წელი.

ს ა მ შ ო გ ლ ო

ავანთებ სულის სასანთლეს,
 გულის გულს მოგცემ ზვარაკად,
 მზეო, რა სხივით გვანათებ,
 მიწავ, ვით გვაძლევ ბარაქას?!..
 გვაქვს საფირონი უთვლელი,
 სიცოცხლე ათასფერადი,
 ვაჟას ჩანგი და რუსთველი,
 ლექსი, საამოდ მჟღერადი.
 შოთას სტრიქონით ნამულო,
 უწინ გნატრობდნენ არაკად;
 მტლად დაგედები, მამულო,
 გულის გულს მოგცემ ზვარაკად...

1962 წელი

ჩემი მეგზური

ზღვას დასწოლია ავაზა, შავი...
 ო, სულ სხვაგვარი დამდგარა ღამე,
 მიცურავს ერთი პატარა ნავი
 და მიაქვს ჩემი ბედის სადავე...
 სული ბობოქრობს, როგორც ენგური,
 არის ფერების ზვირთთა თარეში,
 სამშობლოვ, შენ ხარ ჩემი მეგზური...
 მიცურავს ნავი ზღვიურ ღამეში!...

1963 წელი

შენ მეგულები...

ველს მოსდებია ხანძარი,
 ფერთა ლხენაა აქეთა,
 შავხალიანმა ყაყაჩომ
 თვალები შემომაფეთა.

შემომციცინა მერცხალმა,
 კუდმაკრატელა მაყარმა,
 ვარდმა შემხედა ღიმილით,
 ფიფქები გადმომაყარა.

ცის კაბადონი სადაფით
 გარემოს ათინათინებს;
 წინ აფრენილი ტოროლა
 სიმღერით გამინაპირებს.

თავს წავადგები ყვავილნარს,
 ცდუნებას თუკი გადვურჩი,
 „საქართველოო, ღამაზო“,
 რა ხელი გხატავს, რა ფუნჯი.

შენ მეგულები საფიცრად,
 შენით ვსულდგმულობ, ვხმთანობ,
 მიწაო, ძარღვო სიცოცხლის,
 ზეცაო, ჩუქურთმიანო!...

1962 წელი

მ გ ზ ა ვ რ ი

მზის ქვეყანაში მოვსულვარ მგზავრი...
ვკინდავ წლებს, როგორც ქარვისფერ მძივებს...
კლდესაც უჩნდება რძისფერი ბზარი...
ხანდისხან ფიფქიც გახდება მძიმე...

დამაქვს ქალური ყვითელი სევდა,
ხან ვარ ფოთოლი... ხან ვარ ბალახი...
და ფიროსმანი ფერებში მხვევდა,
ცისა და მიწის ოქროს ვარაყით...

თუკი გადავყრი ქალაღზე სიტყვებს,
დამდაღავს ერთი ლექსის ხანძარი...
პატარა გულში დიდ განცდებს ვიტევ,
მზის ქვეყანაში მოსული მგზავრი...

1969 წელი.



ნინოს ჯვარით!

მოვდიოდი შენთან, მცხეთით,
ნინოს ჯვარი მქონდა ხელთა,
არ მისმენდა შენი ღმერთი,
მაშ, ნაფიქრი როგორ მეტქვა?!...

შროშანი ვარ...ქარი მფანტავს...
ნაღვერდლებზე სოკოდ ვიწვი...
ვერ ვიზომავე ველის ფართალს,
ორთქლი მათრობს ნედლი მიწის.

დაგეწევი თქორი წვიმით,
შამბიანში დავცემ კარავს...
ჩავსაფრდები გზაზე მწირი,
უფლის თვალწინ მოგიპარავ.

წყურვილი მკლავს შენი ხილვის,
ვით მიმოზა, ვთრთი და ვმორცხვობ,
ნუგეშივით დამაქვს სიბლი,
რადგან ჩემში ხარ და ცოცხლობ...

მოვდიოდი შენთან, მცხეთით.
ნინოს ჯვარი მქონდა ხელთა.
არ მწყალობდა შენი ღმერთი,
მაშ, ეს ლექსი ვისთვის მეტქვა?!

1962 წელი.

ძმობის ტაძარში

კონსტანტინე ტერნოვოის, უკრაინელ ექიმს, მეორე მსოფლიო ომის გზაზე შეძენილი, სამთავისელი თენგიზ უზნაძის მეგობარს.

თიბათვის ხვატი გვაჭერს მარწუხებს,
რიჟრაჟი ხვდება ცისფერ მაყრიონს,
ერთი საფლავის ბორცვი მანუხებს,
მას სამთავისის მიწა აყრია...
ძმობის ტაძარში სწვავდა კელაპტარს,
ვერ გაულივდა ბედის მარცვალი,
ქვეყნად სიცოცხლე თუკი ემართა,
ისიც სამშობლოს მზეს ანაცვალა.
წლების სამანთან კაცი საუბრობს,
/ მეგობრის ცეცხლში მეც კი ვიწვები /,
მარადისობის ნერგი დაურგო,
ჰიმნი უმღერა არდავიწყების.
ჰიმნი უმღერა ქართულ საფირონს
და უკრაინულ ფერიცვალობას,
ღმერთო, უშველე, არსად განირო,
სიცოცხლის დიდი გარდუვალობა...
ღმერთო, აუხდეს თეთრი სიზმარი,
ოცნება ცამდე მხრებით აზიდოს,
სამთავისს ადგეს ორი ცისკარი,
ძმადშეფიცული ვაზის აკიდო.

1980 წელი.

ჩვენ რომ უკვდავი გვემონა...

ყუყუნა მაღაციძე-როინიშვილის ხსოვნას

თეძმისხევს წასვლა მომინდა,
აგორდა ფიქრის გორგალი,
გულს მონატრება კორტნიდა,
თვალზე ცრემლია მომდგარი...
მთაზე წევს ქალი ლამაზი,
მასთან შეხვედრა მომინდა,
ავსილა მისი „დარბაზი“,
ცივი ქვითა და ლოდითა.
ადრე ჩაუქრა ნათელი,
მარად სხივგაუხუნარი,
დაიწვა მისი სანთელი,
მტვრად ექცა შნო და უნარი.
მოყვასის ფასი იცოდა,
სად დახვდა სენი ტიალი,
ჩვენთან უკვამლოდ ინვოდა,
სიცოცხლის დიდი ტრფიალი.
დააკლდა სათნო საქალეთს,
ოჯახს, მამულს და მეგობარს,
მირაჟი დარჩა საქარეთს,
ჩვენ რომ უკვდავი გვეგონა.
თეძმისხევს წასვლა მომინდა,
მიგორავს ფიქრის გორგალი,
გულს მონატრება კორტნიდა,
თვალს - ღრუბელია მომდგარი...

კითხვა - უპასუხოდ

ეს არხეინი სანუთრო,
ჩვენი არის თუ სხვისია?!
იქნებ, სჯობია მან უფრო
აგვიხსნას თავის მისია.

რა თავში ვიხლი ამ ყოფას,
სიცოცხლეს კორტნის მზაკვარი;
ნეტავი შენთან მამყოფა,
დამადაფინა გზა- კვალი.

ნეტავ გვაცალოს განგებამ,
ჩვენს მკერდზე მთვარეს ეძინოს;
სიტყვა თუ დაგვეკარგება,
იმედი გადაგვერჩინოს.

ხანი მატულობს, რაც უფრო,
ცხოვრება გასაძლისია,
გულარხეინი სანუთრო,
ჩვენი არის თუ სხვისია?!


ნაუკითხეთ პატარებს

ფ ა ლ ა ვ ა ნ ი

შეიყარნენ პატარები,
სათამაშო იდგა დარი...
გააკეთეს სოფლის ბოლოს
საჭიდაო მოედანი.

ახმიანდა ზურნა, დოლი...
უკრავს გელა, ერთი ციდა...
გიას ბადრი, ზურას - ვანო,
თემურს - ზაზა დაეჭიდა...

ჯერი დადგა შაქრო ბიჭის,
აბა, ჩქარა, განი, განი!...
დასცა ზურა, სძლია - ვანოს,
გახდა სოფლის ფალავანი...



მონადირე

აღიასა, ბაღიასა...
დავეძებდი კაღიასა...
დავიჭირე, მოვიყვანე,
დავამწყვდიე გაღიასა...

აქეთ ვეცი, იქით ვეცი...
შევებენე ვარიასა,
თუ გიყვარდე, უდარაჯე
ტყვედ ჩავარდნილ კაღიასა...

ისევ წაველ სანადიროდ,
ჩავუარე ვაზიანსა,
მსხალთან თვალი შევასწარი
დათუნიას, ბრაზიანსა,

ვესროლე და გავაგორე,
მოვათრიე ნაღიასა...
სახლში შეველ, რასა ვხედავ?
ხელი ვტაცე გაღიასა.

შიგ კაღია აღარ იყო
გაქცეოდა ვარიასა...

1965 წელი.

ჩუქსები ინგლისური თარგმანით



თარგმნა
მზია კვირიკაშვილ-ლოურენსმა

* * *

მივჩერებივარ დაბინდულ სარკმელს,
დავეძებ მიმქრალ ნისლის ბორიოს,
სცვიოდა ღვენთი შანდალში სანთელს,
ვიღაც ხატავდა დილის ორიონს.

ცხოვრება ჰგავდა ამღვრეულ მორევს,
ღრენით მოგვდევენა მშიერ ძაღლივით...
შენ ლაჟვარდები მითხარი, თორემ,
წლებიც მეყოფა ფიქრით დაღლილი.

მამულო, შენი სინათლე მსურდა,
მხიბლავდა ლურჯი ზეცის სიმაღლე,
ველური სივრცე და მიწის სუნთქვა,
შენი ამაყი დიდი სილალე...

უბრად მიდიან წელიწადები,
სანუთრო თავის არშინით გვზომავს...
რჩება ტკივილი, გულის დარდებით...
და ცხოვრებასთან ამაო ბრძოლა...

* * *

I am staring at the dim, misty window,
I am searching for north wind in the fog.
A candle is melting in a Chandelier,
Someone is painting Morning Orion.

Life has been like a muddied whirlpool,
It is chasing us like a hungry dog.
Perhaps you can show me the azure clear sky,
As it is enough, my tired years.

My precious fatherland, I want your light,
It fascinates me your high blue sky,
Your wild space and your soils breathe,
Your pride, your grace and incredible strength.

The years are going by; they are running fast,
This world measures us in its own way.
There is pain, and it remains,
Fighting with fate, it is in vain.

* * *

სად დგანან, ნეტავ, ზამთრის ჯარები,
რომელ პოლიგონს შერჩნენ ღრუბლებად?!
არცა სიმშვიდე, მინდვრის ქარების
და არცა თოვა - გადაუღებლად...

მიჩვეული ვარ პატარა ქალაქს,
მის ვარსკვლავიან ზეცის მინარეთს
და როცა გულში ტკივილი მსჭვალავს,
როგორც მკურნალი, მხედება მდინარე.

დროს ჩაბარდება წვიმაც და თოვლიც,
ვერ ვპოვე ფიქრის თავი და ბოლო,
საესე ვარ მძიმე განცდით და თრთოლვით,
სიმწრის ცრემლები მასველებს მხოლოდ.

სულში ღამეა და ცივა გარეთ,
ვუსმენ ქარების აწყვეტილ კივილს,
შემომიღებდე ოღონდაც, კარებს,
ამაცილებდე წუხილს და ტკივილს...

.....

სად დგანან, ნეტავ, ზამთრის ჯარები?!

* * *

If only I knew where winter troops guard!
At which regiment did they remain as clouds?!
No serenity, nor meadow winds,
Not even snow – unceasing falling.

I am used to living in a small city,
I love its sky embroidered with stars,
And when pain pierces my heart deeply,
A river appears as its best healer.

Rain and snow will pass in time,
I could not find any sense of life,
I am full of feelings and trembling,
Tears of bitterness wet my being.

Inside me a night, and cold outside,
I hear the screams of the raging winds,
I wish you to open my long-locked gates,
To save me and avoid anxiety and pain.

.....

If only I knew where winter troops guard!

ვინ დამიქარგავს?!

დაუტოვიათ ღმერთებს საუფლო,
 ცათა და ხმელთა ძონის სავანე...
 შენს ნაფიქრალთან ვით ვისაუბრო,
 ვინ ამინენავს გიშრის დაღალებს,
 ვინ დამიქარგავს ზეცის საფირონს,
 პარნასში სძინავთ თეთრ აკაციებს...
 გიცდი...მივყვები... ვფიქრობ... ვჯახირობ...
 ტორტმანით მივდექ გიჟმაჟ გრაციებს...

.....

დაუტოვიათ ღმერთებს საუფლო,
 ცათა და ხმელთა ძონის სავანე...

WHO WILL EMBROIDER?!

It seems the gods abandoned their kingdom,
 The abode of coral of heavens and earth.
 How can I talk to your mind and thoughts?
 Who will disorder my plaited hair?
 Who will embroider the heaven's sapphire?
 White acacias are sleeping in Parnassus.
 I wait for you, I struggle, follow my thoughts,
 I am lurching after mischievous Graces.

.....

It seems the gods abandoned their kingdom,
 The coral abode of the heavens and earth.

გზაჯვარედინზე

შენ პოეზიის ცეცხლით იწვოდი,
ო, მეც კი მიყვარს ლექსთან ლაცოცი,
გული გაჩუქე და არ ვიცოდი,
გზაჯვარედინზე როგორ დაგცილდი.

და აჰა, შემხვდი... ველარ მიცანი,
თმებზე ორივეს გვადევს ფიფქები,
ისევ აფრინდა მკერდში ციცარი,
ისევ დაიძრა მძიმე ფიქრები.

ხეები ოქროს ფოთლებს გვაცრიან,
მთვარის საყურე ამკობს თრიალეთს,
დაველოდები იმ დღეს, მაღლიანს,
ჩვენ რომ კოცონად აგვაბრიალებს...

ON THE CROSSROADS

You were burning with the poem fire,
And I loved playing with verse rhymes,
I gave you my heart, but I did not know
How did I lose you at the crossroads?

And lo and behold, we met each other
You couldn't longer recognize me,
Our heads are covered with silver,
A sparrow flew into the chest again.

The trees cover us with golden leaves,
Moon adorns Trialeti with earrings...
I will wait for that very blessed day,
When we will be lit as a bonfire ...

1971

* * *

ვარ შეხიზნული ფიქრს და ჯავარში,
რომ ყოფა ჩვენი ცხოვრებას არ ჰგავს...
და სურვილების ხანგრძლივ დავაში,
იქნებ რაღაცას უაზროდ ვკარგავ.

თუ სიზმარია ეს ყველაფერი,
თუკი ფიქრებსაც არავინ მიშლის,
წყვდიადშიც ვძებნე ფერი, ნათელი,
გადავივინყე მტანჯველი შიში...

შეჩვეული ვარ ტკივილის მალვას,
დუმბილიც არის ყველაფრის შემძლე,
არ დავანებებ წამილოს ქარმა
და არ ვიტვირთავ, რასაც ვერ შევძლებ.

მოდის ზამთარი, ზოგჯერ კეთილი,
მხრებს მიქარგავენ წვიმის მძივები...
შორს მყინვარია, ცასთან შეზრდილი,
ახლოს - მზე, როგორც დიდი იმედი!

* * *

I'm obsessed with thoughts and worries.
That our being is not like life ...
And in a protracted dispute of desires,
I may miss many main things.

And if everything around is only a dream,
If no one even disturbs my thoughts and mind,
I'll look for brightness in the pitch dark,
I'll make myself forget the painful fear ...

I'm used to hiding my inner pain,
As I know, silence is omnipotent,
I will not let the wind take me,
And I do not do what I can not.

Winter is coming, sometimes, kind!
My shoulders are embroidered with rain beads,
Far away, a glacier rising to the sky,
But I am hopeful as closer to me is the sun.

* * *

ვილაც თავისთვის მღეროდა... წუხელ...
გვინაწილებდა გულსა და სიტბოს...
მსმენელი... ვინმე... ტკივილს და წუხილს
ბნელ „ჯურღმულებში“ მალავდა თითქოს.

ცას კი ჰკიდია ნისლის ფარდები,
ხეებსა ლენავს როკაპი ქარი...
გზებზე დახტიან ჭინკის ლანდები
და სადღაც რეკავს მიმწუხრის ზარი.

ვისმენ და თვალზე ვიმშრალე კურცხალს,
რად გვექონდა წლები მკაცრი და მძიმე,
გულგრილად მივდეგ დღეების ფურცვლას
და ღმერთთან ვეძებ დაკარგულ იმედს.

* * *

Someone was singing last night,
Sharing background his heart and anthem,
And someone, an anxious listener, as if,
Was hiding his pain in a dark dungeon cell.

But now in the sky, misty curtains hang,
Some ruthless wind, tree branches smash,
On the road, hobgoblin shadows dance,
And a sunset bell calls somewhere nearby.

I hear the bell, and I dry my tears.
Why our years have been so harsh?
Turning day-pages and with my cold heart,
My long-lost hope I seek with my God.

* * *

თავისთვის... წყნარად, შრიალეებს წვიმა
და სულს უბრუნებს გამომშრალ მინდვრებს...
„ხეთა რიგს“ სველი ფოთლები სცვივა
და ქარს ატანენ მოწყენილ ფიქრებს...

უჩემოდ ნეტავ, ახლა, სადა ხარ,
ვით ვძებნო შენი საქმე და სახლი?!
ეგ გაღიმება, რომ დამანახვა,
გავითავისებ გზებსა და ძახილს...

ვინ დაგვიმსხვრია სურვილის ფრთები,
თან რად დაგვდექდა შური და ცოდვა,
იმ უჩვეულო ტანჯვით და ვნებით,
ბედი, აშარი, რატომღა გვქონდა?!
?

თავისთვის წვიმს და... არ მიდის არსად,
სულს დაუბრუნებს ნაზამთრალ მინდვრებს...
და მეც იმ სველი ფოთლების მსგავსად,
ქარებს გავატან მოწყენილ ფიქრებს!

23 დეკემბერი, 2020 წელი

* * *

The rain is rustling itself quietly,
And it gives life to the dried-out fields.
Wet leaves are falling from the trees,
They send sad thoughts with the wind.

Where are you now without me?
How do I find your home and work?
If I only once enjoyed your smile,
I would find the way to your soul.

Who has broken our desired wings,
Why would envy and sin follow us?
With that unusual passion-suffering
Why should we have a vulnerable fate?!

It rains for itself and goes nowhere,
It will return the soul to the bear fields,
And I, like those wet, teary leaves,
I'll send my sad thoughts with the wind!

December 23, 2020.

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

ოქტომბერი ოქროს თვეა,
ძონითა და ლალით ქარგავს,
ოქტომბერში ჩემი დღეა,
და მე ვიცი... რასაც ვკარგავ...
გადამთელა ფიქრთა რემამ,
ვიღაც ზომავს დროს და მანძილს;
შორს მიგანა უფლის ხელმა,
ქარვის დღეებს თვალწინ მაცლის...

.....

ოქტომბერი ოქროს თვეა,
ძონითა და ლალით ქარგავს...

CTOBER

October is the golden month,
It embroiders with garnet and rubies,
It's my birthday in October
And I know... what I'm losing...
Overtrampled me a ream of thoughts,
Someone measures distance and time;
The Lord's hand has reached me already,
Amber days grabbed from life.

.....

October is the golden month,
It embroiders with Garnet and Rubies...

ბიჭვინთის ნოსტალგია

ჟურნალისტ მერი ზაალიშვილს

დამთავრდება ოდესმე ყორნისფერი ცხოვრება,
 გაიხსნება ღალატით დაგმანული სარკმელი...
 უფლით მოვა სიმშვიდე, როგორც სულის ცხოვნება,
 წარსულიდან გამოვა მტვერწაყრილი სათქმელი...

წაიშლება მინაზე ნაოხარი სერები...
 გადახვეტავს არნადი ღრუბლებს, ქარით დახეულს...
 შემოგვხვდება ბიჭვინთა ცისარტყელას ფერებით
 და ვიხილავთ აფხაზეთს მზის ფარჩაში გახვეულს...

ეს ნატრული ოცნება ნეტამც, მალე აგვიხდეს,
 „გავაცოცხლებთ“ შეხვედრებს თვალეზში რომ ჩამსხდარან...
 დახანჯლული სიტყვები მრუდედ რომ არ წაგვიცდეს,
 ძმობის გზები თავიდან გასავლელი გამხდარა...

განშორების ტკივილი გულის გულში ჩასულა,
 სისხლის ზღვიდან ცრემლები სულ რუმბებით წავიღეთ,
 ის ჯვარცმული სიავე გოლგოთაზე ასულა,
 მიტევების ტაძარში სალოცავად წავიდეთ!...

OSTALGIA OF BICHVINTHA

(To journalist Mary Zaalishvili)

The once, I hope, raven-colour life will end,
 The window sealed tightly by betrayal will open...
 With the Lord's peace, soul salvation will come,
 And a dusty story of the past will emerge, at last.

It will be all erased battle-destroyed hills,
 Shovel will sweep the clouds, torn by the wind...
 Bichvinta will greet us with a rainbow of colours
 And we will see Abkhazia wrapped in the sun...

May this longed-for dream come true soon,
 We will bring to life the long-wished rendezvous,
 Daggered bitter words crookedly not to be used,
 The ways of brotherhood have become renewable.

The pain of separation has entered the heart depth,
 We took tears from the blood sea with all the vessels,
 It was achieved for Golgotha the crucified ruthlessness,
 Let us go to pray in the temple of forgiveness!

ც ვ რ ი ა ნ ს ე ლ ე ბ ი თ...

გააფერადა ღამემ უკუნი,
ცვრიან ხელებით იფშენიტავს თვალებს,
მაფხიზლებს მინის მძლავრი გუგუნი,
მინდვრის სურნელი შემოაქვთ ქარებს.

შენ კი, უჩემოდ როგორ იარე,
ვის ჰქონდა შენი ლოცვის უფლება?!
ქარაშოტებმა გადამიარეს,
ბევრჯერ მანვიმეს ცრემლის ღრუბლებმა...

მე უშენობა მამღვრევს და მთრგუნავს,
ველარ ვიშორებ უენო ტკივილს...
წუთისოფელი მიდის და ბრუნავს,
არ ისმენს სულის ამბობს და კივილს.

ჩემს სურვილს ახლა ცხოვრება მართავს,
თავისთან იხმობს და ტახტზე აწვენს...
ვით მივეშველო ცოდვილს და მართალს,
თუკი გვართმევენ სიცოცხლის ნაწილს.

ჩვენ რატომ გვერგო ზეცა პატარა,
ან, რად აღმოეჩნდით სხვადასხვა მხარეს?!
ბედმა იარით წლები მატარა
და მანვდის ისევ იმედებს... მწარეს!

მიედიდება ცხოვრება მდორედ,
თმებში ჩამეწნა ფერები ვერცხლის,
გულში კი, შენთვის მუდმივად ვტოვებ
ადგილს, რომელსაც ვერავინ შეცვლის!

* * *

The night coloured the dark surroundings,
He wipes his eyes with moistened, dewy hands,
The powerful hum of the earth awakens me,
The winds bring in the beautiful fragrance of fields.

And you, how did you walk without me
Who had the right to pray for you?!
Blizzards and wind-storms passed over me,
And unmeasurable tears of clouds.

An absence of yours depresses me,
I can't get rid of the silent pain,
It goes around and turns this instant world,
And it does not hear the soul rebellion.

My desire is now governed by life,
It calls to him and puts him on the throne...
How can I help the sinner and the righteous,
If evils take our life part away?

Why were we given such a small sky?
Or, why did we end up on different sides?!
Fate carried me with the deepest pain,
And it offers me false hopes again!

And life flows smoothly, sluggishly,
The silver colour was sneaked in my hair.
But in my heart, I always leave a place,
The place for you that no one can change!

და ვლოცულობდი!

ვილაცა წუხელ უკრავდა შოპენს...
 მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის...
 ვარდის მაისი ქარგავდა სოფელს
 და ვლოცულობდით მეცა და... ღმერთიც!

დაღლილი ღამე ლულავდა თვალებს,
 დუმდნენ სახლები, რულდაძლეულნი,
 ღრუბლების მაღლა მიჰქონდათ ქარებს,
 ფიქრები ჩემი, ლოცვად ქცეული.

გზა ხერგილებით არის სავალი,
 მზით სავსე გვინდა ქართული ჭერი,
 უფალო, ახლა არის მთავარი,
 გადაგვიჩინო სამშობლო ჩვენი.

ვილაცა წუხელ უკრავდა შოპენს,
 მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის;
 თეთრი ვარდები ათოვდა სოფელს
 და ვლოცულობდით მეცა და... ღმერთიც!

WE WERE PRAYING!

Someone was playing Chopin last night...
 The music followed the zephyr and merged it,
 May of roses embroidered the village,
 My Lord was praying, and I, too, prayed!

The weary night was going to sleep,
 The house was silent, resting in peace,
 My thoughts as prayers were carried
 Above the clouds by the outrageous winds.

The road is covered with gravel mass,
 We want a Georgian ceiling full of sun.
 My Lord, now it is essential for us,
 You unite us to save our homeland.

Someone was playing Chopin last night.
 The tunes of music followed the Zephir,
 The white roses dispersed in the village,
 And together, My Lord and I were praying.

კ ლ დ ე კ ა რ ი

ეს ზამთარიც ნისლეზივით გაილევა,
იქნებ ძალა მისი ისევ თოვლში არის,
გულს გამიხსნის გაზაფხულის გაელვება,
დამბალ მიწას ავარდება ოხშივარი.

ამ ტკივილით სახლში ველარ გავჩერდები,
სული ჩემი გიჟმაჟ ქართან დაწყვილდება,
წავალ მთაში, მიმელიან ჩანჩქერები,
წავალ, ვიდრე, თრიალეთში განვიმდება.

რკონში ლოცვის ჟამი უდგათ ანგელოზებს,
ქვახიდაზე მზე დაჰკიდებს ფერად ფარდას,
ტყის ნიმფები შეიხსნიან ავგაროზებს,
ჩამუხლავენ თამარ მეფის ნატერფალთან.

აღბათ, მოთოვს, ცამ შეყარა ღრუბლის ჯარი,
ამ სიჩუმის არცა მწამს და არცა მჯერა;
დგას კლდეკარი, უდრეკი და უშიშარი,
ვით კარიბჭე - საქართველოს გულის ძგერა!

KLDEKARI

And this winter will pass like dense fog,
Maybe its power is still in cold snow,
The flashing of spring will give me new life,
Steam will arise from the moistened earth.

I can't stay at home with this pain,
My soul will join the whirlwind's raging,
I'll go to the mountains waterfalls where wait,
I will go before in Trialeti will be rain.

In Rkoni, It's time for Angel to pray,
On Kvakhida, the sun will hang colourful carpets,
The forest nymphs will loosen talisman amulets,
They will kneel before Tamar King's footsteps.

It may be snow as clouds fill the sky.
I neither believe nor trust in this silence;
Kldekari stands - fearless and steadfast,
The Pride of Georgia and its Gate Entrance.

ბ რ ა ლ ი

დუმს ტელეფონი... არ შემოდის ნაცნობი ზარი,
სული კი შფოთავს, გულში სევდას გაუდარია...
გარეთ კარს მინგრევს, ავაზაკი, შეშლილი ქარი,
ჩემი „სენაკი“ დაემსგავსა ჩიტის გალიას.

გვქონდა ულევო, საზიარო, ერდო მაღალი,
ხელით ვწვდებოდით, კაბადონზე, ლაჟვარდის ფერებს,
ვინ ჩამიხერგა გზა-ბილიკი, შენსკენ სავალი?!
დროც მონყენილი, უღიმღამოდ წავიდა, მერე.

დუმს ტელეფონი, აღარ რეკავს ნაცნობი ზარი,
თვალში ნისლი წევს, გულში სევდას გაუდარია...
ამალამ ისევ მომიხტება ფიქრების ქარი,
ზარის დუმილიც, „უნყინარი...“ დიდი ბრაღია!..

FAULT

The phone is silent... there is no familiar call,
My soul is worried, and my heart is whole of despair,
A thug and mad wind fight to break my door,
My “shelter” resembled the cage of a newly captured bird.

We had a broad, shared, high, flat earth roof,
We used to reach the azure colours of the sky vault,
Who blocked the way for me, aiming at you?!
In the dull times, we also passed indifferently, without a goal.

The phone is silent; the familiar call no longer rings,
There is fog in my eyes, and sadness gnaws my soul,
Tonight, the wind of thoughts will disturb me again,
The silence of the call, “harmless...” is a significant fault!

მომისაკლისებს...

ნეტავ სადა აქვს ოცნებას ზღვარი,
შენთან მოვყვები იდუმალ ხილვებს,
ალარ გაჩერდა სისინა ქარი,
ფიქრი მღლის მისი სიშლეგის მხილველს.

დღე მიდის, ზოგჯერ ჩუმად და წყნარად,
ხან კი მზე წვიმით დაიბანს ხელებს,
გულს უშენობა თუთქავს და ბზარავს
და მიფერმკრთალებს მენამულ ფერებს.

მდევენ დარდები, წლებზე სამყოფი,
ველარ ვპოულობ დაკარგულ იმედს,
მომისაკლისებს გინმე, არყოფნით,
წაჰყვება წარსულს ცხოვრება მძიმე.

ზურგზე მკიდია მამულის სევდა,
მტერი დემონში ზის და ქირქილებს,
ხავსთან ჭიდილი დამყვება ბედად,
და ვებრძვი დღემდე ქარის წისქვილებს!

IT WILL MISS ME...

It wonders me the question about dream limit,
I follow you in the mysterious imaging,
The wind hasn't stopped hissing and whistling,
The thought tires me the seer of its raging.

The day goes by, with the morning dew,
Sometimes, the rain washes the sun's hands,
The heart is torn and cracked without you,
And it turns pale, my purple colours.

Sorrows haunt me sufficiently for years,
I can't find my lost hope in my way,
Maybe someone will miss me one day,
And it'll follow the past - my life, so hard.

I am burdened with motherland thoughts,
The enemy is giggling as a demon in its way,
My life's aim was wrestling with the moss,
And I fight windmills to this day!

მონატრება

რა უნდოდა დეკემბერში წვიმას?!
ჯანლი წევს და ნაცრისფერი ნისლი;
სულშიც ისე უსაშველოდ ცივა,
სველი ქარის სისინიც კი ისმის.

შენს სიშორეს, რა ვქნა, ველარ ვითმენ,
სად წაუვალ ჯერაც უთქმელ დარდებს;
მზის სხივები გამიშალო, იქნებ,
ლოდინი ხომ იმედებსაც ბადებს.

დევის ძალას რა ამაოდ ვეძებ,
სამართალი კუს ნაბიჯით დადის;
წლებმა ფუჭად ჩამიარა გვერდზე,
დრო კი გარბის, ულაყივით მარდი.

არ სრულდება ოცნებები, ვიცი,
მონყენილა ჩემი სახლის ქერი;
ზამთრის ღამემ ფიქრის ცვენა იცის,
მონატრება - გაზაფხულის ფერის!

MISSING

What did it want? The rain in December?!
Reigns rebellion and grey fog around...
I feel such cold in my helpless soul,
And I hear the wet wind's hiss and moans.

I can not endure your so far distance,
Where to go from yet unspoken sorrows,
Let beam for me the rays of the radiant sun,
This waiting also raises hopes.

I seek The Goliath power in vain,
Justice is like a tortoise; it is too slow,
The years have passed by without a goal,
Time runs out like a stallion.

I know that dreams do not come true,
That's why my house ceiling is doomed,
The winter night habit is abundant thinking,
And Missing the lifegiving colours of spring ...

May 18, 2018.

იქნება ქარებს სტკიოდათ რამე

გადაირივნენ ღამის ქარები,
შემოაღწეს ხეებს ტოტები,
გვიმტვრიეს სახლის დირე-ქარები,
აგვიკლეს მუნჯი მოთქმა-გოდებით.

იქნება ქარებს სტკიოდათ რამე,
მათი წუხილი ჩვენ არ გვესმოდა,
იმ უჩვეულო და სადაგ ღამეს
ტირიფი ასე რატომ კვნესოდა?!

ვილაცა გვართმევს ცასა და სითბოს
და გვითვალთვალეს შური და ღვარძლი,
ცოდვილი ვინმე... განკაცდა თითქოს,
თავის არშინით გვიზომავს მანძილს.

ვის... ეკლის ნაცვლად დაადგეს დაფნა,
მოუნდათ სხვისი ბედის წარმართვა,
ქარს მისდევს მძიმე ცხოვრების აფრა
და ვამუნათებთ უღვთო სამართალს.

მე გულის კოვზით ვარიგე სითბო
(ყველა სიკეთის სინათლე მსურდა)...
მიმწუხრის ჩრდილში ვდგავარ და ვფიქრობ,
მარტო შთენილი... საკუთარ სულთან.

MAYBE THE WINDS, TOO, WERE IN PAIN

The night winds blew and turned insane,
Smashing fresh branches around trees,
They broke the doors of our house,
Destroying us with undeserved grief.

And maybe the winds, too, were in pain,
And we couldn't hear their mournings,
On that unusual and auspicious night
Why was the willow sobbing so bitterly?!

Someone is taking the sun's warmth from us,
And we are watched by envy and hatred,
And someone a sinner as if a good man
He measures the distance with his Arshin.

Someone is unworthily crowned with laurel,
Someone unworthily is crowned with a thorn,
The sail of hard life follows the wind
And we celebrate the godless law.

I spread my warmth with my heart spoon,
(I wanted to feel the all-goodness light)...
I stand in the shadow of my twilight,
That is left alone... only with my soul.

ის მირაჟები

მე გაზაფხული მედგა თვალეში,
 გარეთ ბარდნიდა დეკემბრის თოვლი,
 გაბეზრებული ქარის თარეშით,
 ვგავდი წყვდიადში დაკარგულ ლტოლვილს.

ჩამქრალ კოცონთან ეძინათ ლანდებს,
 თოვდა და მწვავდა სურვილის ხვატი,
 ვილაც არხევდა დაბინდულ ფარდებს.
 სარკმელთან იდგა შენივე ხატი.

მერე ოცნება მოკლეს უბრალოდ,
 ზღურბლთან დამტოვეს დილის სტუმარი,
 ის მირაჟებიც გაქრა უკვალოდ,
 ვით უხილავი და უჩინარი.

დალლილ მინდვრებში ვეძებ გზავნილებს,
 ნაზამთრალ მიწის ორთქლიც კი მათრობს,
 იმ წლებსა ვკინძავ, უქმად ჩავლილებს
 და მაინც, შენზე ვფიქრობ და გნატრობ!

THOSE MIRAGES

Spring was blossoming still in my eyes,
 But December snowfall feasted outside,
 Beyond endurance with the raging wind
 I looked like a lost-in-darkness refugee.

The shades were sleeping by the dying fire,
 It was snowing, and I was burnt from desire,
 Someone was moving the dim, dark curtains
 And your icon stood by the window.

Then, the dream ruthlessly was simply killed,
 They left me at the threshold, the morning guest,
 Those mirages disappeared without a trace,
 As invisible things, and as if had never existed.

I look for messages in the weary fields,
 The winter ground steam makes me dizzy,
 I'm beading the years, lost without sense,
 And yet, I think about you, and I miss you.

* * *

მე ფიქრი მტკივა, როგორც არასდროს,
ვეძებ წყალ-ჭალის ხმებსა და ფერებს...
ქარი მინდორში ისე ნავარდობს,
შრება სიცოცხლის პატარა ღელე.

გავაღო უნდა სულის სარკმელი,
გრძნობა გავათბო მკერდის ღუმელში,
დაუხარჯავი გითხრა სათქმელი:
რატომ ვერ ვიჭერ გულს საგულეში.

ჩემშია შენი ცოცხალი სახე,
ხილვებში იქნებ შევეხო კიდეც,
გზებზე რამდენი ტკბილ-მწარეც ვნახე,
ვკრიფავ და გულის ძგიდეზე ვკიდებ.

მიდის ცხოვრება უფლის ლოცვებად.
ვერა ვკლავ ნახვის ნატვრას და წყურვილს...
ფიქრებში ვკინძავ ლამაზ ოცნებად
შენთან შეხვედრის იმედს და სურვილს.

* * *

My thoughts disturb me as never in the past,
I am searching for the sounds of the floods...
The wind blows in the field and river banks,
And little streams ruthlessly, life dries up.

I have to open the window of the soul,
Feelings to warm in the oven of the breast.
To say to you my unspeakable words:
Why can't I hold my heart in its nest?

I still keep it in me, your living face,
In my visions, I may even touch it,
How much sweet and bitter I have had,
I gather them and hang on to my heart.

Life goes on as the prayers of the Lord.
I can not kill in my love thirst for you,
My beautiful dreams I bind in my thoughts,
And hopes and wishes of our rendezvous.

* * *

ქარი და წვიმა მიწნავს დარდებს,
აღარ დამთავრდა მათი ჭიდილი...
თუ მაინც ერთი სიცოცხლე მმართვეს,
რად მიფრინდება ნარის ჩიტივით?!

ამ ღრუბლებს ქარი საშლელით წაშლის,
სითბოს და ღიმილს მოაბნევს ქუჩებს.
შემოვა მთვარე ნაცრისფერ ცაში
და ყვითელ ფერებს დაგვაყრის უცებ...

მამული ჩემი მეძახის გარეთ,
სველი ფოთლები და წვიმის წვეთიც,
გავაღებ გულის დაკეტილ კარებს,
და ღოცვით მოვალ შენთან და შენთვის!...

გულგრილად ვისმენ წვიმების შრიალს,
ვერ დავაბრუნებ დღეებს, გაფრენილს...
ქარებს სარჩელით ღმერთებთან მიაქვთ,
ფიქრები ჩემი, თავზე საყრელი...

* * *

The wind and the rain ravel my mind,
Having no end to their annoying fight,
And, anyway, I owe you my one life,
Why should it fly like a chaffinch bird?

The wind will wipe away these misty clouds,
It will spread its warmth and smiles around,
The moon will appear in the grey sky,
And it will spread golden yellow colours.

It calls me endlessly my motherland out
Drops of the rain and moistened leaves, too.
I will open the closed doors of my heart
And I'll come with a prayer to you and for you!

I've lost interest in the rustling of the rain,
I can't bring back the days that flew by...
The winds submit plenty of lawsuits to the Gods,
With my reproaching and my endless thoughts.

და თებერვალი...

(ესკიზი)

ეს დღეც... უთოვლო, თავისთავს მისდევს,
გარეთ ბობოქრობს ველური ქარი...
იქნება ზეცამ მოიხსნა რიდე,
მეც ღრუბლებისკენ გამირბის თვალი.

ვინ დაიკავა ყინვის ალვირი,
რად არ აშინებთ ამ ზამთრის ბალებს?!
იღვიძებს მიწა... ძილით დაღლილი
და თებერვალი კარს ჩუმად ალებს!

30 იანვარი, 2021 წელი.

AND FEBRUARY

(Sketch)

It follows itself... this snowless day,
The wild wind blows behind my doors,
I think heaven has removed its veil,
And my glance, too, tends towards clouds.

Who took in its hands the bridle of ice,
Why doesn't it fear these winter yards?!
The ground wakes up... tired from sleep,
And February opens an entrance in peace.

January 30, 2021.

ჯ ა ნ ღ ი

ლამის ქუჩაში ლეგა ჯანლია,
გაცისკრებამდე შორია, შორი...
სინდისს და ნამუსს ჰყიდის ავყია,
თვალეში მრჩება ნისლების ტბორი.

მამულო, შენთან ვტოვებდი იმედს
და მოლოდინებს ღამეს ვუთევდი...
წლები კი ასე მკაცრი და მძიმე,
სულში მისხედან, ვით მანქურთები...

ჩამსაფრებია დრო, მტვრად ქცეული,
ახლა განძია ცხენი, უბელო...
დამძიმდა ცოდვით მიწის სხეული,
ნამოგვაშველე ხელი, უფალო!

DENSE HAZE

Dense haze darkened night streets,
And it is too far away to the new morning,
A foul-spoken sells its honour-conscience-creed,
My eyes are filled with a puddle of mist.

My land, I lived with daily hopes
That I would have much better goals,
But the years are so harsh and heavy,
They gnaw my soul like enemies.

I am trapped by time and turned into dust,
Now would help me a horse, without a saddle,
The body of the earth has been burdened with sin,
Support us, my Lord, and give us your hand.

დ ბ ა ს გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი

როგორ უბრალოდ გაქრა ზამთარი,
სად დარჩათ ნეტავ, თებერვლის ქარებს?!
დგას გაზაფხული, ველის ფართალით
და ზეცის თაღზე ისვენებს მთვარე.

იქნებ ცხოვრება არც იყო მკაცრი
და ახლა ველი უცნობს და საშიშს,
გარდასულ დღეებს მტვერს რატომ ვაცლი,
სულში ტკივილებს რა უნდათ, მაშინ?!..

აპრილი ამინდს უთუოდ შეცვლის,
მხრებს დაუმშვენებს მწვანე მანტია...
მაგრამ არ ქრება მამულში ცეცხლი,
იუდას ხელით დღეს რომ ანთია.

სად არის კაცის და უფლის ნება,
ეს სიღუბნური რად მადგას თავზე,
ვის დავაბრალო, რაც ახლა ხდება,
ამ განცდით როგორ ვიარო ასე?!..

სასოწარკვეთას იმედი მოსდევს,
გზა ხსნისა მუდამ უნდა მახსოვდეს...
დავძლიო შიში, რაც უნდა მოხდეს
„და არ დავნებდე მტერს, არასოდეს!“ ...

როგორ უბრალოდ გაქრა ზამთარი,
ალბათ ქარებმა გზაში დაკარგეს....
დგას გაზაფხული, მინდვრის ფართალით,
„ზომავს და გვიჭრის ლამაზ საკაბედ“...

SPRING HAS ARRIVED!

How winter has simply disappeared,
Where did you leave it, February winds?!
Spring has arrived with patterned fields,
And the moon rests now on the sky arch.

Maybe this life wasn't so harsh,
And now I'm waiting for some more dangerous,
Why do I clean my past from the dust,
My soul suffers from deep pain, and why?

April will undoubtedly change the weather,
A green mantle will adorn its shoulders...
But the fire still burns my motherland,
That is lit today by evil Judas' hand.

Where is the will of man and God,
Why is this misery rules upon my people,
Who should I blame for today's being?
And how can I live with this grim feeling?

But despair is followed by hope,
I must remember the salvation way...
I must overcome fear and distress,
And never surrender to the enemy! ...

How winter has simply disappeared,
Perhaps the winds have lost it along the way...
Spring is coming, embroidering the fields,
It turns the fabric into a beautiful garment...

ი მ ე ღ ი

საით წავიდნენ ღამის ღრუბლები,
სად ჩამოსცალეს წვიმის მათარა?!
ვეღარ მოსდევენ სხეულს მუხლები,
ფართხალებს გულიც, ციცქნა, პატარა.

წყვდიაღის ტალღას შებმია ქარი,
თავანწყვეტილი დარბის და კივის,
ჩარაზულია ხილვების კარი,
ფერი არ ადევს უხორცო ტკივილს.

მიიზღაზნება ეშმაკის ძაღლი,
ამაოდ უღრენს ცისკრის განთიადს...
ღმერთის იმედით იღვიძებს სახლი,
სადაც სიცოცხლის შუქი ანთია!

HOPE

Where have the night clouds gone,
Where have they emptied the rain Flagon?!
My knees can no longer follow the body
And my heart troubles feeble and too small.

The wind is fighting with the darkness wave,
It runs unreined and howls in despair,
All the vision doors are locked and sealed,
No colour remains for the fleshless pain.

The devil's sluggish dog ambles around,
It barks at the dawn... and it's all in vain,
The house wakes up with hope in God,
Where the light of life lightens!

გ ა ზ ა ფ ს უ ლ ი

თეთრ გვირილებს გაზაფხული,
მზის ველებზე დამიფენს,
მთის ჩხრიალა ნაკადული
გზანვრილებზე ჩამირბენს.

მათ ნადიმში ავმლერდები,
შენთან დავიყვავილებ,
ჩქარა, თორემ დავბერდებით,
მოდი, სადმე წავიდეთ.

ვიდრე თვალში განვიმდება,
ქართან ჯვარსაც დავინერთ.
ვარსკვლავების წყება-წყებას,
მკერდის მოლზე დავინვენთ. ...

სანამ გული გაცივდება,
„ხანძარივით“ დავინვეთ!..

S P R I N G

Spring has spread white daisies,
On the sunny fields to please me.
And the gurgling mountain stream
On the narrows runs with mirth.

I will sing in their feast,
And I will bloom only with you,
Hurry up before youth will pass by,
Come, let's go somewhere far.

Before tears invade hearts,
Before we marry the tempest.
Before the bunches of the stars
We will spread on our breasts...

Before our hearts grow cool,
Love each other... Let us be burnt.

ს უ რ ვ ი ლ ი

ნაზამთრალს სოფელს დავივლი,
ვარდებს დავხედავ, ხვიარას;
გულგრილად ნულარ ჩამივლი,
გულში ტკივილმა იარა.

ცოტაც და ნუთისოფელი,
ბოლო ნუთებსაც აკრიფავს...
სულის წასვლამდე მოგელი,
სანამ სიბერე გამტეხავს.

სოფელს უთუოდ დავივლი,
ვარდებს დავნამავ, ხვიარას;
წავა ტკივილი, გამივლის,
შენი სურვილი კი არა!

WISH

At the winter edge, I'll visit a village,
I will enjoy roses, the pillars' embracing,
Don't you pass by me indifferently, please,
Don't leave my heart filled with pain.

A little bit more, and this instant world,
It will also make its final goal,
I am waiting for you to my last breath,
Until old age takes me to death.

I will walk through the village,
I'll moisten rose, a fence embraced,
The pain will go away, it will pass,
But not your desire! It will last.

3 0 0 გ ა ზ ა ზ ს უ ლ ი

რას ჩურჩულებენ სველი ჩიტები,
წვიმებს და ქარებს შეჩვეულები?!
დამძიმებული თალხი ბინდებით,
მთებზე ცურავენ ნისლის ქულები.

არ ცხრება ალბათ, ყველა იარა,
ჩამომისახლდნენ ფიქრის მძევლები,
ჩემს გულზე წლებმა გადაიარა,
თვალეში სხედან ღრუბლის ცრემლები.

გარეთ წვიმა და შლეგი ქარია,
ცამ ჩამოჰკიდა რუხი ფარდები
და მენატრები ისე ძალიან,
ვით გაზაფხული, მზე და ვარდები!

LIKE SPRING

What are the wet birds whispering _
Have been accustomed to rain and winds.
And burdened by the gloomy twilights,
Fog flocks float on the mountain peaks.

It is unable to all pains to calm,
My bitter thoughts make worries appear,
Years have passed over my heart, and
My eyes sheltered clouds and tears.

There is rain and a raging wind,
The sky covered its face with the grey curtains,
And I miss you so much now,
Like the sun, roses and spring.

ტ ა ძ რ ი ს გ ზ ა დ

მონამებრივი სიცოცხლით,
 სულდაკანრული იარით,
 ფიქრით, კრძალვით და რიდით,
 მთას ფეხშიშველამ ვიარე.
 ზღვაზე ვაშრობდი იალქნებს,
 ხატთან მუხლებსაც ვხრიდი.
 გრძნობის ემბაზით ნამული,
 ტაძრის გზად ვდგავარ, მამულო.
 შენთან ვარ რწმენით, ოცნებით,
 ვედრებით ღამეს გაგითევ,
 ლექსების კანდელს დაგინთებ,
 საქართველოზე მლოცველი.

THE WAY TO THE TEMPLE

With a heavy martyr's life,
 With a soul-stirring pain,
 With thought, reverence and shunning,
 I walked barefoot on the ascent.

I dried sails on the sea,
 I even knelt by the altar.
 Overwhelmed by the bliss of myrrh
 I stand on the path to the temple.

I am with you in faith and dreams,
 I will spend the night with prayers,
 I will light the candle of poems
 And it is all for you, my beloved Georgia.

ს ა ნ ა მ ბ ე ქ ა ხ ი ა ნ...

მოდი, სანამ გეძახიან,
ვიდრე გეძებთ და გნატრობთ;
განა ცრემლი ზედაშეა,
ან თვალის ნისლი, მარტო?!

მოდი, ქომაგად დამიდექ,
გელის იმედის ერდო,
მზის კელაპტარი დამინთე,
ერთგულებაში გენდო.

დამიცხრე სულის იარა,
მაჩუქე რწმენა ხვალის,
დარდებში ჩამეზიარე,
მითხარ, მთისა და ბარის.

იქნებ, ვალვიძებ ოცნებებს,
წამომაშველე ხელი,
რომ სანამ ბედი მომცელავს,
დავტკბე მამულის ცქერით.

სანუთრო ჩამოთავდება,
მუხანათია, გვიმტრობს,
არც ვინმე, კაცი, თავდებად,
არცა ვინ, სადმე გვიხმობს!.

COME IN TIME

Come while we are calling
you and while we search for you.
Tears aren't only pure wine
drops or a mist in the eyes alone!

Come and be my support pillar,
I hope to wait for you.
Light me up with the candles of the sun,
Please show me your devotion.

Give me faith in tomorrow,
Please low my soul pain,
Share my unflagging sorrows,
Tell me about the hill-plains.

Maybe I awake your dreams,
Give me a helping hand,
Before my fate prepares my end
Let me enjoy my homeland.

This instant world will end once,
It is ruthless and ominous,
There is no guarantor, man,
Nor anyone, anywhere, calls us!

ნუ შფოთავ!

ზღვაო, რად შფოთავ, რად მრისხანებ თავგამეტებით,
მინას აწყდები, თითქოს ქვეყნის წალეკვას ჩქარობ;
რამდენის გული შენ მოგენდო დაიმედებით,
შენ არ დაინდე, ო, ზღვაო, ზღვაო. . .

ცხოვრებაც შენებრ უძლეველი არის სტიქია,
მასთან ჭიდილში დაილენა მრავალთა ფრთები,
განა შევმცდარვართ ვაჟკაცობა თუ შეგვიქია,
რადგან ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლაში ვკვდებით...

ნუ შფოთავ, ზღვაო.

DO NOT BE ALARMED!

Why are you wrathful? Why are you so anxious?
You look like a destroyer, rushing towards the land,
How many hearts have trusted you for peace,
But you didn't spare them... oh Sea, oh Sea. . .

And, like you, Life is an invincible element itself,
Many Wings have been destroyed in the struggle with existence,
Have we made a mistake if we have praised valour?
Life is a struggle, and we all meet our end...

Do not be troubled, Sea.

გ ა გ რ ა შ ი

გადაირია ზღვა უარესად,
შთანთქმას აპირებს ცის,
გარეთ ამინდი გაუარესდა,
სულშიც მგონია, წვიმს...

ნისლი ეხვევა თქემიან ქალაქს,
მე დავემსგავსე მწირს,
და ვათამაშებ ქალაქდზე კალამს,
წვიმს,
წვიმს...

IN GAGRA

The sea, in its tumultuous state,
And it is ready to swallow the sky,
The weather outside has worsened,
I think it's raining in my soul...

A fog envelops the rainy city,
I have become like a wayfarer,
And I play with pen on paper,
It rains,
It rains...

ჯ ვ ა რ ც მ ა

მომეძალა საფიქრი და სანუხარი,
 თრიალეთი ბეჭზე იფენს თოვლის ნაბადს,
 დამაქვს სული ნაზაფრი და ნაქუხარი,
 რით ვუნამლო აფხაზეთის მტკივან მთა- ბარს?!
 ვით აღვუდგე გადმოხეთქილ ზვავს და ღვარცოფს,
 დაჭრილ მამულს ავაცილო ცხელი ტყვია?!
 დაეძებენ დაკარგულნი... ერთურთს, ნაცნობს...
 ამ სიმუხთლეს საქართველოს ჯვარცმა ჰქვია!...

CRUCIFIXION

Thoughts and sorrows oppressed my soul,
 The snow coat covers Trialeti's shoulders,
 I carry my heart - that's filled with poison...
 How can I cure the Abkhazian mountains?!

How can I resist the mudslide avalanche,
 How can I avoid more shoots in my homeland?!
 The lost are searching for their heart lovers,
 This Vileness is called the crucifixion of Georgia!...

თ ო ლ ი ა

ტალღა ალერსით ლოკავს ნაპირებს,
ცისფერ ნისლებში ცურავს თოლია...
ზღვაზე დარჩენას აღარ ვაპირებ,
შენზე ფიქრები გამომყოლია.

შენზე ფიქრები გამომყოლია,
სიზმრის ოდაში მინდა გხედავდე,
ცის სამრეკლომდე ო, რა შორია,
ჩვენ ვინ აგვიყვანს უკვდავებამდე?!

ტალღა კი ისევ ლოკავს ნაპირებს,
ზღვისფერ ნისლებში ცურავს თოლია...

SEAGULL

The wave caresses the shore of the sea,
The seagull is swimming in the blue mists...
I am no longer going to stay at sea,
As thoughts about you have disturbed me.

Thoughts about you have followed me,
I want to see you in the dream palace,
The Heaven's Bell-tower!... Oh, how far it is!
And... Who will raise us to immortality?

And the wave is still kissing the beach of the sea,
The seagull is swimming in the sea colour mists...

მ ო ლ ო დ ი ნ ი

ზამთრის გასაყარს... ცა ჭირვეულობს...
თებერვალს მოსდევს ქართა კორტეჟი...
არაფერი გვაქვს სანერვიულო,
ამინდს შეგვიცვლის მთვარე... ორ დღეში...

ჩვენ ის ვიკითხოთ, რატომ ვეწამეთ,
ეს წლები როგორ გვემახსოვრება?!
ღმერთკაცი როდის მოვა მიწაზე
და გამოგვიცვლის მძიმე ცხოვრებას!..

2000 წელი, მარნეული.

HOPE TO EXPECT

It is winter end, and the sky is troubled,
Follows February, the entourage of wind,
The weather will be changed soon by the moon,
We need to worry about nothing.

Why do we exist in this realm of suffering?
Why did it turn into trouble for our beliefs?
When will God arrive on the earth?
And will he replace our hellish being?

2000, Marneuli.

ცოიჯიდან:
მარადისობის ბინადარნი



გზა პატარძელზე გადის

(გოგლას წყარო)

არსად ისე უხვი და სურნელოვანი შემოდგომა არ იცის, როგორც კახეთში. ძონისფრად აელვარდებიან ბროწეულის ხეები. ვაზის ფოთლებიდან იჭვრიტებიან ქარვა-თაფლიანი მტევნები. მინაზე განოლილან საზამთროები, შუკიდან შუკაში გადადის ნესვის არომატული სუნი.

არა, ქართლელს არ გაუკვირდება ამდენი ხილის ნახვა, მაგრამ, კახეთში მგზავრობა და ლხინი კახელებთან, სიამეს მგერის.

სხვა რამეც მიზიდავს აქეთკენ: - კვეტერა და ნეკრესი, ალავერდი და შუამთა, გრემი და იყალთო...

გზა კი პატარძელზე გადის...

პატარძელში, გიორგი ლეონიძის სუნთქვა ჯერაც არ გაუყოლიებია ზეფირს, წყაროს ცივ წყალს ენაფება აქაური ნაბღიანი და ყოველი პეშვის შესმისას, გულიდან ამოხეთქავს სიტყვები:

- გაიხარე, გოგლა, ამ სიკეთისთვის!

ამ წყალს „გოგლას წყარო“ ჰქვია.

ხვავრიელი შემოდგომის ერთ დღეს, კახეთისკენ მიმავროლებს ავტობუსი. სწორედ წამოსვლის წინა დღეს შემხვდა მწერალი შაქრო სამადაშვილი და სხვათა შორის, ასეთი რამ მითხრა;

- გოგლას პატარძელში ჩამოსვლა ძალიან უყვარდა, მაგრამ არც სხვა სოფლებს ივინყებდა. გადავედი ერთხელ პატარძელში და დავიპატიჟე ბაკურციხეში, თან დავძინე, რომ ისეთ სასიამოვნო თანამესუფრეებს დაგახვედრებ, სული და გული დაგიამონ-მეთქი....

- მაინც ვინაო, - მითხრა.

მე ჩამოვუთვალე ვინც იქნებოდნენ.

- ჩემო შაქრო, თუ გინდა მასიამოვნო, დამიპატიჟე მხენელები, გუთნის დედები, მთესავეები, მევენახეები, მწყემსები, მეფუტკრეები...

ეს სიტყვები, ახლაც ჩამესმის ყურში და გულდაგულ ვათვალიერებ ავტობუსში მოჯარულ კახელებს, სახეზე ბრინჯაოსფერი რომ დასდებიან და თითებზე მიწის სურნელება ასდით.

მგზავრობამ ფიქრების შემოსევა იცის: აი, 1965 წლის ზამთრის ერთი პირქუში დღე, რუსთაველის გამზირზე აუარება ავტომანქანა მიჰქრის. ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართის კუთხეში, ჩალისფერი „ვოლგა“ მეცნაურა. არც შევცდი. გიორგი ლეონიძე მოთმინებით ელის მძღოლს და ძალუმად ეწევა სიგარეტს.

- გამარჯობათ, ბატონო გიორგი!

- როგორ გამახარე, გოგო, რა არის ახალი ქართლში, როგორი შემოდგომა გაისტუმრეთ კასპელებმა? - ბუბუნებს თავისებური, გოგლასეული ხმით.

- კარგი, ბატონო გიორგი, მეტად კარგი, აი, როცა გვესტუმრებით...

- ლეონიძის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობა, მოდი, დაჯექი, მიაბზე, ახალი რა დანერე, გაიზარდე თუ არა შემოქმედებაში!

როგორც იქნა მძღოლიც გამოჩნდა და „ვოლგამ“, ცოტა ხანში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის წინ დაამუხრუჭა,

ვინრო, ერთფანჯრიან კაბინეტს ვაჟა-ფშაველას ვეება სურათი ამშვენებს. შემოდიან მეცნიერ-მუშაკები... ათასი საქმეა მოსაგვარებელი და საქმიანობს დირექტორიც.

დამთავრდა დღე. კაბინეტში რამდენიმე თანამშრომელი შემოვიდა.

- თქვენი სტუმრიანად „სტელაში“ წავიდეთ, ბატონო გიორგი, - მიმართავს გიორგი ციციშვილი.

რესტორანი-ბალი, „სტელა“, ცენტრალური მოედნის ცოტა ზემოთაა, გაჩირაღდნებულ ეზოში ხალხმრავლობაა...

- გოგლას გაუმარჯოს!

- ჩვენს სუფრასთან მობრძანდით, ბატონო გოგლა!

- ერთი თქვენი სადღეგრძელო გამაგონე და მერე, თუნდა, მოვკვდე, - იძახის ვილაცა.

და, გოგლაც მიდის ხან ერთ სუფრასთან, ხან - მეორესთან. ბუბუნებს, საქართველოს სიყვარულით იწვის, ადიდება ვაზს, გლეხი კაცის მარჯვენას...

.... ავტობუსი პატარძელში ჩერდება..

- აი, ის სახლია, შვილო, ლეონიძის, - მეუბნება სახელაულა კახელი.

ხევის პირას, მაღლობზე, ლამაზი სახლი მოჩანს. ვუყურებ და გულში ლეონიძის ლექსს ვამბობ...

- „გოგლას წყაროსთან“ გაგვიჩერე, შენ გახარებასა, - მიუბრუნდა გლეხი ავტობუსის მძღოლს, - სტუმარსაც დავალევინებთ პატარძელის წყალს, - ახლა მე შემომხედა ღიმილდაყრილი სახით.

ავტობუსი „გოგლას წყაროსთან“ ჩერდება. ყველა გადმოდის, უნდათ თუ არ უნდათ, სვამენ გიორგი ლეონიძის გამოყვანილ წყაროს წყალს.

ჩემს ფიქრებში კი წყნეთი ამოტივტივდა. 1966 წლის ცხელი ივლისი. სიცხით გათანგული დიდი პოეტი, მოძალებულ სენს სარეცელზე ებრძვის.

- პატარძელის წყალი მომიტანეთ, იქნებ მიშველოს...

და მოაქვთ პატარძელის წყალი... პოეტი ამ წყლით სავსე ჯამში ხელებს აწყობს.

ველარ უშველა პატარძელის წყალმა. დაიცალა სიცოცხლის ერთი პეშვი, მაგრამ, არ დაშრება გიორგი ლეონიძის შემოქმედების წყარო, წყარო სიბრძნისა და უკვდავებისა, წყარო ხალხის სულიერი საზრდოსი, რომელსაც თავისი ერის გულში სამშობლოს მიწაში აქვს სათავე დადებული...

* * *

მგზავრო, კეთილო! კახეთში მიმავალი გზა პატარძელზე გადის. შეჩერდი ერთ წამს და შესვი „გოგლას წყარო“! შესვი, გაამებს!

მ ც ხ ე თ ა შ ი, ა რ ა გ ვ თ ა ნ

გიორგი ლეონიძის ხსოვნას

ეს შეხვედრები, რომლებიც, ცხოვრების გზაზე, თანამგზავრებივით მომყვებიან, განსაკუთრებით მიცოცხლებიან ზაფხულის დღეებში, უფრო კი, 1966 წლის 14 აგვისტო გაეკვრება ჩემს თვალებს და „შეფუერთდები“ ზღვა ხალხს, თბილისში, სამგლოვიარო პროცესიას რომ აევსო რუსთაველის პროსპექტი და მთანმინდის პანთეონისკენ მიმავალნი, უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ ქართული პოეზიის ბერძუხას, სიცოცხლეშივე გამორჩეულ და დაფასებულ, საქართველოს სახალხო პოეტს, გიორგი ლეონიძეს. ახლაც „მესმის“ რადიოს რეპროდუქტორიდან დადევნებული მისი ბუბუნა ხმა:

„დავხარჯე გულის ზოდები,
ვწვი ოცნებათა ზვინები...
ლექსო, მიდექ და მოდექი,
სამშობლოს შეეძინები!..“

უბერებელი ეს სტრიქონები, ემოციურ ფონზე ჰაიჰარად როდია ნათქვამი. გიორგი ლეონიძემ მეტად მდიდარი საგანძური დაუტოვა ქვეყანას კლასიკად ქცეული პოეზიის, პროზის, მეცნიერული გამოკვლევების სახით. ამიტომ ჰქონდა მინიჭებული პოეტი-აკადემიკოსის წოდება, იყო შოთა რუსთაველის სახელობის და არაერთი სხვა მაღალი პრემიის მფლობელი.

ცნობილმა ქართველმა მწერალმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, ნაჩუქარ წიგნზე ასეთი მინაწერი დაუტოვა შთამომავლობას: „გიორგი ლეონიძეს - ქართულ მინაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“...

აღბათ, კომენტარი ზედმეტია.

ბედნიერება მხვდანილად, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ახლო ურთიერთობა მქონდა გიორგი ლეონიძესთან, მომესმინა მისი საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მოგონებები - ქართველ მწერლებზე, ახალგაზრდებზე, მოწმე გავმხდარიყავი უანგარო ქველმოქმედების, ზრუნვისა და თანადგომისა...

იმ შეხვედრების სიტბო თუ ხიბლი ახლაც მომდევს, ფერუცვლელია, განძივით „ფარჩაში“ გახვეული და გულს მიბარებული. თუმცა, მათგან რამდენიმე ფრაგმენტი, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვაქვეყნე კასპის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ ფურცლებზე, მაგრამ გასახსენებელი კიდევ ბევრი მაქვს, მით უფრო, როცა ჩემი პირადი არქივი ასე სათუთად ინახავს მის უნიკალურ ფოტოებს, ავტოგრაფიან, ნაჩუქარ წიგნებს და წერილებს.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებას სკოლის კედლებში ვეზიარე, ჩვენი სათნო პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო მცოდნე, რაისა კაპანაძე, ისეთი ემოციითა და შესაშური პათოსით გადმოგვცემდა გიორგი ლეონიძის შემოქმედებას, არც ერთი მოსწავლე (იმ ცამეტაგან, ვინც სკოლას ვამთავრებდით), გულგრილი არ დარჩენილა და სურვილიც გაგვიძლიერა: ახლოს გვეხილა ეს ღმერთკაცი, რისი საშუალებაც მომეცა სტუდენტობის წლებში და ეს მოხდა მცხეთაში, არაგვთან, 1963 წლის შემოდგომაზე, ახალგაზრდობის ფორუმის შემდეგ, რესტორანში გამართულ ბანკეტზე. მაშინ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით და ვმუშაობდი კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში, ამასთან, იქაურ ახალგაზრდებსაც ვხელმძღვანელობდი და ამიტომ მოვხვდი ახალგაზრდობის შეკრებაზე.

ბანკეტს მცხეთის რაიონის მთელი ხელმძღვანელობა ესწრებოდა, ლხინი სასიამოვნო ელფერს იძენდა, იცლებოდა

სადღეგრძელოები, იყო სიმღერა, ძმები კელაპტრიშვილების შეჯიბრი ბუღბუღების გალობასთან... და, ამ დროს, მოვიდა ცნობა: რესტორანს გიორგი ლეონიძე სტუმრობსო...

შემოვიპატიჟეთ.

საბანკეტო დარბაზში შემოვიდა ახოვანი, მკერდგადაშლილი, ცისფერთვალეა პოეტი და თავისებური ბოხი ხმით შემოგვძახა:

-გამარჯობათ, ახალგაზრდებო!

სალამს ერთსულოვანი სალმითვე ვუპასუხეთ. გოგლამ ღიმილიანი მზერა მოავლოსუფრას დარაიკომის მდივნებთან მივიდა. მიესალმა გიორგი კავთიაშვილს, ალექსანდრე ბარისაშვილს, ნოდარ გავაშელს, ახალგაზრდების ხელმძღვანელებს: გულჩინა ებრალიძეს და ოთარ ჭონიაშვილს. იგი მათ გვერდით დაჯდა. მალე შემოუერთდნენ მისი თანამშრომლები, რუსთაველის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკები გრიგოლ კაკიაშვილი და დავით გოგოჭური.

- გიორგი! - მიმართა გოგლამ კავთიაშვილს, - ხომ იცი, მცხეთა როგორ მიყვარს, ჰოდა, გამოვიარე, ისე როგორ წავიდოდი, ამ წმინდა ადგილებში წინაპართა სადღეგრძელო არ დამელია.

გოგლას სასმისი მიაართვეს. საქართველოს თამადას სადღეგრძელოებს რა დაუღევედა, ისე შეუმჩნევლად გადააყენა კულტურის განყოფილების გამგე, გიორგი ხუტაშვილი თამადადობიდან, ვერც შევნიშნეთ. პოეტს ლექსი ვთხოვეთ და წაგვიკითხა, თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ემოციითა და გამორჩეული ხმით.

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია,

ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“...

ჩაიბუბუნა პოეტმა და ახალგაზრდების სადღეგრძელო სულმოუთქმელად გამოსცალა.

სუფრას რჩეული ქალ-ვაჟები ამშვენებდნენ.

-სიმღერა, ბიჭებო,- დაიძახა ვილაცამ და ძმებმა, ომარ და გერისო კელაპტრიშვილებმაც არ დაახანეს.

მალე სალამურის ჰანგები ცაში აიჭრა.

-გულო, ლექსი! - ეძახიან ახალგაზრდა, უმშვენიერეს გულო მერებაშვილს მცხეთელები.

ქალიშვილი მორცხვობს და სდუმს.

-ნორა ედიშერაშვილს ვთხოვოთ! - წამოდგა კასპელი ოთარ ჭონიაშვილი (მაშინ იგი მცხეთაში, რაიონების რეორგანიზაციის გამო გადაიყვანეს, გულჩინა ებრალიძის მოადგილედ).

მე შევეკრთი, გავწითლდი, როგორ უნდა გამეხედა გიორგი ლეონიძესთან ლექსის წაკითხვა, თუნდაც, ამ დიდი პოეტისა? ვფიქრობდი და ვდუმდი.

-დამენახვოს ნორა ედიშერაშვილი,- იძახის გოგლა.

-გაუბედავად ვდგები.

-ვინ დაგარქვა, გოგო, ნორა! იცი, რომ ქართული არ არის?

-ვიცი, მაგრამ, მე ვინ მკითხა, ბატონო!- ვთქვი და სინითლემ გადამირბინა.

-ჩემი წინადადებაა გამოიცვალო სახელი, თამარი, თინათინი, რუსუდანი, ქეთევანი, რომელიც გინდა აირჩიე. ახლა კი წაიკითხე ლექსი, საკუთარს იტყვი, თუ...

-საკუთარი წაიკითხოს,- სიტყვის დამთავრება არ აცალეს ლეონიძეს.

ყველა სმენად იქცა, დეკლამაციაზე უარს ვამბობ, ძმებმა კელაპტრიშვილებმა სალამურები მოიმარჯვეს და იავნანა დაუკრეს...

მეც ავედეგნე და დავინწყე:

„ვინ ესტუმრა საქართველოს,

შეადარა სიტყვა ნახულს...“

ჩემი ლექსი ჰანგებს მისდევდა. გოგლამ ხელით შეაჩერა კელაპტრიშვილები - ისე კარგად კითხულობს, მუსიკა არ სჭირდებაო.

დავამთავრე ლექსის წაკითხვა და ტაშმა დაფარა დარბაზი.

-ახალგაზრდავ, - მიმართავს გოგლა ჩემს გვერდით მჯდომ ჭაბუკს, - დამიჯილდოებია ნორა ედიშერაშვილი ამბორით, მაგრამ, რადგან მე შორს ვარ, თანაც, საკმაოდ მოხუცი, თქვენ განდობთ მის სისრულეში მოყვანას...

ვდგავარ დარცხვენილი და სახეზე ხელებაფარებული.

სადღეგრძელოს სიმღერა სცვლის, მერე გოგლა გვიკითხავს ლექსს, რომელიც ქართველი დედის შემართებაზე ლაღადებს, უცებ, ხელს ჩვენსკენ იშვერს და ამბობს;

„ამ ლექსს მივუძღვნი ხელდახელ,
ედიშერაშვილ ნორასა,
ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს,
მრავალი შვილის ყოლასა...
ვუსურვებ, არ ჩავარდნოდეს,
სეროჟასა და ჟორასა“...

-სეროჟასა და ჟორაში ვის გულისხმობთ, ბატონო გიორგი, - ეკითხება გიორგი კავთიაშვილი.

-ჩემი თავი სხვა ეროვნების ხალხსაც ენაცვალოთ, მაგრამ, ქართველი კაცი მაინც მთელ ქვეყანას მირჩენია, „სეროჟასა და ჟორაში“ სხვა ეროვნების ადამიანებს ვგულისხმობ და მე მინდა, რომ ნორა ედიშერაშვილი ქართველი კაცის ღირსეული მეუღლე გამხდარიყოს, ცხრა ქალ-ვაჟი გაეჩინოს, მისი შვილებით კი, ერსაც ეამაყოს და თავადაც..

იმ ღამეს გიორგი ლეონიძე შეუდარებელი იყო, სიტყვაუხვი, მდიდარი ლექსიკითა და ენამჭევრობით. სამწუხაროა, რომ მაშინ არ გვქონდა შესაძლებლობა ფირზე აღგვებეჭდა იმ დაუფინყარი ღამის სილამაზე და ემოციური ფერადოვნება.

გიორგი ლეონიძემ, გამომშვიდობებისას მომძებნა და გამომკითხა;

-წერ ლექსებს?

-იშვიათად...

-იბეჭდება?

-რაიონულ პრესაში.

- ჩამოდი შენი ლექსებით ჩემთან, წამაკითხე, მერე ვიტყვი, რა ქალი დადგები.

მან სამსახურის მისამართი ჩამანერინა და ყველას დაგვემშვიდობა.

ვერ გავბედე ნახვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მცხეთაში, ახალგაზრდულ შეხვედრაზე მისაყვედურეს: გამბედაობა მოიკრიბე და ლეონიძეს წაკითხე ლექსები, რჩევას მოგცემსო.

მალე თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კიბეები ავიარე და გიორგი ლეონიძის კაბინეტის წინ შევჩერდი. დერმენტგადაკრულ კარს მიღმა ლეონიძის ხმა მესმის. შესვლას ვერ ვბედავ. იღება კარი და გრიგოლ კაკიაშვილი გამოდის. მიცნო. მომიკითხა, კაბინეტში შემიძღვა.

-მოხვედი? გელოდი, მომიტანე ლექსები?- შემაგება ვეება ხელი მწერალმა და ისე გულთბილად გამიღიმა თავისი ცისფერი თვალებით, გაუბედაობა წამებში გამიქრა.

გოგლამ მცხეთის ხელმძღვანელობა მოიკითხა, ჩემი ცხოვრებითაც დაინტერესდა, სად სწავლობ, სად მუშაობო, - მკითხა. მერე ლექსების რვეული ჩამომართვა და მითხრა: ერთი კვირის მერე ჩამოდი, ჩემს აზრს გეტყვიო.

ჩვენი შეხვედრა მალე დამთავრდა, რადგან გოგლასთან ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა, ვინ რეკავდა, ვინ - ხელს აწერინებდა... მიკვირდა, ამდენ მოუცლელობაში, ჩემთვის როგორ გამონახა წუთები.

უთქმელი გრძნობით დავტოვე მისი ვინრო, მაგრამ „ვეება“ კაბინეტი.

ერთი კვირის შემდეგ, ისევ გულის ფანცქალით ავუყევი ინსტიტუტის კიბეებს, შევალე მისი კაბინეტის კარი და მხარული, ბუბუნა ხმა შემაგება მწერალმა;

-წავიკითხე, გოგო, შენი ლექსები, მგოსანი ყოფილხარ, შეგიძლია წერო, დაჯექი, დაჯექი,- მითხრა და სკამი შემომთავაზა.

ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

-ვალოდია, მოდი, გაიცანი ეს გოგო, ლექსებსა წერს.

ვეცნობი ვალოდია აზარიაშვილს, იგი მათი თანამშრომელი აღმოჩნდა. ესეც ლექსებს წერსო,- მითხრა, - კარგი ბიჭია, წერეთ, წერეთ, ქვეყანას გამოადექით,- თქვა და ორივეს გაგვიღიმა.

-ვალოდია, ერთი ჩემი წიგნი მომიტანე, მაინტერესებს, როგორ წაიკითხავს ნორა ჩემს ლექსს.

აზარიაშვილს მისი ლექსების პირველი ტომი შემოაქვს.

ვკითხულობ: „მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო“... რომელიც მე ძალიან მიყვარს. გოგლა კმაყოფილია ჩემი დეკლამაციით, - კარგი კითხვა იციო,- მითხრა.

-პლაკატურ ლექსებს ერიდე, ის წერე, რასაც გრძნობ და განიცდი, წერე ბევრი, შეიძლება სუსტი იყოს, მაგრამ ხელი არ ჩაიქნო, ახლა მე შენში მცენარის პატარა ნერგს ვხედავ, რომელიც, თუ კარგი მეზღის ხელში არ აღმოჩნდა, შეიძლება გახმეს, იკითხე ძალიან ბევრი, კარგი ქალი დადგები...

ოთახში შემოდიან მისი თანამშრომლები.

-გაიცანით, ახალგაზრდა მგოსანი,- წარმადგინა მათ წინაშე ლეონიძემ,- კავთისხევის მინდვრებში წერს, თავისთვის, ნიჭიერია, მასთან მუშაობაა საჭირო...

მე, რა თქმა უნდა, უხერხულობას ვგრძნობ, სირცხვილი მწვავს. როცა მისი თანამშრომლები გავიდნენ, ვთხოვე, არასოდეს ეწოდებინა ჩემთვის „მგოსანი“, რადგან საამისოდ არაფერი მქონდა გაკეთებული.

-საქართველოში ყველა მგოსანია, გოგო, - მამშვიდებს, იღებს თავისი თხზულებათა კრებული პირველ ტომს და ტოვებს წარწერას: „ნიჭიერ ახალგაზრდა მგოსანს ნორა

ედიშერაშვილს. გ. ლეონიძე. 25 დეკემბერი, 1963, თბილისი.“ ავტოგრაფიან წიგნს საჩუქრად მაძლევს და ამბობს: - „ესაა ჩემი პასპორტი, რაც შენ მოგეცი, შეგიძლია წერა და თუ შრომასაც არ დაიზარებ, კარგი პოეტი დადგები. ნებისყოფაა საჭირო, ქართულ მწერლობას საფუძვლიანად უნდა იცნობდე, რუსულ, საზღვარგარეთულ ლიტერატურასაც კითხულობდე, რითმებს დაუკვირდი, თეთრი ლექსის წერას ერიდე.“..

ბევრი მესაუბრა იმ დღეს ქართულ მწერლობაზე, კავთისხევეზე, სადაც მე ვმუშაობდი, გიორგი შატბერაშვილზე, ჩემს მშობლიურ სოფელ ხოვლეზე, ძალიან გაეხარდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სოფლიდან ვიყავი,- ეს მეტ პასუხისმგებლობას განიჭებთო. - მერე სახელის შეცვლაზე მესაუბრა, არ მოსწონდა „ნორა“, - ქართული არ არისო.

-ტოროლა უნდა დაგარქვა, - განაგრძო საუბარი,- ამერიიდან „ტოროლა“ მოაწერე ლექსებს, ცუდი არაა, ისედაც გავხარ ტოროლას, მინდორ-მინდორ დადიხარ და მღერი, ქართული მწერლობა იცნობს მწერლებს, რომლებიც ფსევდონიმებით წერდნენ, ცვარნამი გაგიგონია? კარგი მწერალი იყო, თუნდაც, ცქვიტი, რამდენი ერთი გითხრა... ჰოდა, ამის შემდეგ, როცა ლექსი მომიტანო, „ტოროლა“ ეწეროს ბოლოზე“.

მეორეჯერ 1964 წლის თებერვალში შევხვდი, სადაც მის მიერ შერქმეული ფსევდონიმის დასამკვიდრებლად, თავის თხზულებათა კრებულის მეორე ტომზე წამიწერა: „ქართული პოეზიის პატარა ტოროლას, ნორა ედიშერაშვილს, გ. ლეონიძე, 4 თებერვალი, 1964“, - ჯერ პატარა ტოროლა ხარ და მერე დიდი უნდა გახდეო, - მითხრა.

ბევრი ცნობილი პიროვნება გამაცნო. მცხეთელი „მინდიას“, მიხეილ მამულაშვილის 90 წლის იუბილისათვის ლექსი შემიკვეთა, გამამხნევა, - გამოდი, წაიკითხე, ხალხმა უნდა გაგიცნოსო, ვიუარე, თქვენს გვერდით, ან, იქ გამოსულ პოეტებთან მე რა გამოსაჩენი ვარ-მეთქი.

-არა უშავს, სუსტი ლექსიც რომ დანერო, შენ ისე კარგად წაიკითხავ, ძლიერი გამოჩნდება, გაბედე, გაბედე!...

და მეც გაბედე...

მიხეილ მამულაშვილის იუბილე მცხეთის კულტურის სახლში გაიმართა. ახალგაზრდების სახელით სიტყვით გამოსვლა დამავალეს. მე ლექსი ვამჯობინე.

იუბილის დაწყებამდე მოწყენილი ვიდექი ფოიეში, გიორგი ლეონიძე და გრიგოლ კაკიაშვილი შემოვიდნენ, გოგლას ყველა გარს შემოეხვია, მისალმებას და მოკითხვას ბოლო არ უჩანდა. შემამჩნია, შორიდანვე დამიძახა: ტოროლა, რად მოგიწყენიაო. მივედი მასთან.

-დანერე ლექსი?- მკითხა.

-დიახ!

- მაჩვენე, წავიკითხო.

წაიკითხა. მხარზე ხელი დამადო და მითხრა;

-კარგი ლექსი დაგინერია, ყოჩაღ! ამდენს არ ველოდი. შენებურად კარგად წაიკითხავ და გამოჩნდები.

გამამხნევა, თორემ, ლექსი რომ სუსტი იყო, თავადაც ვიცოდი.

იუბილეზე გამოვედი, მიხეილ მამულაშვილს 90 წლისთავი მიეულოცე და ლექსი „ყვავილების მეფე“- წავიკითხე. გოგლა ხელს მართმევს, წარმატებებს მისურვებს.

იუბილის დამთავრების შემდეგ გიორგი კავთიაშვილი, სტუმართა ერთ ნაწილს სახლში ეპატიჟება, ლეონიძე ხელს მკიდებს და მივეყვარ. მე უხერხულად ვიშმუშნები და უკან ვიხევ. კავთიაშვილი მილიმის და მანიშნებს, წამოდიო.

ასე აღმოვჩნდი მცხეთის რაიონის ავტორიტეტული და დაფასებული ხელმძღვანელის ოჯახში. ამაზე სიზმრადაც ვერ ვიოცნებებდი, მაგრამ ეს რეალობა იყო. სტუმართა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი კინო-რეჟისორი სიკო დოლიძე შვილით, „სამტრესტის“ ქარხნების მმართველი და-

ვით რომელაშვილი მეუღლით, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელები, ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის რედაქტორი ოთარ ეგაძე, ასევე ცნობილი ჟურნალისტი გიორგი ლებანიძე და სხვები, სუფრას ამშვენებდნენ მანდილოსნები, უძღვებოდა - შესანიშნავი დიასახლისი, ექიმი, ქალბატონი გულნარა კავთიაშვილი.

ეს იყო დაუვინყარი ღამე. თავის „სტიქიაში“ იყო გიორგი ლეონიძე. ენამზეობდა, ლექსებითა და სადღეგრძელოებით გვატკბობდა, ახლაც მეხსიერებიდან არ ამომდის მისი სახელდახელო ექსპრომტი, რომელიც გიორგი ლებანიძეს მიუძღვნა:

„ეს ლებანიძე გოგია,
ღვინოში დასაზოგია,
ხან თაფლით სავსე სკა არის
და ხანაც ცხარე მდოგვია...
კიდევ ჰყავს დასაკბენალი,
მრავალი მგლების ჯოგია...
ეს ლებანიძე გოგია,
ღვინოში დასაზოგია“...

სალამოს კულმინაცია იყო ოთარ ეგაძის მიერ მოსაწვევ ბარათზე გაკეთებული ჩანაწერი, რომელსაც ყველამ ხელი მოვანერეთ. ბოლოს, ეგაძემ, გოგლას ცერა თითი მელნით დაუსველა და სთხოვა: ეს სამახსოვრო თავყრილობა ანაბეჭდით დაადასტურეო.

ასეც მოხდა.

ჩემთვის ეს საღამო იქცა ფიქრულად, რომელიც ცხოვრების გზაზე გამყვა და დღემდე არ ფერმკრთალდება.

გიორგი ლეონიძე არა მარტო შემოქმედების მხრივ მზრდიდა, არამედ, დახმარებასაც მიწევდა სამსახურში მოწყობაზე. როცა კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში თავი დავანებე მუშაობას, ერთხანს უმუშევარი დავრჩი. სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე, სწავლული აგრონომის დიპლომი ავიღე და მოვისურვე, რომელიმე

ღვინის ქარხანაში ლაბორანტად მუშაობა. საამისო გამოცდილება უკვე მქონდა, რადგან, სტუდენტობის წლებში, ერთხანს ვიმუშავე თბილისის მეოთხე სამარკო ღვინის ქარხანაში. რჩევითვის მივმართე გიორგი ლეონიძეს. მომიწონა, დავით რომელაშვილს მივწერო, - მითხრა. რომელაშვილი მაშინ „სამტრესტის“ ქარხნების მმართველი გახლდათ. ლეონიძემ აიღო ფურცელი და დაწერა: „სალამი დავითს! გიგზავნი ახალგაზრდა პოეტს- აგრონომს. მეურნეობა აქვს დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში... თუ ძმა ხარ, დაეხმარე, იქნებ მოაწყოთ თქვენს ქიმიურ ლაბორატორიებში- ლაბორანტად. შენი გ. ლეონიძე. შენც იცნობ, გახსოვს, მცხეთაში გ. კავთიაშვილთან ლექსი რომ წაიკითხა...

(მამულაშვილის იუბილეზე). გ. ლ.“

წერილი კონვერტში ჩადო და თავად მე გამატანა. რომელაშვილი შვებულებაში აღმოჩნდა და აღარ მივედი. მერე რუსთავში ვცადე ბედი. ისევ ლეონიძეს მივმართე, მანაც, მეორედ მოიმარჯვა კალამი და რუსთავის მაშინდელ საქალაქო კომიტეტის მდივანს, თენგიზ მენტეშაშვილს მისწერა (მომყავს შემოკლებით): „ამხ. მენტეშაშვილს სალამი! ძალიან გთხოვთ, დაეხმაროთ ამ წერილის მომტანს ამხ. ნ. ედიშერაშვილს. იგი ახალგაზრდა პოეტი. მან წლეულს დაასრულა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სურს თქვენთან მოეწყოს აზოტოვანი სასუქების ქარხანაში ლაბორანტად... ყოჩალი ახალგაზრდაა და თანაც ლიტერატორი, პოეტი. კარგი იქნება თუ დაეხმარებით. მე ჩემის მხრივ, გთხოვთ გზა მისცეთ. პატივისცემით გ. ლეონიძე. 14 ივლისი 1964“.

მანამდე, ვილაც ვანოსთან მიმიწერა (გვარი არ მახსოვს), მაგრამ გადაიფიქრა, არ ღირს, დახიეო, მაგრამ მე მაინც შევინახე. არც რუსთავმა გამიმართლა, მენტეშაშვილი შვე-

ბულებაში, თუ სადღაც წასული დამხვდა. დაველოდე. ამასობაში, ჩემივე სოფლის საშუალო სკოლაში განთავისუფლდა ადგილი და დამნიშნეს სასწავლო ნაწილის გამგედ საწარმოო სწავლების დარგში. ლეონიძის ეს წერილები ადრესატებმა ვერ მიიღეს (აღარ დამჭირდა მათი შენუხება) და დარჩა ჩემთან, როგორც დიდი ადამიანის მიერ თანადგომის, დახმარების, გასაჭირის გაზიარების, მზრუნველობის უზადლო ნიშნუბად...

იყო სხვა შეხვედრებიც, არანაკლებ, ემოციური, მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი. რად ღირს, რესტორან-ბალში, „სტელაში“, მასთან გატარებული საღამოს გახსენება (ეს შეხვედრა აღწერილი მაქვს ნარკვევში „გზა პატარძელზე გადის“)...

ერთხელ, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში შემხვდა. ჩემი სოფლის ისტორიით ვიყავი დაინტერესებული და ძველ პერიოდულ პრესას ვეცნობოდი. გოგლა მხარეთმცოდნეობის კაბინეტში შემოვიდა. თამარ მაჭავარიანი იკითხა (ბიბლიოთეკის ამაგდარი თანამშრომელი, ცნობილი პიროვნება), მაგიდებს თვალი მოავლო და როცა შემნიშნა, სახე გაეხადრა, მომიახლოვდა:

- ტოროლა, შენც აქ დადიხარ? რაზე მუშაობ?!

- ჩემი სოფლის ისტორია მაინტერესებს, ბატონო გოგლა!

- ჰო-ო, ეგ კარგია, შენი სოფლის ისტორია ზედმინეონით უნდა იცოდეს, - მერე ქალბატონ თამარ მაჭავარიანს მიუბრუნდა, - ამ გოგონას თუ რამე დასჭირდეს, დაეხმარე, - უთხრა და ისევ მე შემომხედა, - „ლექსი, ტოროლა, ლექსი, პირველ რიგში პოეზია, მერე მეცნიერული მუშაობა, ორივე სჭირდება სამშობლოს.“

ლეონიძემ ხელკავი გაუკეთა თამარ მაჭავარიანს და სამუშაოდ მეორე ოთახში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დამიძახა, ბიბლიოგრაფია გადაფურცლა, მოხაზული ადგილები მაჩვენა და მითხრა:

-მუშაობისას ნაგანყდი, ხოვლე ამ ნომრებით უნდა მოძებნო. დამსვა და სათითაოდ ამომაწერინა საძიებლები. მერე მკითხა, ვიცოდი თუ არა, როგორ მომეძებნა საინტერესო საკითხები. ჩემი დასტური გაეხარდა, გამამხნევა და წარმატებები მისურვა.

გიორგი ლეონიძესთან რამდენიმე შეხვედრა, ჩემი ცხოვრების საგზალი გახდა. მის კაბინეტში შემოსული დიდი მეცნიერების, ალექსი ჭინჭარაულის, დავით გოგოჭურის, გიორგი ციციშვილის და სხვათა საუბრები, რომელთა მომსწრე და მსმენელიც გავხდი, დიდი აკადემია იყო.

გოგლას არაფრით არ ეჯერა, რომ ფილოლოგიური განათლება არ მქონდა მიღებული, -უზადო ქართულით მეტყველებ და წერო, - მეუბნებოდა. ძალიან უყვარდა თავისი ლექსი „ნინოწმინდის ღამე“, როგორც კი ინსტიტუტში მივიდოდი მასთან, გადამიშლიდა წიგნს და ამ ლექსს მაკითხებდა.- მიყვარს შენი წაკითხულიო. ძალიან გაუხარდა, როცა კასპის რაიონული გაზეთის რედაქციაში დავინწყე მუშაობა,- " შემოქმედი ადამიანი ხალხს უნდა იცნობდეს, მათს ჭირსა და ლხინს იზიარებდეს, მათგან სწავლობდეს და წერდესო",- არაერთხელ უთქვამს ჩემთვის.

უკანასკნელად იმ საბედისწერო, 1966 წლის გაზაფხულზე ვნახე, საჯარო ბიბლიოთეკაში.

ალჟირელ ქართველებზე ვმუშაობო,- მითხრა. მალე გრიგოლ კაკიაშვილი შემოვიდა მხარეთმცოდნეობის კაბინეტში, მომესალმა, მომიკითხა და გაზეთ „ივერიის“ კომპლექტი დამიდო წინ, ერთ-ერთ წერილზე მიმითითა და მთხოვა,- გიორგი ლეონიძე მუშაობს დაბლა და ამოწერაში მივეხმაროთო. ამოვწერე, იმ დღეს, მე და გრიგოლი მის დავალებებს ვასრულებდით, გვსიამოვნებდა, რომ რაღაცით მაინც ვეხმარებოდით ამ მართლაც, „საქართველოს სიყვარულში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“... ეს იყო

და ეს, გაზეთში მუშაობამ დრო აღარ დამიტოვა. ლეონიძე ველარ ვნახე.

თითქოს, მშვიდად მარცვლავდა დღეებს იმ წლის ზაფხული, მაგრამ ივლისის ხვატით გათანგულ თბილისში ხმა დაირხა: გიორგი ლეონიძე სიკვდილს ებრძვისო. მერე ეს ექო მთელ საქართველოს მისწვდა და დაიძრა ხალხი წყნეთისკენ, სადაც მოძალეულ სენთან შერკინებული პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

მეც წავედი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ნახვა აღარ მენერა. 14 აგვისტოს კი, სამგლოვიარო პროცესიას თვალცრემლიანი მიყვებოდი მთანმინდის პანთეონისკენ და გულდანწყვეტილი ვისმენდი რეპროდუქტორიდან დადევნებულ, ლეონიძის ბუბუნა ხმას:

„მშობელ მინაში მიდგას ფესვები,

როგორც წყალში დგას წნორის ძირები“...

მარადისობაში წასული გიორგი ლეონიძე, თავისი მქუხარე, პოეტური სიტყვით, რომანტიკული შემართებით, შემოქმედებითი მარგალიტებით, რომლებსაც მშობლიური მიწის სურნელი ასდით, დღესაც დგას „საქართველოს ლექსის მეხანძრეთა შორის“ და ბრწყინავს ქართული მწერლობის ცის კაბადონზე.

.....

გ ა ნ უ მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ა ნ ა

ქართულ მწერლობაში მე-20-ე საუკუნემ პოეტი და პროზაიკოსი ქალების ფერადოვანი თაიგული მოგვცა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს ხვდა ბედნიერება: - „ცაში სწვდებოდეს ლაჟვარდებს“... ეს მარტო ანა კალანდაძემ შეძლო და თანაც, როგორ... ტიციანს რომ დავესესხოთ: „მოვარდნილ მენყერს“ ჰგავდა მისი შემოსვლა პოეზიაში, მოვიდა და თან მოიყოლა თვალმარგალიტი ლექსების ციმციმი, ელვარება და სურნელი.

ის-ის იყო დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, გადაიარეს სისხლის წვიმებმა, მიწყდა ზარბაზნების ქუხილი, ცის გუმბათიდან აიკრიფნენ ფაშისტი სვავები და ძერები. სწორედ ამ დროს, ქართული პოეზიის ცის კაბადონზე, ცისკრის ვარსკვლავივით აკაშკაშდა ანა კალანდაძის სახელი. ეს არ იყო იოლი მაშინ, როცა თბილისის ქუჩებში დააბიჯებდა პოეტების მეფე, - გალაკტიონი, დაწერილი იყო „მთანმინდის მთვარე“ და „მერი“, ქართლსა და კახეთს უმღეროდა გიორგი ლეონიძე, თბილისს - იოსებ გრიშაშვილი... და ასეთ დროს, ქართული ლექსის ბრწყინვალეობით განებივრებული ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, უეცრად მოხეტქილმა ქალურმა პოეზიამ, არა მარტო მოხიბლა საქართველო, არამედ, გააოცა კიდეც.

ანა კალანდაძე არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა...

მოვუსმინოთ დიდებულ ქართველ მწერალსა და კრიტიკოსს, გურამ ასათიანს;

- „ომი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც მწერალთა კავშირის პატარა დარბაზში, მაჩაბლის ქუჩაზე, ახალგაზრდა უცნობმა ქალმა წაიკითხა თავისი პირველი ლექსები.

ამ დარბაზში, ამ დღეს, დაღლილი, მორცხვად ჩაცმული, ნაშიმშილები, ნირშეცვლილი ადამიანები ისხდნენ, ოთხი მძიმე წლის მანძილზე გამკაცრებული სახეებით.

და აი, დარბაზის სიჩუმეში გაისმა სუსტი ხმა, რომელსაც მოჰქონდა რაღაც ამ ადამიანებისთვის ყველაზე საჭირო, ყველაზე აუცილებელი, ყველაზე მონატრებული რამ, იმ დიდი წყურვილის დამარწყულებელი, რომლის არსებობა ზოგს გადაავიწყდა კიდეც...“ (გ. ასათიანი „ანა“, წინასიტყვაობა ლექსების კრებულისა „ანა კალანდაძე“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1985).

მერე ერთიანად ამღერდა დიდი და პატარა: - „საქართველოო ლამაზო“, „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“, „შენ ისე ღრმა ხარ,“...

თავად ვარ მომსწრე და მონაწილე, როგორ სპონტანურად ვაქციეთ პოეზიის საღამოდ, ვაკის ბაღში, სამეცადინოდ გასულმა სტუდენტებმა, ერთი დღე, თუმცა, მეორე დღეს გამოცდა გველოდა მიკრობიოლოგიაში. ვილაცამ წუთშესვენება აიღო, აშრიალებულ ხეს შეხედა და წაილიღინა: „ქარი გიმღერის ნანასა“... თითქოს ეს გვინდოდა, ველოდით კიდეც... ვილას ახსოვდა მიკრობიოლოგია და პასტერი... ერთიანად ვიყავით ანა კალანდაძის პოეზიით მოჯადოებული და ავსილი... რიგ-რიგობით ვკითხულობდით მისი წიგნის საუნჯიდან გათავისებულ მარგალიტებს: „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, „ამ სურით სვამენ“, „კარში გამო, ჭია-ჭიამარია“, „ბოშა ქალი“, „დამილოცეთ, ძმებო“, „ერთმანეთს ვეჯიბრებოდით დეკლამაციაში, ანა კალანდაძის შემოქმედების ცოდნაში, ლექსის სიღრმისეულ განცდასა და გააზრებაში.

დიახ, უზადო და თავანკარაა ანა კალანდაძის პოეზია, ისეთივე მაღალი, როგორც ქართული ცა, ისეთივე წმინდა და ფაქიზი, როგორც თავად პოეტი ქალი, უბრალო, უკარება, რიდით სავსე, მიუწვდომელი და შემძლებელი.

პოეტ ქალს თაყვანს სცემდა მთელი საქართველო და პოეზიის დედოფლის რანგშიც ერთსულოვნად აიყვანა. მას ყველგან იწვევდნენ, პატიუბდნენ, გულთბილ შეხვედრებს

უნყობდნენ. სტუმარ-მასპინძლობაში ეცილებოდნენ ქალაქე-ბი, რაიონები, სოფლები, დაწესებულებები, სასწავლებლები... და მიდიოდა პოეტი ქალი ყველგან, უშურველად, მოკრძა-ლებით, თბილი გულით, ყოველგვარი ბრწყინვალეების გა-რეშე, იმ ნაქანდაკარი სტრიქონებით, მამულს, მზეს, სიცოცხ-ლეს და ადამიანურ ღირსებას რომ უმღერიან.

მისი ცხოვრების ყოველი საიუბილეო თარიღი დღესას-წაულს ჰგავდა. ფართოდ აღინიშნა დაბადების 50-ე წლისთავი. ეს დღე კასპის რაიონულმა გაზეთმაც მიულოცა. დაიბეჭდა ჩემი წერილი „პოეტი ქალის შუადღე“ და ანას საუკეთესო ლე-ქსები („განთიადი“ 1975 წლის 8 მარტი).

კასპელებმა ანა კალანდაძე მოგვიანებით, 1982 წლის 10 დეკემბერს მოიწვიეს. მასპინძლობა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ითავეს. მო-ვუსმინოთ ამ სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს, ქა-ლბატონ ციცი შალუტაშვილს: „ზამთრის დასაწყისი იყო, მა-გრამ შემოდგომის გამოყოლილი დარი იდგა, თბილი, უქარო...

ანა კალანდაძე კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმს ესტუმ-რა... შეხვედრა რაიკომის სხდომათა დარბაზში შედგა. რაიო-ნის ხელმძღვანელებთან ერთად, მშრომელებიც გვეწვივნენ. მაშინვე გაიბა უხილავი ძაფი სტუმარ-მასპინძლებს შორის. ტექნიკუმის მოსწავლეები მსჯელობდნენ პოეტის შემოქ-მედებაზე, მისი ლექსების კითხვაში ეჯიბრებოდნენ ერთ-მანეთს... მერე კი ტრიბუნა თვით პოეტ ქალს დაეთმო და იმდენჯერ დაგვატკბო მშვენიერი ლექსებით, რომ თავადვე გაუკვირდა და თქვა: ამდენი ლექსი არსად არ წამიკითხავ-სო...“ („განთიადი“, 8 მარტი, 1985 წ.).

ოფიციალურმა შეხვედრამ ციცი შალუტაშვილის ოჯახში გადაინაცვლა. ქართული ტრადიციის დიდებულ რიტუალს, ლეხურის პირზე, გიორგი შალუტაშვილის ორსართულიან სახ-ლში, ერთმანეთს ავსებდა სტუმარ-მასპინძლობის ხიბლი და

ანა კალანდაძის ლექსთა სინარნარე. პოეტი ქალი, შეხვედრით მიხიბლული და სიყვარულით გარემოსილი, არა მარტო შემო-ქმედებით, არამედ თავისი უბრალოებით, კდემამოსილებითა და თავმდაბლობითაც გვხიბლავდა და გვაჯადოებდა.

ეს დაუვინყარი შეხვედრა იყო პოეზიის დედოფალთან, გაუხუნარი, ფერუცვლელი... მით უფრო ჩემთვის, რამეთუ, საფუძველი ჩაეყარა ჩვენს პირად ურთიერთობას, დაახლოე-ბას... ამ ყველაფერმა ბიძგი მომცა, რომ მისთვის სამადლო-ბელო წერილთან ერთად, ჩემი წიგნიც, - „დიდსაჩიტეს განძე-ული“ გამეგზავნა, რომელიც კასპის ცემენტის ქარხნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, 1982 წელს გამოსცა გამომცემ-ლობა „საბჭოთა საქართველო“.

მალე, საფოსტო გზავნილიც მივიღე, ანა კალანდაძე მწერს: „პატივცემულო ნორა! მაღლობას მოგახსენებთ წერილისა და წიგნისათვის „დიდსაჩიტეს განძეული“. სიამოვნებით გა-ვეცნობი კასპის ცემენტის ქარხნის საინტერესო ცხოვრებას, კასპელი მეცემენტეების საკმაოდ მძიმე შრომას და, თქვენი თქმისა არ იყოს, მოვიგონებ კასპში გატარებულ დღეებს. ამ წიგნით ნამდვილად კარგი და კეთილი საქმე გააკეთეთ! გილო-ცავთ... პატივისცემით ანა კალანდაძე. თბილისი, 12. 5. 83წ.

ანა კალანდაძის დაბადების 60 წლისთავი ისე მოგვადგა კარზე, ვერ შევნიშნეთ.

რაიონული გაზეთის რედაქციამ, სადაც რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი, სპეციალური გვერდის მომზადება დამავალა. დახმარება კი ქალბატონმა ციცი შალუტაშვილმა და მისმა მეუღლემ, ცნობილმა მეცნიერმა და ლიტერატორ-მა, პროფესორმა (ანა კალანდაძის თანამშრომელმა ა. ჩი-ქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში), გენადი ბურჭულაძემ გამიწიეს. მალე, დასაბეჭდად გამზადებული მასალები სტამბაში გადავაგზავნეთ, თუმცა, არ გვქონდა ანა კალანდაძის ფოტოსურათი, ამიტომ თხოვნით მივმარ-

თეთ გენადი ბურჭულაძეს, რადგან, ვიცოდით, რომ იგი ანას მეგობარი და გულშემატკივარი გახლდათ და ფოტოსურათს აუცილებლივ მოგვიტანდა.

მალე გენადი ბურჭულაძის ბარათი მაახლეს:

„ქალბატონო ნორა!- მწერს გენადი,- გუშინ ქალბატონ ანას თქვენი გაზეთისთვის ვთხოვე ფოტო. მან იმ პირობით გამომატანა, რომ აუცილებლივ მივუტან უკან (მეტი აღარ დამრჩა და ეს სურათი ძალზედ მომწონსო). ასე რომ, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ (ნეგატივის გადაღების შემდეგ უკანვე გამოართვი). რაკი ეს სურათი მას გამორჩეული აქვს, სასურველია სწორედ მისი გამოქვეყნება.

პატივისცემით: გ. ბურჭულაძე. 5 მარტი, 1985.“

პოეტი ქალის თხოვნა იმავე დღეს შევასრულეთ. ჩვენი გაზეთის ფოტო-რეპორტიორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ და ხელოვანმა, ვლადიმერ მჭედლიშვილმა, ანა კალანდაძის ფოტო-სურათები გაამრავლა, რედაქციასაც გადმოგვცა და ქალბატონ ანასაც გენადი ბურჭულაძის ხელით მიართვა.

რაიონული გაზეთი „განთიადის“ 1985 წლის 8 მარტის ნომერი, სწორედ ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მასალებით დატვირთული გამოვიდა და პოეტ ქალს, ამით დაბადების იუბილევ მივულოცეთ და ქალთა საერთაშორისო დღე- 8 მარტიც...

გაზეთის ამ ნომერს, ჩემი ლექსი - „წარწერა ანა კალანდაძის წიგნზე“- დავურთე და პოეტ ქალს გავუგზავნეთ, რამდენიმე დღეში, გენადი ბურჭულაძის ბარათი კიდევ გადმომცეს. გთავაზობთ შემოკლებით:

- „ქალბატონო ნორა! თქვენი ბარათი და ამანათი გადავეცი ქალბატონ ანას. ძალზედ გაეხარდა, თქვენი ლექსი მოეწონა - გულწრფელი და უშუალოაო (ხედავთ, როგორ ემთხვევა ჩვენი შეხედულებანი!)... გაზეთის გვერდის მიძღვნისთვის - დიდი მადლობაო.

ახლა ერთი პატარა თხოვნაც უნდა შემოგანოთ:

-ის სურათები, თქვენ რომ აახლეთ, ძალიან მოეწონა, ოღონდ, იმავე დღეს წამართვესო (საშუალო ზომის რომ იყო ის) მწერალთა კავშირში (სტენდისთვისო, შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატთათვის რომ აქვთ). ნეტავ მაშინვე რატომ არ გთხოვეთ კიდევო. დავამშვიდე: ქალბატონო ანა, თქვენთვის ქალბატონი ნორა შეუძლებელს შეძლებს-მეთქი. ეგების მოხერხდეს და კიდევ გააკეთებინოთ (ნეგატივს ციცი გადმოგცემთ), ვიცი, ქალბატონ ანას ამ სურვილს აასრულებთ და ამიტომაც წინასწარ გმადლობთ!

პატივისცემით: გ. ბურჭულაძე“.

პოეტი ქალის სურვილი შევასრულე, თავად ანა კალანდაძემაც შეასრულა დანაპირები: რამდენიმე დღეში მივიღე მისი ლექსების საიუბილეო კრებული წარწერით:

„ დიდი პატივისცემით,

დიდი სიყვარულით

ქ-ნ ნორა ედიშერაშვილს

ანა კალანდაძე

1985“.

ახლა, ეს ავტოგრაფიანი, საიუბილეო კრებული ჩემი სამაგიდო წიგნია და სულის კარიბჭესთან დანთებული ლექსის კელაპტარი...

მომავალი შეხვედრები, რომლებიც წინ მელოდა, თავად ანა კალანდაძის სურვილითაც შედგა: მან ოჯახში მიმიპატიჟა, ეს ყველაფერი კი სიზმარს ჰგავდა. მეც მივიღე პატიჟი და პოეტ ქალს ორჯერ ვესტუმრე, პირველად 1985 წლის შემოდგომის ერთ ცრიაგ საღამოს, მეორედ - 1986 წლის 3 თებერვალს, - „ანაობაზე“.

ბედნიერი წუთები იყო, ცხოვრების გზაზე გამყვან და მაშინაც კი არ დამტოვა, როცა დროის კატაკლიზმებმა გაუსაძლისი გახადა სიცოცხლე. ახლაც თვალწინ მიდგას ეს მარადიული

„ანაობა“, რომელიც ასე გამორჩეულად უყვარდა პოეზიის დედოფალს და ყოველწლიურად, ისევე აღნიშნავდა, როგორც მის დაბადების დღეს, - 15 დეკემბერს.

სწორედ ერთ ასეთ „ანაობაზე“ ვიყავი მიწვეული ანა კალანდაძის ოჯახში, 1986 წლის 3 თებერვალს. მიყვები თბილისში, საბურთალოს ქუჩას და თან მიმაქვს გამოუცნობი მღელვარება და სიხარული. ვჩერდები № 40 სახლის კართან და ზარს ვრეკავ. ცოტა ხანში სახემღიმარი მანდილოსანი ოთახში მეპატიჟება: დაელოდეთ, ახლავე შემოვაო,- მითხრა და მომიბოდიშა,- სხვა სტუმრებსაც მივხედავო.

და ვარ პოეტ ქალთან შეხვედრის მოლოდინში, ვათვალიერებ მის საცხოვრისს, მყუდრო, უბრალოებითა და ყვავილებით სავსე სავანეს. კედლებიდან მხატვრული ფერტილოები „მიმზერენ“... ვის არ უცდია პოეზიის დედოფლის იერსახის გადატანა ტილოზე, ყველა მხატვარს გამორჩეული ხელწერა აქვს და შესრულების მანერა. სურვილი კი ერთი: გადასცენ მნახველებს პოეტის სულის მღელვარება და განცდები...

მალე ანაც შემოდის, წინსაფართო და საკმაზნარევი სურნელით. მესალმება, მადლობას მიხდის მილოცვისთვის, ხელს მხვევს და სამზარეულოში მიყვევარ : - ვჩქარობო, - მეუბნება,- მალე სტუმრები მოვლენ და სუფრის გაშლა უნდა მოვასწოროთ... ყველაფერს თავისი ხელით ამზადებს, ეხმარებიან ოჯახის წევრებიც, მაგრამ სუფრას, მაინც, ქალბატონი ანას გემოვნებით აწყობენ...

-ეს ნუგეშა მაყაშვილია, - მაცნობს ანა სუფრასთან მოფუსფუსე ლამაზ ქალბატონს, - დიდი ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი და მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი, ჩემი უახლოესი მეგობარი. ნაბოლარა გოგონა მერე შეეძინათ მაყაშვილებს, - განაგრძობს საუბარს ანა, - როცა ტაბახმელასთან, ბოლ-

შევიკებმა 1921 წლის 19 თებერვალს, მათი 19 წლის უმცროსი ქალიშვილი, მარო იმსხვერპლეს. ახალშობილს ნუგეშა ამიტომ დაარქვეს. მისი დაბადება, მართლაც დიდი ნუგეში იყო სამშობლოსთვის თავშენიწერი მარო მაყაშვილის დაღუპვით დამწუხრებული ოჯახისთვის.

იუბილარ პოეტ ქალს მეგობრები ემატებიან. ოთახი ნაირფერი ყვავილებით ივსება. ენამზეობს ცნობილი მსახიობი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი, ულამაზესი თათია ხაინდრავა, რომელმაც თავისი ქალიშვილი მოიყოლა და მეგობრებს წარუდგინა, როგორც მომავალი მუსიკოსი.

ქართულ სუფრას თავისი ტრადიციები აქვს, უძველესი დროიდან მოსული და მას ყველა ემორჩილება, მცირერიცხოვანი იქნება იგი თუ პირიქით. ასე იყო ანა კალანდაძის ოჯახშიც...

„ბულბული უჯდა ენაზე“ თამადას, ანას ლექსებით გვხიბლავდა დეკლამაციის დედოფალი, ქალბატონი თათია... იყო საუბრები მინიერი და ზეციური... პოეტი ქალი იხსენებს კასპელებთან შეხვედრებს, ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან გატარებულ წუთებს, საუბრობს ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, პოეზიაზე, ცხოვრებისეულ საკითხებზე... ყველაფერზე თავისებური შეხედულება აქვს, უნდა დაეთანხმო, რამეთუ, არის მასში გულწრფელობა და სიმართლე.

სარკმელთან ღამე ტყდება. ძნელია ასეთი საზეიმო წუთების წარსულში დატოვება, მაგრამ ხომ არის რწმენა და იმედი... ცხოვრება გრძელდება, კიდევ მოვლენ 15-რიცხვიანი დეკემბრები და მარადიული „ანაობაც“.

დიახ, მოვლენ!...

ამ იმედით დავტოვე იმ ღამეს ანა კალანდაძის ოჯახი და თან გამოვიყოლე პოეტი ქალის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათი, რომელსაც თავად წაანერა:

„ნორა ედიშერაშვილს
დიდი პატივისცემით
სიყვარულით
ანასაგან
3.11.86. თბილისი.

მას მერე, წლები კრიალოსანივით ჩამოიმარცვლა. ისეთი ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს ირგვლივ, არც ველოდით და არც წარმოგვედგინა. ძვირად დაგვიჯდა თავისუფლებისათვის ბრძოლა. გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, შეუძლებელი - ერთმანეთთან მისვლა და მონახულება. ანა კალანდაძესთან შეხვედრებიც ამიტომ შეწყდა, თუმცა, არა პოეზიასთან. სას-თუმალთან მიდევს მისი ლექსთა კრებული და როცა ძალიან მიჭირს, გადავშლი...შემოიჭრება ჩემს სულში ფაქიზი ვნებების მქონე პოეტის სტრიქონები და გზას გამინათებს, გამამხნევენს, მზესთან და სიცოცხლესთან დამაბრუნებს, გაუსაძლისს დამაძლევინებს, ქეთევან დედოფლის წამებას შემახსენებს და მეტყვის: „ცეცხლი სწავდა დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი“...

საქართველოში, ქალის კულტის მქონე ქვეყანაში, ანა კალანდაძემდე, დიდი პოეტი ქალის სახელი არ ვიცოდით, ყოველ შემთხვევაში, ქართველებმა ვერ, ან არ შემოგვინახა.

მეოცე საუკუნემ ეს ლაფსუსი გამოასწორა. ანა კალანდაძის სახელი, ქართული პოეზიის ტაძარში, ვარსკვლავივით ანთია, ის განუმეორებელია, მარადიული, როგორც ქართული ცა და ქართული გენი...

პოეზიის დედოფალს პატივი და დაფასება სიცოცხლეშივე არ მოჰკლებია. ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, ქართული ენის მუდმივი კომისიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერ-

ების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (ამ ინსტიტუტში მუშაობდა იგი წლების განმავლობაში, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე), მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის, საქართველოს სახელმწიფო, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის და „საბას“ პრემიები, დაჯილდოებული იყო საპატიო და ღირსების ორდენებით.

დასანანია, რომ ჩვენს შორის აღარ არის, გარდაიცვალა 2008 წლის 11 მარტს, გაზაფხულის მომღერალმა და მზის მეხოტბემ, სწორედ, გაზაფხულზე დატოვა სამშობლო, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეღალაღებდა: „საქართველოო ლამაზო“...

ქართველმა ხალხმა ბოლომდე მიადევნა პატივი და სიყვარული, სამუდამოდ მიუჩინა განსასვენებელი მთაწმინდაზე და დაავანა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვა დიდი მამულიშვილების სულის პარნასში ...

აღალმისი!.

ის მზიანი შეხვედრები

ნოდარ დუმბაძე ჩემი თაობის (და არა მარტო) კერპი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ის გაოცება და ემოციები (მაშინ სტუდენტი გახლდით), როცა აქამდე უცნობი სტილითა და ტექნიკით შესრულებულ რომანს ვკითხულობდით, რომელიც სავსე იყო ცრემლნარევი იუმორით, ამოუწურავი ფანტაზიით, სასაცილო ეპიზოდებით, ბუნებრივი პასაჟებით, ადამიანური სევდითა და ტკივილებით... ამიტომ იდგა დიდი რიგები საგაზეთო ჯიხურებთან, ხელმომწერებთან, ბიბლიოთეკებში... და ახალგაზრდების საყვარელი ჟურნალი „ცისკარიც“ ხელიდან ხელში გადადიოდა, იცრიცებოდა, ფერმკრთალდებოდა...

ეგ კია, რომ გვიკვირდა, ასეთი დიდი სიტბოთი და სიყვარულით გაჯერებული რომანი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის საგალობელი იყო, რატომ ამოაფარა რედაქციამ ჟურნალის იუმორისტულ განყოფილებას, თანაც, პეტიტით, რომელსაც ძლივს ვკითხულობდით. როგორც ჩანს, მკაცრი ცენზურისა და კომუნისტური წნეხის ქვეშ მყოფი რედაქციისათვის,, გამოსავალი ალბათ, ეს იყო, რამეთუ, შესაძლოა დაეხურათ. აკი მოჰყვა კიდევ მავანთა „შეფასება“. როგორც კრიტიკოსი გურამ გვერდნითელი გულისტკივილით გვამცნობს: „იგი ქართული რომანის დეგრადირების სიმპტომად იქნა გამოცხადებული თავისი ვითომცდა არასერიოზულობის გამო“.

ნოდარ დუმბაძის მწერლური შესაძლებლობები კიდევ უფრო მძლავრად წარმოჩინდა შემდგომ გამოქვეყნებულ რომანებში: „მე ვხედავ მზეს“, მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია დედა“, „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“... პრესა დაიპყრო მისმა ნოველებმა, იუმორისტულმა მოთხრობებმა,

ლირიკულმა და საბავშვო ლექსებმა...თეატრებში იდგებოდა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე შექმნილი სპექტაკლები, ეკრანებზე გამოდიოდა კინო-ფილმები, მზადდებოდა სატელევიზიო გადაცემები, ინერებოდა სიმღერები.

იშვიათად რგებიან ასეთი პოპულარობა ქართველ მწერლებს და ეს ბუნებრივიც იყო. ნოდარ დუმბაძე ჩვენი თანამედროვე გახლდათ და გვხიბლავდა მისი უშუალობა, იუმორი და, რაც მთავარია, მზიანი, სიკეთითა და სიყვარულით გაჯერებული გული...

სიცოცხლეშივე აღიარებულ და პატივდებულ კლასიკოსს მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია... არც სხვა უმაღლესი ჯილდოები და რეგალიები აკლდა... მისი წიგნები ითარგმნებოდა, ვრცელდებოდა თითქმის ყველა კონტინენტზე, საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ადრე წავიდა, მეტად ადრე (გარდაიცვალა 1984 წლის 14 სექტემბერს), თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ქართველი ერისა და ქვეყნის სიყვარულში დახარჯა, თუმცა, ნაყოფიც მოიმკო, საყოველთაო აღიარება და დაფასება არ დააკლდა.

2013 წლის ივლისში ნოდარ დუმბაძის საიუბილეო დღეები იდგა. მას 85 წელი შეუსრულდა, ამ თარიღს გულგრილი ვერ შევხვდი, მეხსიერების საღარო „გავაღე“ და ის მზიანი შეხვედრები „გავაცოცხლე“, რომლის მომსწრე და მონაწილეც თავად ვიყავი, მერე ფოტო-მასალაც მოვიძიე საოჯახო არქივში, რომელიც უშუალოდ ჩემს მიერ არის გადაღებული.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, კასპის რაიონს ერუდირებული, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დამფასებელი პიროვნება, ლევან ისაკაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი თავკაცობითა და ორგანიზატორობით მოიწვიეს ჩვენი დიდი კლასიკოსი, იმ დროს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ნოდარ დუმბაძე

კასპში, რომელმაც პატიჟი მიიღო და თან იახლა, ასევე გამოჩენილი მწერლები არჩილ სულაკაური, ოთარ მამფორია და აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი ივანე თარბა. მთავარი მასპინძელი კი გახლდათ კასპის ცემენტის ქარხანა, რომელსაც თენგიზ ალიბეგაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნოდარ დუმბაძე აღიარებულ მწერალთა ეკიპაჟით კასპს ესტუმრა. აქ მათ, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად შეუერთდნენ, ასევე ცნობილი მწერლები, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ხორგუაშვილი და პოეტი და დრამატურგი, კასპის რაიონული გაზეთ „განთიადის“ რედაქტორი გურამ კლდიაშვილი.

ის დღე, კასპში, დღესასწაულს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალო შეხვედრას, რაც უზადოდ აღბეჭდა ფირზე ჩვენმა ფოტო-რეპორტიორმა ვლადიმერ მჭედლიშვილმა და შთამომავლობას შემოუნახა დოკუმენტური ფოტო-მასალა მწერლისა, რომელმაც ყველა პატივი, რაც სიცოცხლეში მოიმკა, თავისი ელვარე ნიჭითა და მზიანი გულით დაიმსახურა.

ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფები გვერდს ვერ აუვლიან კიდევ ერთ ღონისძიებას, რომელიც არა მარტო მასშტაბური იყო და საზეიმო ელფერში გახვეული, არამედ, თავისი დანიშნულებაც ჰქონდა: იგი ახალგაზრდა შემოქმედთა დაოსტატებას ისახავდა მიზნად და ამიტომ მიგვიწვიეს თელავში, 1974 წლის 12 ოქტომბერს, სადაც ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა მეორე რესპუბლიკური თათბირი. რომლის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და მონაწილე იყო საქართველოს მწერალთა კავშირი და მისი თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე.

ამ თათბირის მონაწილეთა შორის აღმოვჩნდი მეც, მაგრამ არა როგორც ჟურნალისტი (მაშინ გაზეთ „განთიადის“

რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი), არამედ, როგორც ახალგაზრდა შემოქმედი, რადგან ლექსები უკვე გამოქვეყნებული მქონდა რესპუბლიკურ და რაიონულ პრესაში.

პატივი მხვდა წილად, ახალგაზრდა პოეტებთან (ვისაც გულში ლექსის ხანძარი გვენთო) და პროზაიკოსებთან ერთად, გაგვეზიარებინა ის უბედნიერესი წუთები, რაც კახეთში 12-17 ოქტომბერს ვიხილეთ და განვიცადეთ. ნოდარ დუმბაძეს თან ახლდა ქართველ მწერალთა დიდი „არმია“. აქ იყვნენ, აგრეთვე, მთარგმნელები, კრიტიკოსები, ჟურნალისტები და არა მარტო საქართველოდან.

დრომ ვერ გაახუნა ის შთაბეჭდილებები, რაც თელავში ვნახეთ, ქართული მწერლობის კორიფეებთან სიახლოვე, მოგზაურობები წინანდალში, იყალთოში, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართული პაექრობები, სემინარული მუშაობები, თავისუფალ დროს ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულებანი და რაც ყველაზე ფასდაუდებელია, ქართული სტუმარ-მასპინძლობის რიტუალები, ანუ, ლხინი კახელებთან, რომელიც ღმერთების ტრაპეზს უფრო ჰგავდა, ვიდრე, უბრალოდ, ბანკეტს, სადაც გავითავისეთ ნოდარ დუმბაძის განუმეორებელი ხიბლი, მისი მზიანი გულის სითბო, რომელიც უხვად იყო განფენილი იუმორში, ლექსებსა თუ სადღეგრძელოებში.

ცხადია, გულგრილი ვერ დავრჩებოდი ამ განუმეორებელი საღამოებისა და ამიტომ შევეცადე ფირზე აღმეჭდა ნანახი და განცდილი, თუმცა, არც დილექტანტი ფოტოგრაფი ვიყავი, არც მოყვარული, რომ აღარაფერი ვთქვათ პროფესიონალიზმზე, მე მაინც მოვიმარჯვე ჩემი „ფედი“, რომელიც, ყოველი შემთხვევისთვის თან მქონდა და როგორც შემეძლო, ისე გადავიღე პოეზიის სექციის მუშაობის რამდენიმე ეპიზოდი (სექციას პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა), სადაც, ახალგაზრდების წინაშე, ნოდარ

დარ დუმბაძეც გამოვიდა და ქართული მწერლობის როლ-სა და ამოცანებზე ისაუბრა. ახლა ეს ფოტო-სურათები, სხვა მწერლებთან და ვითარებაში გადაღებული, ჩემს საო-ჯახო არქივში ინახება, თუმცა, არაპროფესიულად არის შესრულებული, მაგრამ უნიკალურია და ფასდაუდებელი.

კანონზომიერი იყო ნოდარ დუმბაძის შემოსვლა ქარ-თულ მწერლობაში, „მას გულში და შემოქმედებაში მზე ენთო - (გურამ გვერდნითელის სიტყვებია),- მზით სავსე სამყარო შექმნა, დაგვიხატა და დაგვიტოვა“...

მზიანი და თბილი იყო ის შეხვედრებიც, საქართველოში რომ იმართებოდა უკვდავებასა და მარადიულობაში გადა-სულ მწერალთან.

და რა ქალი?!..

*აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, -
21-ე საუკუნის დიდი მოაზროვნე.*

ეს უბერებელი სტრიქონი, რომელიც გენიალურ ქართ-ველ პოეტს, პოეზიის დედოფალს, ქალბატონ ანა კალანდ-აძეს დავესესხე, არც შემთხვევითია და არც უსაფუძვლო, რამეთუ, ვინც კი ახლოს იცნობდა, ან სადმე ენახა პირველი ქართველი ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადე-მიკოსი, საქართველოს ქალთა საბჭოს პრეზიდენტი, ქალ-ბატონი ნინო ჯავახიშვილი, მისი სილამაზისა და კდემამო-სილების მნახავი, გულგრილად ვერ ჩაუვლიდა გვერდით, ემოციას ვერ დაფარავდა და ჩაიდუდუნებდა:

- „და რა ქალი?! ხელის გულით სატარები“...

დიდი და ფასდაუდებელია ქალბატონ ნინო ჯავახიშვი-ლის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. დაიბადა 1914 წლის 7 ნოემბერს, მოსკოვში, ცნობილი ქა-რთველი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვი-ლის ოჯახში, სადაც ბრწყინვალე აღზრდა და განათლე-ბა მიიღო. 1935 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და აქვე დაიწყო ერთ-ერთ კათედრაზე ასისტენტად მუშაობა. მალე იგი მეცნიერული ანატომიის ფუძემდებლის, აკადემიკოს ალე-ქსანდრე ნათიშვილის მოსწავლე ხდება. პრომისმოყვარეო-ბამ, დასახული მიზნისაკენ სწრაფვამ, ფართო განათლე-ბამ, მრავალი უცხო ენის ცოდნამ, შესაძლებლობა მისცა მეცნიერთა წრეებში სახელი დაემკვიდრებინა, როგორც ფართო დიაპაზონის მქონე მკვლევარისა, რომელმაც დიდი

წვლილი შეიტანა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების საქმეში. მან 1946 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში, იყო დირექტორი, ხოლო 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე - საპატიო დირექტორი. იგი 275-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 7 მონოგრაფიის ავტორია, 43 ნაშრომი უცხო ენებზე აქვს გამოცემული.

დიდია მისი სამეცნიერო გამოკვლევების მნიშვნელობა, ისინი ფართოდ აშუქებენ გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემის მორფოლოგიასა და ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა საკითხებს, გარდა ამისა, უამრავ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, იყო ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე უნგრეთის, ბულგარეთის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებისა და ჩეხოსლოვაკიის პურკინეს სახელობის სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოების წევრი, თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე...

დღეს არც ერთი მეცნიერი არ უარყოფს, რომ საქართველოში ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის ახლებური კვლევა, განხორციელდა ელექტრონულ-მიკროსკოპული და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის და ტექნოლოგიის დამკვიდრება, მას აღიარება მოუტანა სისხლის მიღების კვლევამ, ამბობენ და წერენ, რომ ვირტუოზულად ფლობდა სისხლძარღვთა ქირურგიის ტექნიკას, რასაც წარმატებით იყენებდა არა მარტო ორგანოთა ტრანსპლანტაცია-რეპლანტაციის ურთულეს ინოვაციურ ექსპერიმენტებში, არ-

ამედ კლინიკებშიც, ნიშანდობლივია, რომ ამ უმშვენიერეს მეცნიერს მხარში ედგა მეუღლე, ასევე ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი მემედ კომახიძე, მათ ერთად იმ დროისათვის არაერთი უნიკალური ოპერაცია განახორციელეს...

ბევრი ერი იამაყებდა ასეთი მეცნიერი ქალბატონით, მით უფრო, თუ მათს ქვეყანაში იცხოვრობდა სამი აკადემიკოსი, ერთ ოჯახში.

უამრავი საქმით დატვირთული მეცნიერი ქალბატონი აქტიურად მონაწილეობდა ჰისტოლოგიური და ემბრიოლოგიური ლექსიკონების, მათ შორის, დასურათების შექმნა - გამოცემაში, მისი რედაქტორობით მრავალჯერ გამოიცა აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის „ადამიანის ნორმალური ანატომია“, არჩეული იყო რუსეთის, გერმანიის, შვეიცარიის საერთაშორისო ჟურნალების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად, იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი ქვეყნის ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი...

აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი დიდი ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ არა მარტო საქართველოში, მას სიამოვნებით ხვდებოდნენ და პატივს სცემდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ცოლ-ქმარი ჟოლიო - კიურები, პოლ ლანჟევნი, ეჟენი კოტონი, დოლორეს იბარური, ანა სეგრესი, პალმირო ტოლიატი, მორის ტორესი, ედვარდ კენედი და სხვები, რაზეც მეტყველებენ ქალბატონი ნინოს პირად არქივში დაცული მათი წერილები, საქართველოში კი საოცარი მეგობრობა ჰქონდა მეცნიერ ქალს ელენე ახვლედიანთან, ქეთევან მაღალაშვილთან, ლადო გუდიაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან. იოსებ გრიშაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ნიკოლოზ

მუსხელიშვილთან, რუს კოლეგებთან და სხვებთან, ამ ავტორიტეტისა და აღიარების შედეგია, რომ 2003 წელს, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა აირჩია მრჩეველად და დაასახელა წლის ქალად, ხოლო 2005 წლის 25 ნოემბერს, ამავე ინსტიტუტის მიერ ნომინირებულია 21-ე საუკუნის დიდ მოაზროვნედ.

დიდია ქალბატონი ნინო ჯავახიშვილის დამსახურება საქართველოში ქალთა ორგანიზაციის დაარსების საქმეში.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1945 წლის ნოემბერში, ქალბატონმა ნინომ მონაწილეობა მიიღო პარიზში, ქალთა პირველი საერთაშორისო დემოკრატიული, ანტიფაშისტური კონგრესის მუშაობაში.

არ შემოიძლია რამდენიმე სიტყვა არა ვთქვა ამ კონგრესზე, რომელმაც დასაბამი დაუდო მსოფლიოში ქალთა მოძრაობას და რომელთა სათავეებთანაც დადგა საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მეცნიერი ქალი.

1945 წლის 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნამ, მშვიდობის გარანტია ვერ მისცა მსოფლიოს, ჯერ ისევ საომარი ისტერია ისმოდა შორეული აღმოსავლეთიდან, წინ იყო 19 აგვისტო, როცა იაპონიას ხელი უნდა მოეწერა უსიტყვო კაპიტულაციისათვის...

დიახ, ეს ყველაფერი წინ იყო...

ასეთ რთულ ვითარებაში, საფრანგეთში, ცნობილი მეცნიერი ქალი, ფიზიკოსი, რადიუმის „მშობლების“ მარი სკლოდოვსკა-კიურისა და პიერ კიურის მოწაფე და თანამშრომელი ეჟენი კოტონი იწყებს ქალთა პირველი საერთაშორისო დემოკრატიული ანტიფაშისტური კონგრესისათვის მზადებას, შეიქმნა საინიციატივო კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდა 46 ქვეყნის 116 დემოკრატიული ორგანიზაცია...

დადუმდნენ ზარბაზნები, გადაიარეს სისხლის წვიმებმა, ნარინჯისფერი შემოდგომა შემოვიდა...

1945 წლის 26 ნოემბერს პარიზში მუშაობა დაიწყო კონგრესმა. ტრიბუნაზეა ქალბატონი ეჟენი კოტონი და მოხსენებას აკეთებს, ლაპარაკობს ქალთა როლსა და მნიშვნელობაზე, მათს წვლილზე მეორე მსოფლიო ომში (საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში თავად გახლდათ წინააღმდეგობის მოძრაობის თავმჯდომარე), დემოკრატიისა და მშვიდობიანობის აღდგენაში, ქალთა და ბავშვთა სოციალურ, უფლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვა საკითხებზე.

დარბაზში, დელეგატებს შორის იჯდა ღვთაებრივი სილამაზის ქართველი ქალბატონი, რომელიც სიქსტის კაპელადან გადმოსულ რაფაელის მადონას ჰგავდა და მუშტრის თვალთ ზომავდნენ ფრანგები, გერმანელები, ავსტრიელები, ბულგარელები და სხვები, რომლებსაც შესვენებისას უაქცენტოდ ესაუბრებოდა მათს მშობლიურ ენებზე... კონგრესი 6 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და აქედან დაედო სათავე ნინო ჯავახიშვილის მეგობრობას სახელმწიფოებრივ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან...

კონგრესზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ქალბატონი ეჟენი კოტონი

პარიზიდან დაბრუნებისთანავე, ქალბატონმა ნინო ჯავახიშვილმა საქართველოში დააარსა ქალთა კომიტეტი. რომლის პრეზიდენტადაც აირჩიეს და მისი უცვლელი თავმჯდომარე 2006 წლამდე გახლდათ, შემდეგ კი საპატიო თავმჯდომარე, სიცოცხლის ბოლომდე.

ქალთა კომიტეტის (საბჭოს) სათავეებთან დადგნენ საქართველოს ქალები, რომლებმაც შრომითა და ბრძოლით გამოიარეს მძიმე კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, რეპრესიების, მეორე მსოფლიო ომის და მისი შემდგომი კატაკლიზმებით, ბრძოლებითა და აღმშენებლობებით რთული, მაგრამ გამარჯვებებით სავსე წლები.

პატივი და დაფასება არ აკლდა ქალბატონ ნინოს, გარდა იმისა, რომ იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პრო-

ფესორი, აკადემიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო აგრეთვე მთავრობის უმაღლესი ორდენებითა და მედლებით.

ამ წერილს არა აქვს ქალბატონ ნინო ჯავახიშვილის ცხოვრებაზე მონოგრაფიის შექმნის პრეტენზია, მასზე უფრო კარგად წერენ და დაწვრილებით გაეცნობით მასალებს ბიოგრაფიულ ლექსიკონში: „ნინო ჯავახიშვილი“, საქართველოს ეროვნული აკადემიისა და თსუ ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივ წერილში, ქართულ ენციკლოპედიაში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქალბატონ მაყვალა წილოსანის წერილში „ნინო ჯავახიშვილი, - მეცნიერების დედოფალი 100 წლისა“, საქართველოს ქალთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ მასალებში და სხვაგან, რომელთა მიხედვითაც დაინერა ეს პატარა წერილი.

პატივი მხვდა წილად, არა მარტო ახლოს გამეცნო ეს დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, არამედ, რესპუბლიკის ქალთა საბჭოში მისი საუბრები მომესმინა და დავალებები შემესრულებინა, რამეთუ, 80 – 90-ან წლებში, ვხელმძღვანელობდი კასპის ქალთა საბჭოს და უშუალო შეხება მქონდა იმ ყველაფერთან, რაც ამ სფეროში ხდებოდა. რა თქმა უნდა, ახლა ყველაფრის გახსენება ძნელია, ბევრი რამ გაუფერულდა, ან მეხსიერების სალაროში დაილექა, მაგრამ არის წუთებიც, რომლებსაც დრომ ვერაფერი დააკლო და ჩემი ცხოვრების თანამგზავრებად იქცნენ...

ტრადიციად იყო ქცეული (და დღესაც ასეა) ქალთა საერთაშორისო დღის- 8 მარტისადმი მიძღვნილი ზეიმის ფართოდ აღნიშვნა. იყო შეხვედრები, კონცერტები, გამოფენები... ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე, რესპუბლიკის ქალთა საბჭომ 1975 წლის 8 მარტს თბილისში, რაიონებიდან ქა-

ლთა საბჭოების წარმომადგენლები მიიწვია, მათ შორის, კასპიდანაც.

ასე აღმოვჩნდი აღმაშენებლის გამზირზე (პლესანოვის) მდებარე რკინიგზელთა კულტურის სახლში ჩემი რაიონის თვალსაჩინო ქალბატონებთან ერთად. საოცარი საღამო იყო, უამრავი ყვავილი, ღიმილი, ერის გამოჩენილი ქალბატონების კრებული და საქართველოს ქალთა ლიდერი, - უბრალო, სადად ჩაცმული, ტანკენარი, ყელმოღერებული, ღამაზი, სათნო, კეთილი... ასე მეგონა ყინწვისის ანგელოზს ვუყურებდი... და ამას მარტო მე არ ვფიქრობდი. იმ დღეს, პირველად შევხვდი ასე ახლოს საქვეყნოდ განთქმულ მეცნიერს და ცხადია, შთაბეჭდილებებიც დიდი გამომყვანა...

მოგვიანებით, 1985 წელს კასპის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს (ვმუშაობდი კასპის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ რედაქტორის მოადგილედ), ამიერიდან კი, გამიხშირდა ვიზიტები თბილისში, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის მეხუთე სართულზე მდებარე ქალთა საბჭოს ოფისში, რადგან მათი დირექტივებითა და დავალებებითაც ბევრ ღონისძიებას ვატარებდით რაიონში, ვსწავლობდით ქალთა საყოფაცხოვრებო პირობებს სანარმოებში, ორგანიზაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, დავდიოდით ბავშვთა და სასკოლო დაწესებულებებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში...

ემოციური იყო და საქმიანი ყოველი ჩემი ჩამოსვლა რესპუბლიკის ქალთა საბჭოში, სადაც ხალისითა და თავისებური ხიბლით გვხვდებოდნენ. ერთმანეთს ვეცნობოდით რაიონების და თბილისის ქალთა საბჭოების, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის წარმომადგენლები, უბრალო პროფესიის ადამიანები... ვმონაწილეობდით სხვადასხვა აქციებში... გვიკვირდა, როგორ ასწრებდა მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, ქალ-

ბატონი ნინო ჯავახიშვილი, ერთდროულად, ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობას, ჩვენთან შეხვედრას, მსოფლიოს კონგრესებსა და ფორუმებშიც მონაწილეობას... ბუნებით უხვად იყო დაჯილდოებული, უფალს მისთვის დაეფრქვია, რაც კი სიკეთე და სილამაზე არსებობდა.

ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი ჩვენგან წავიდა 2012 წლის 21 ივლისს. მან „ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ნათელი გონება, მტკიცე ნებისყოფა და საოცარი ქალური ხიბლი, იგი სიკვდილის ბოლო წუთამდე თავაუღებლევ მუშაობდა, მის სანერ მაგიდაზე დაუსრულებელი სამეცნიერო ნაშრომი დარჩა. სწორედ სამსახურში მიიჩქაროდა, როცა გზად, 97 წლის ასაკში სიკვდილი წამოენია და შეუერთდა მარადისობას“...

ასე გაუხუნარი შემომრჩა მეხსიერებაში დიდი მოაზროვნის, აკადემიკოსის, საქართველოში ქალთა ორგანიზაციის დამაარსებლისა და სულისჩამდგმელის, ქალბატონი ნინო ჯავახიშვილის ხატად ქცეული სილამაზე, ხიბლი და მაგონდება ქართული პოეზიის ბერმუხის, დიდი გოგლა ლეონიძის მარადიული კითხვა: „საიდან მოდის ეს სილამაზე, ან სად მიდის?!“

და მართლაც, სად მიდის?!

დოკუმენტური
ჰროზა



ს ა ნ უ ლ ე ბ ი ს ნ ა დ ი მ ი

უჩვეულოდ თბილი ამინდებით შემოვიდა გაზაფხული ქართლში. ერთმანეთის მიყოლებით სკდებოდნენ კვირტები ნუშზე და ტყემალზე, მალე, ალბათ, ატმებიც გადაიპენტებოდა, რომ არა მარტის ჩვეული კაპრიზები, მოულოდნელად ისეთი სუსხიანი ზენა ქარი შემოვარდა მტკვრის ხეობაში, რომ ერთიანად მოშუშხა „აფეთქებული“ ხეხილის ბაღები და საყვავილედ გამზადებული კვირტები...

ბინდი წევს მთისპირა, პატარა სოფელში, ჟინჟულავს. მარტის ცივი ქარია. ქსილისის მთაზე ცაა ჩამომხობილი. გამოდარებას ელიან მობუზული სახლები და ჩაშავებული ხეები.

ატალახებულ შუკებში ფეხის ხმა მიწყდა. საქონელი დაბინავდა. სახლებში სინათლე აინთო. ჩამონოლილ სიჩუმეს, ძაღლების ყეფა არღვევს, ადამიანები საძილედ ემზადებიან.

დიდხანს შემორჩა თათხანთ ლიზა ბოსელში. ახალმოგებულ ძროხას, მელანოს, თბილი, კომბინირებული საკვები მისცა, ბაგაში თივა ჩაუყარა, ხბოს მიეფერა და დედას მიუყვანა, მელანომ ხაოიანი ენით ალოკა ჯიქანს დანაფებული ბოჩოლა და ბაგას მიუბრუნდა. ლიზამ ამით ისარგებლა და ბოსლის დირედან საურველი ჩამოხსნა, მელანოს ზურგზე გადაუსვა, კარგად გაასუფთავა, დანაყრებული ხბო დედას მოაშორა, დააბინავა და ბოსელი დატოვა.

სახლი, რომელშიც ლიზა ცხოვრობს, ორსართულიანია, ფართო, რიკულებიანი და ტალავერით დამშვენებული. ოთახში თბილა, ღუმელში რცხილა ინჯის, ზედ შემომდგარი ქოთანი თუხთუხებს, ლობიო იხარშება, ირგვლივ ქონდრისა და რეჰანის სურნელი იღვრება. ღუმელთან დიდი, შავი კატა ყვინთავს. შალიკო, ლიზას შვილი, რომელიც დილას გავიდა სახლიდან, ჯერაც არ დაბრუნებულა.

-გაგარეულდა ეს ბიჭი, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლიზამ, - როდემდე, ჰა, როდემდე? -თავის თავს კითხვა დაუსვა, ტელევიზორი ჩართო და ღუმელს შეშა დაუმატა.

ქოთანი დუღს, დუღს, „თავს იკლავს“...

მარტოობამ ფიქრების მოძალეზა იცის, აკი აადევნა კიდევც ამ ქოთანმა და მისი დამსაჩუქრებელი „გაუცოცხლა“...

- სანყალი ნუცა, - ჩაილაპარაკა ლიზამ, - ღმერთმა აცხონოს, რა რუდუნებით ქმნიდა თიხის ჭურჭელს, როგორი მორიდებით მომართვა ეს ქოთანი, - „უბრალოა, მაგრამ, მზითევში გაიყოლე და მომიგონეო“, ჰოდა, ახლა, სანთელს დავანთებ, - გაიფიქრა და სამზარეულოში გავიდა, ის იყო კარადიდან სანთლები გამოიღო, რომ ძაღლის ყეფა შემოესმა. ლიზამ ფანჯარაზე ფარდა გასწია და გარეთ გაიხედა, მაგრამ სიბნელეში ვერავინ დალანდა და თავის საქმეს მიუბრუნდა, სანთელი აანთო, კარადიდან ვარდის ლიქიორით სავსე გრაფინი გამოიღო, - შენდობას ამით ვიტყვიო, - თქვა და აგუზგუზებულ ღუმელს დაუბრუნდა, ქოთანში ციცხვი ჩადო და ამოლესვა დაიწყო....

ქოთანი ბევრ რამეს ახსენებს თათხაანთ ქალს და უფრთხილდება, მისი დაკარგვის ეშინია, უფრო სწორედ, იმ მოგონებებისა, რომლებსაც მისი ბავშვობა და ქალიშვილობა ახლავს... მაგრამ ფიქრის გაგრძელება არ აცალეს, გარედან ხმაური შემოესმა:

- გამოიხედე, ქალო, რა დაგემართა, დაყრუვდი? - კარები შემოაღო ლიზას მახლის ცოლმა, ელენემ და ცივი ქარი შემოიყოლა ოთახში.

- რავი, ქა, ფიქრებმა წამიღო, თანაც, ეს ტელევიზორი....- შეეგება ლიზა შავცაძიან მანდილოსანს.

- ტელევიზორი, თორემ, გულგასახარებელს გეტყვის, - მაგიდაზე რძით სავსე, ქაშანურის ქილა შემოდგა ელენემ, - აჰა, ხანულო, ეს კვირა შენი იყოს, რაც მოინველა, წამოგილე, დანარჩენს ხბოს ვაჭმევ!

- ბავშვებს რაღა დაუტოვე, ქა,- შეიცხადა ლიზამ და კარადიდან რვეული გამოიღო, კალამიც მოძებნა და რძის რაოდენობა ჩაინიშნა,- ახლა, ჩემი შვილიშვილები აქ რომ იყვნენ, - მიუბრუნდა ისევ ელენეს,- გაუკვირდებათ, სიტყვა „ხანულის“ გაგონებაზე,

- რათა, გასაკვირველი რა არის?

- რათა და, აღარავინ იცის „ხანულობა“, ამიტომ ამ სიტყვამ ძალაც დაკარგა და მნიშვნელობაც....

- შენ როგორ აუხსნიდი?

- როგორა და, გადმოვიღებ აგერ, წიგნების თაროდან სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ და წავუკითხავ, (ლიზამ თაროდან ჩამოიღო ორბელიანის თხზულებათა მე-4 ტომი და გადაფურცლა) - „ხანული - რძის მოზიარენი, დიაცნი,“ გვერდი-414, არ კმარა?!

- არა, პრაქტიკული გამოცდილებაა საჭირო.!

- წავიდა ეგ დრო, ჩემო ელენე, „ხანულობას“ ფასი მაშინ ედო, როცა კომუნისტების ხანაში, მარტო ერთი ძროხის ყოლის უფლება გვექონდა და კარაქის მისაღებად საკმარისი არ იყო, მახსოვს, ბებოს მეზობელი, გეჯაძიანთ ქალი, გაიანე, ერთ კვირას, თავისი ძროხის მონაწველს რომ უზიდავდა, მეორე კვირას - ბებოს მიჰქონდა სარძევე ჭურჭლითა, მერედა, არ იტყვი, როგორ ზომავდნენ რაოდენობას?

- როგორა?

- ამისთვის შინდის პატარა ტოტები, უფრო წკეპლები ჰქონდათ მომარაგებული, ჩადებდა ამ წკეპლას გაიანეს მოტანილ სარძევეში და სადაც რძე იყო მომდგარი, დანით ჭდეს დაადებდა, მერე, კვირის ბოლოს, ამ ჭდის რაოდენობით ანგარიშობდნენ რძის მეტობას, ან ნაკლებობას.

- პრიმიტიული ანგარიშია!

- მართალია, მაგრამ, არ ცდებოდნენ, დღეს „ხანულობა“ იშვიათობაა, რამდენიც გინდა, იმდენი იყოლიე, ვინ გიშლის, რძეც ბევრი გექნება და კარაქიცა!

- ყავთ კიდეც, ჩემო ლიზა, მაგრამ, ყველას არ შეგვიძლია მოვლა, საძოვრები ჭირს!

- კი, ჭირს, მაგრამ შენ მონდომება მითხარი, აგერ, ჩემ მეზობელსა, გიგუშასა, საძოვრები თავზესაყრელი აქვს? ისიც შენსავით არის, მაგრამ მისი ცოლი, თამარა, ყოველ დილა-სალამოს 5 ძროხას წველის, ახლა მათი ხბოები, დეკეულები, ბულები მიუმატე?! მაგრამ ეცოტავება და ნახირის გაზრდა უნდა, შემოსავალიც აქვს, ჩემო კარგო, თავზე ქონება არ გადასდის, მაგრამ ტკბილი არ აკლია და მწარე!

- ალბათ, მეც მივალ მაგ აზრამდე, - ჩაიღიმებდა ელენე და სკამიდან წამოდგა, - დაგტოვებ, დიდხანს შემოვრჩი შენთან, სახლში ინერვიულებენ.

- არაფერსაც არ ინერვიულებენ, დარჩი, რა ხშირად შენ მოდიხარ, აგერ, მობილური ტელეფონი, დაურეკე და უთხარი, რომ აქ რჩები, მობილურების სიკეთე მაინც მოგვითანა ამ დრომ, არც ბიუროს დადგენილება სჭირდება, ტელეფონი რომ დაგიდგან და არც ცეკასი, - გაიცინა ლიზამ, მაგიდაზე დადებული მობილური ტელეფონი ელენეს მიაწოდა და განაგრძო, - არ მივახშმია, ბიჭი არა ჩანს, მართო კაცი კიდეც, ჭამაშიაც ბრალია, ლობიოს სხვა რამესაც დავამატებ და დამენვიე, ამოდენა ღამეს რა გაათენებს?! - თქვა და სუფრის გაშლის თადარიგი დაიწყო.

ელენეს ესიამოვნა შეპატიჟება, ისევ ღუმელს მიუჯდა და შემცივებული ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

- შალიკო არ მოვა? - ახლალა დაინტერესდა ელენე მაზლის შვილით.

- რავი, ელენე, მოვა? ავარდნილი ბუღალავით დასდევს ბესას ქალსა, რაც ცოლი საბერძნეთში გაუშვა, სულ შეიცვალა, სახლში არა ჩერდება, გულს ვერაფერს უდებს, იმ ქალში კიდეც რა ნახა, არ ვიცი.

- რო გითხრა, შეიძლება გენყინოს, - თავისთვის ჩაილაპარაკა ელენემ, მაგრამ ნათქვამი ხმამაღალი გამოუვიდა და შეიშმუნა.

- თქვი, არ მენყინება, სოფელში არაფერი იმალება და ადრე თუ გვიან, მაინც გავიგებ!

- კი, კი, გაიგებ, აბა! ის ბესას ქალი, ელისოი, ბავშვით რო მოგადგება, უკან როგორ გააბრუნებ?!

ლიზას ფერი ეცვალა, ლამის თეფში გაუფარდა ხელიდან, მაგიდის გაშლა მიატოვა და ელენესთან ახლოს მივიდა:

- რა ბავშვი, ქალო, შეიშალე?

- მე კი არა, შენი შვილი შეიშალა, ორი გასათხოვარი ქალიშვილის პატრონმა, მეორე ოჯახის შექმნა გადანყვიტა!

- რა „ბეჭედი“ დაარტყი ჭორსა, ელენე!

- „ბეჭედიც“ შენმა შალიკომ დაარტყა და შტამბიცა, მთელ სოფელს დალდალანი გააქვს, ელისო ბიჭს აჩენსო, ინგრე უთქვამს, იმდენ შვილს გავაჩენ, რამდენსაც ღმერთი მომცემსო, იმდენი წვრილშვილი დავახვიო, სულის მოთქმის დრო არა ჰქონდესო, ციალას პირში ჩალაგამოვლებულს დაგტოვებო, კი არაფერი უთხრა, ქა, შალიკოსა, დედის სულს გაფიცებ, არ გამთქვა, ხო იცი, სოფელია, უსაქმურობა ჭორის მკვებავია, ილაპარაკებენ, დაიღლებიან და გაჩერდებიან!

- არც ეგრეა საქმე, ჩემო ელენე, ძალღი ისე არ დაიყვება, კაცის ჩრდილს თუ არა ხედავსო, ხომ გაგიგონია, როგორც ჩანს, სალაპარაკო მივეცით, მე რძალიცა მყავს და შვილიშვილებიცა, შალიკოს ცხოვრებაში არასოდეს ჩავრეულვარ და არც ახლა ჩავერევი, ამ სახლში, ციალას მეტი რძალი ვერ შემოვა, შვილს როგორ დავთმოვ, მაგრამ შალიკომ თვითონ მიხედოს თავის....

- ელისოსა, არა?- სიტყვა არ დაამთავრებინა ელენემ.

- არ ვიცი, ჩემ თვალწინა ბნელა, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ჩემო კარგო, როცა ფაქტის წინაშე დავდგებით, ახლა კი, მაგიდასთან მობრძანდი, მცირე ვახშამზე ბოდიშს გიხდი, მაგრამა, ყველი და პურიო, კეთილი გულიო, ჩვენს წინაპრებს უთქვამთ, ჰოდა, წავიხემსოთ, ჩვენი ქვევრის ღვინო გავსინჯოთ, ერთმანეთს გული გადავუშალოთ, წასუ-

ლი ქმრები გავიხსენოთ, მე ჩემ სკოლაზე ვიტყვი, სადაც სიცოცხლის საუკეთესო წლები გავატარე და არაერთ თაობას მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული ვასწავლე, შენ - საექიმო ამბულატორია გაიხსენე, თეთრი ხალათით გაპინკინებული რომ დადიოდი და საუკეთესო ექთნის რეპუტაციით სარგებლობდი, ვილაპარაკოთ, გავტეხოთ ეს გრძელი ღამე, დაჯექი!

ელენემ აგუზგუზებული ღუმელი მიატოვა, მაგიდასთან მივიდა და სუფრას გადახედა:

- ეს რა სამეფო სუფრა გაგიშლია, ქა, ამისთანა პურ-მარილზე პრეზიდენტიც არ იტყვის უარსა.

სუფრა, მართლაც, ხვავიანად გამოიყურებოდა, ლიზას მაზლის ცოლის გამასპინძლება გულით მოენდომებინა და ქოთნის ლობიო კი არა, თუ რამ გადანახული ჰქონდა და ეგულებოდა, ყველაფერი გამოეტანა.

ელენემ აღფრთოვანება ვერ დამალა და მადლობასთან ერთად, გულისტკივილიც მოაყოლა:

- აი, როგორ გეტყობა, რომ რძალი საბერძნეთში გყავს და დოლარებს გიგზავნის, ტკბილი არ გაკლია და მწარე, არა, გულშიც არ გაივლო, რომ მშურს, მაგრამ, ვწუხვარ, რომ ასე ვერავის დავხვდები; ახლა, ჩემ სახლში, კბილქვეშ შესაგდები არაფერია, - ამოიოხრა ელენემ და სუფრას მიუჯდა.

- რძალი, ჩემო ელენე, რვა წელია არ გვინახავს, ჰო, ფულს გვიგზავნის, შვილებს თბილისში ასწავლის, მაგრამა, რა ფასად? აბა, იმის ლაპარაკს უსმინე ტელეფონზე, ან, წერილები წაიკითხე?! მძიმე შრომა აქვს, არადა, პედაგოგია, იქ კი, ვილაც დავრდომილს უვლის, საბუთები არა აქვს და სახლიდან ვერ გამოდის, ეს ცხოვრებაა? - თავი გადააქნია ლიზამ და სუფრაზე ღვინით სავსე დოქი შემოადგა.

- ვიცი, ვიცი, მძიმე შრომა აქვთ, ჩემი ნათესავია საბერძნეთში, ისიც პედაგოგია, ახლახანს ქმარი გარდაეცვალა,

ვერ ჩამოვიდა, ტელეფონით დაიტირა მიცვალებული, რას მოვესწარი, ამას ოდესმე ვიფიქრებდით?

- რას ამბობ, სიზმარშიც ვერ ვიფიქრებდი, რომ ასეთი დრო დადგებოდა, - ლიზამ პური გატეხა, საჭმელი გადაიღო და ელენესაც მიანოდა, - როგორ წარმოვიდგენდი, რომ სახელმწიფო შემნახველი სალაროდან ფულს წამართმევდა, მერედა, როგორ ფულს, წლობით ნაგროვებ, კაპიკ - კაპიკ შეკონინებულს და შავი დღისთვის გადანახულს!...

- მარტო ეგა? - სიტყვა ჩამოართვა ელენემ, - სოფლის მეურნეობა გაანადგურეს, მეაბრეშუმეობაზე უარი თქვეს, მეჭარხლეობა მოსპეს, ცოტა ქალი იყო დასაქმებული ამ დარგებში?

- აბა, ადამიანო, რა დიდოსტატები გყავდა, შაქრის ჭარხლის მოყვანის რეკორდსმენები, სოფიო მარიდაშვილის სკოლა გექონდა, საათივით აწყობილი იყო ამ დარგების შრომის ტექნოლოგია და მექანიზმი.

- არავინ გამოჩნდა ღვთისნიერი ბიზნესმენი ან დამფინანსებელი, ახლა რომ ეძახიან, ინვესტორი, რამდენი ქალი დაბრუნდება უკან და შექმნიდნენ მეჭარხლეების, მეაბრეშუმეების ბრიგადებს, ახალგაზრდები მაინც აღარ წავლენ საზღვარგარეთ, მოხუცების მოსავლეადა, მოსწავლე-ახალგაზრდობაც დასაქმდება, ჩვენ რა, ასე არ ვიყავით? ჭარხლის პლანტაციებშიც ვშრომობდით და აბრეშუმის ჭიასაც ვკვებავდით, რამდენჯერ წავყოლივარ უფროსებს მარნეულში, საიდანაც თუთის ფოთოლი მოგვექონდა, მახსოვს, როგორ გვიხაროდა, აბრეშუმის პარკს რომ ვაბარებდით, აღებული ფულით სასკოლო წიგნებს და ტანსაცმელს ვყიდულობდით.

- უფრო მეტიც, - სიტყვა ჩამოართვა ლიზამ, - სახლში, კუსტარულად ვამზადებდით აბრეშუმის ძაფს და ტანსაცმელს გვიქსოვდნენ, სასკოლო ჩანთებს გვიმზადებდნენ, ჩემი ბაბო ისეთ შულოს ამოახვევდა ხოლმე აბრეშუმის პარკიდან, ამ დარგის სპეციალისტებს შემუშრდებოდათ!

ოთახში სითბო იღვრებოდა, ტელევიზიით საპროტესტო აქციას გადმოსცემდნენ.

- არ დანყნარდა საქართველო, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ელენემ, ისე მიდის საქმე, ისევ აირევა ქვეყანა, რევოლუცია მოხდება!

- არ მოხდება - გამოეპასუხა ლიზა.

ერთხანს უჩუმრად ჭამდნენ, საფიქრალს წაელო მათი გონება, მხოლოდ ჩანგლის და კოვზის ხმა თუ დაარღვევდა სიჩუმეს, მერე სადღეგრძელოებიც თქვეს, როცა შვილები დალოცეს, მაშინ დაინტერესდა ლიზა და ბიჭის ამბავი ჰკითხა მამლის ცოლს.

- ბიჭი, ჩემო ლიზა, რაც აფხაზეთიდან დაჭრილი ჩამოვიდა, ჭკუაზე ვერ არის, ნერვიულობს, საქმეს გულს ვერ უდებს, ბარს ვერ აალებინებ ხელში და თოხს, ამოდენა მიწას, პრივატიზაციით რომ მოგვცეს, ვერ მოვუარეთ, ტექნიკა ჭირს, თესლი არა გვაქვს და სასუქი, არ ირწყვის, ცის შემყურე დარჩენილ მიწას, რას მოსთხოვ? რა მექნა, ვერ გავრისკე და ქვეყნის გარეთ მიმავალ ქარავანს ვერ დავედევნე, გამოსავალი ჩვენს ტყე-ღრეში ვიპოვე, შევიამხანაგე რამდენიმე ჩვენებური ქალი და ხან დიდგორში ვკრეფთ სამკურნალო ბალახებს, ხან - თემის ხეობაში.

- შენა, ელენე, დაეტიე სახლში, ის პრივატიზებული მიწა ჩიჩქნე, გადამთიელს არავის შეეჩეხო დიდგორში, გინა - კლდეკარში, არავინ გაგაუპატიუროს, გაიგე? - მხარი წაჰკრა მამლის ცოლს ლიზამ.

- უი, ქა, ვის რაში ვუნდივარ, ხეზე რომ დამაბან, არავინ მომეკარება, - სიცილს ვერ იკავებს ელენე.

- მაინც, რა დრო დადგა, ჰა-ა? - საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა ლიზამ, - რა უნდათ ქართველ ქალებს მაღაზიაში, ბირმაში, თუნდაც, საბერძნეთში, იტალიაში, ამერიკაში, ჯანდაბასა და დოზანაში, თაფლის წვეთივით რომ მიიზიდა ჩვენებურები, რა უნდათ?!

- რა და, დოლარები, ლიზა, მწვანე დოლარები, აბა, ჩემსავით კი არ იხეტიალებენ რკონში, ფელსა თუ ლულში, გლიჯონ შავბალახა, კრაზანა, გვირილა და სხვა ბალახ-ბულახი, აგროვონ შინდი და პანტა, ან „მოცეკვავე“ ნურბელები დაიჭირონ ფიცესის ტბაში, რომ რაღაც თერთებზე ჩააბარონ თბილისის აფთიაქებში. ეგრე არა სჯობია? „გრანიცაზე“ გადავიდნენ არაღეგალებად და „დუნია“ მოიარონ, რომ იქიდან „დაპაჭკული“ დოლარები და ევროები უგზავნონ შვილებსა.

- ყველა არა, ელენე, ვერა ხედავ, რამდენი ილუპება, ზოგი ციხეში ხვდება, ვინ იცის, რამდენი დაკარგა საქართველომ, ან კიდევ, რამდენს აუბნევს გზა-კვალსა ეს დაწყევლილი გაჭირვება. ჩვენ განადგურებულ სოფლის მეურნეობაზე ვილაპარაკეთ და არაფერი ვთქვით სხვა დარგებზე, რამდენი ბიბლიოთეკა გააუქმეს და კულტურის კერა, ამბულატორია და საავადმყოფო, ცოტა ქალი იყო დასაქმებული ამ დაწესებულებებში? უსაქმურად დარჩნენ და ამიტომაც აედევნენ საშოვარზე წასულ ქარავანს, ვინ იცის, კიდევ რამდენი წავა!

- ერთ-ერთი, აგერ გიზივარ, ჩემო ლიზა, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამა, ზუსტად „კაკალ გულში“ მომხვდა ეგ ნათქვამი, - სიტყვა ჩამოართვა ლიზას ელენემ, - გული ბოლმითა მაქვს სავსე და ვის უნდა გავუზიარო ჩემი დარდი, თუ არა მამლის ცოლსა, - ელენემ თავი ველარ შეიკავა და თვალებიდან ცრემლები გადმოსკდა.

- რა მოხდა, ქა, არ იტყვი? - შეშფოთდა ლიზა.

- რა მოხდა და, ბოლო დღეებია, ატყდა ჩემი რძალი, იტალიაში უნდა წავიდე, ნათესავმა სამსახური მიშოვა და მელოდება....

- მერედა, რითი აპირებს წასვლასა, ჰა!

- პროცენტიანი ვალითა.

- იშოვა?

- რისი მშოვნელია, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ვინ მისცემს, ან, ენდობიან კი?

- არ გაბრიყვდე, ელენე, არსად არ გაუშვა, თვალსაზიერი რძალი გყავს, რა იცი, რა ხდება, ვის გადაეყრება, განა ის ქალები, რომლებიც საროსკიპოებში ხვდებიან, თავიანთი სურვილით მიდიან იქა? ტრეფიკინგის მსხვერპლი არიან. მართალია, ყველაზე არ ითქმის, ბევრი კარგ სამუშაოზე ხვდება, მაგრამ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ყველაფერს ეჭვის თვალთ შეხედე, ბოლო-ბოლო სამი შვილი და ახალ-გაზრდა ქმარი ჰყავს.

- მეც ეჭვი მაღაპარაკებს და მტკივა, მაგრამ, ხომ იცი, გაჭირვება მითხარი და გაქცევას განახეობ!

- „გაქცევას“, ჩემო ელენე, სამშობლო გვერჩიოს, იმედი არ უნდა დავკარგოთ, ნაკითხი ქალი ხარ, ხომ იცი, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისაო, მოვა ეს შენების ჟამიც, ჰოდა, გაუმარჯოს ბედკრულ, მაგრამ ტკილ, მზიან საქართველოს, ჩვენს მიწას, ზეცას, მთასა და ბარს,- ლიზამ ღვინით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა და ალავერდი ელენესთან გადავიდა.

- საქართველოს გაუმარჯოს, იმ რწმენასა და იმედსაც გაუმარჯოს, ამ მძიმე ცხოვრებას რომ გვიმსუბუქებს, - თქვა ელენემ და სადღეგრძელო მანაც ბოლომდე დალია.

- „ხანულობაზე“ რომ არ დაგთანხმებოდი, ალბათ, კაი ხანი ჩემი სახლის კარს არ შემოაღებდი, არა? - გამომცდე-ლად შეხედა ლიზამ.

- ეგ რა სათქმელია, ლიზა, როგორ არ შემოვაღებდი, მაგრამ „ხანულობა“ კარგი ტრადიციაა და დასაყრდენი არ არის, მანონს ვამზადებ და მალე ნატურალურ კარაქს ვაჭმევ ბავშვებს, ეგ არის, რომ სადღობელს ვერ ვშოულობ!

- ჩემგან ნაილე, ქა, დედამთილის ნაქონია და მისი ძეგლი, ვუფრთხილდები, ისე, ეგეც პრობლემაა, აღარ არიან ოსტატები, მამა-პაპურ სადღობელებს რომ ამზადებდნენ,

- მიზეზი სხვაც ბევრია, ჩემო კარგო, ჩვენი უნდა ვეცადოთ, რაც კარგი ჰქონდათ წინაპრებს, დავინყებოთ მტვერი არ უნდა მივაყაროთ, მაღლობელი ვარ, რომ დარჩი ჩემთან და მარტობაში არ მატეხინე ეს თოვლნარევი ღამე, მტკივან გულს სარქველი მომახდევინე და ერთმანეთს დარდი გავუზიარეთ....

- კი, კი, ჩვენი სადარდებით გული მოვიოხეთ, ჩემო ლიზა, მაგრამა, რომ არავის ესმის?

- როგორ არ ესმით, ესმით!....

- ვისაც უნდა ესმოდეს, ყურები აქვს დაგმანული და ჩვენი სატკივარი დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“....

- არც ეგრეა საქმე, ელენე, ახლა, ღმერთი ხომ გვისმენდა!

- გვისმენდა!

- ჰოდა, როგორ ფიქრობ, ღვთისმშობლის წილხვედრილ საქართველოს, ღმერთი გასწირავს? ასეთი მძიმე წლები და დღეები ბევრჯერ გვექონია, მაგრამ გადაგვიტანია, ბუნებაში ერთ ადგილზე არაფერი ჩერდება, ჩვენი მძიმე ცხოვრებაც შეიცვლება, ეს ღამეც წავა, დილა შემოდის, მის მობრძანებას ანთებული სანთლებით შევხვდეთ და ვილოცოთ, - თქვა ლიზამ, ბოდიში მოუხადა მაზლის ცოლს და სანთლების მოსატანად გავიდა....

...გაცისკრებისას, ორი ხანდაზმული მანდილოსანი, ანთებული სანთლებით, ხატის წინ, მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და უფალს საქართველოს ბედს და მომავალს ავედრებდა.

სოფელში ყოიამეთი ღამე იწვა, რულდაკრულ სახლებს ფერადოვან სიზმრებს ურიგებდა და მარტის სიცივეს, წვიმანარევ თოვლთან ერთად ათოვდა...

2010 წელი.

მართას ბერები

-დარა, ჰაი, დარა-ა-ა, სადა ხარ, შე არ გასახარებელი, მოდი, ე, ქალაღდი წამიკითხე, რასა მწერს მამაშენი, - გასძახა მართამ, დაბალ ყორეზე შემოსკუპებულ, 8-9 წლის კანჭა გოგოს და ეზოში გამოდგმულ, ჯეჯიმგადაფარებულ ტახტზე მოიკალათა.

-ქალაღდი კიარა დააა, - ლობესთან აიტუზა დარა.

-ჰო, ჰო, ქალაღდი, მამაშენს გამოუგზავნია, ამ დილით მომცა ჩვენებიანთ ლექსამა.

...შავია მართა, შავი, როგორც კუნაპეტი ღამე, უსახური, ჩია და გონჯი.

ქილიკობენ გარდატენილები: - ბარჯაძიანთ გაბომ, ბერ-შუეთს თვალი გამოსთხარაო. იყო ჭეშმარიტების მარცვალთ ამ ქილიკში. ფაშფაშა ანიკოს მერე, როგორ წვებოდა ამ შავჩაჩხა მართას გვერდით, ეს თვალ-ტანადობით გამორჩეული ვაჟკაცი.

მართას ცოლობას ბედის წყევლად მიიჩნევდა გაბო, ანიკოს სიკვდილში მეზობელი უბნის, ზაოტელ ექიმბაშს სდებდა ბრალს და არცთუ უსაფუძვლოდ. დაუქცია ოჯახი იმ „ბნელეთის მოციქულმა“, - როგორც მას უწოდებდნენ თანასოფლელები.

ანიკო მეშვიდე შვილზე იყო ფეხმძიმედ. ნაბოლარა ელენე, ჯერაც ძუძუზე ეკიდა, უჭირდათ წვრილშვილის რჩენა. ამიტომ გადაწყვიტა ანიკომ მუცლის მოშლა, რაც სიკვდილის ფასად დაუჯდა.

-ნეტამც, ფეხი მოსტეხოდა ექიმბაშს და სახლში არ შემოგვეშვაო, - იტყვიან მერე დაობლებული ბავშვები.

მარტივად გადაწყვიტა ექიმბაშმა მუცლად მყოფი ჩვილის ბედი. ანიკოს, რომელსაც ის იყო მკერდექვეშ ბავშვი აუფართხალდა, ჭიპზე ერბოს ქილა მოჰკიდა, მუცელი კი

მოუშალა, მაგრამ სისხლის დენა ველარ შეუჩერა და მომაკვდავი ქალი, კამეჩებშებმული ურმით გორის გზას გაუყენეს. გვიან იყო.

ცრემლგამშრალმა გაბომ, გარდაცვლილი მეუღლე გარდატენში მოასვენა და მინას მიაბარა, ექვსი შვილი გასაზრდელი და დასაფრთიანებელი დარჩა.

ერთი წელი იგლოვა. ხელები დაიკაპინა, ქალის საქმესაც მიხედა და კაცისასაც. უფროს შვილს, გიორგის ის-ის იყო უღვაში აეგინგლა, მამას მხარში ამოუდგა, ვენახში დატრიალდა, გაიყოლიებდა და-ძმებს: დარას, მიხას, თამარას, მიტას, ელენეს და ვისაც რა შეეძლო, იმას აკეთებინებდა.

დარა, გიორგას მომდევნო შვილი იყო გაბოსი, ახტაჯანა და თავნათქვამა. რვა წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა. უქალოდ დარჩენილ ოჯახში, დარას სუსტ მხრებს დაანვა ხელსაქმე. შავდათუანთ ნუცას შეეხვეწა გაბო: გოგოს ჭრა-კერვა ასწავლეო, უარი ვერ უთხრა ნუცამ და დარაც ყოველდღე ატალახებდა მის კარს. იქიდან ეკლესიაში გარბოდა, სადაც სახეგაბადრული მღვდელი მიეფერებოდა, გლეხის გოგო-ბიჭებთან დასვამდა და წერა-კითხვას ასწავლიდა.

არეული დრო იყო. რუსეთიდან ცუდი ამბები მოდიოდა. მეფის ტახტს რევოლუცია არყევდა, მისი ექო გორის მაზრამდე აღწევდა და დუხჭირ გლეხობას გაურკვევლობის ბურუსში ხვევდა.

გალატაკებულ სოფელში, ქვრივ გაბოსაც გაუჭირდა, აჩოჩოლდნენ კარის მეზობლები: ბავშვებს დედა უნდათ და ცოლი უნდა მოიყვანოსო. თქმით კი ვერავინ გაუბედა. ისევ სახლიკაცმა ითავა და ლექსამაც მოუხშირა ბარჯაძიანთ ოჯახში სიარულს. სათქმელი ნელ-ნელა შეაპარა: ახალგაზრდა კაცი ხარ, ჯან-ლონით სავსე, შენი ხნისანი, ჯერაც უცოლ-შვილოდ დაიარებიანო.

გაბო მიუხვდა ლექსას გულის ნადებს, მაგრამ, ნაუყრუა, ქალზე საუბარს გაურბოდა. ლექსამ, ბოლოს და ბოლოს,

პირში მიახალა: რას დაყრუვდი, კაცო, ვერ ხვდები რაზე გელაპარაკები? ცოლი უნდა მოიყვანო, ბავშვებს მიხედავს, ჩვენ კი გარე სამუშაოზე წავიდეთ, ხაშურში, რკინიგზაზე ხალხი სჭირდებათ, მივაკითხოთ, იქნებ მიგვიღონ, ხომ ხედავ, ეს გასაცოდავებული გარდატენი სარჩო-საბადებელს ვერ გვაძლევსო.

- რა ვიცი, ქალსაც მონახვა უნდა და, -ძლივს ამოღერდა სათქმელი გაბომ.

- მაგის დარდი ნუ გაქვს, ქალსაც ვნახავთ, ბერშუეთში წავიდეთ, ცოლეურებში, ერთი კარგი გოგო მეგულება!

- მერე, შეეხედება?

- შეეხედებაო? რას ამბობ, გაბო, ისეთია, ავ თვალს არ ენახვება, ციბრუტივით ტრიალებს, ის რომ სახლ-კარს დაანკრიალებს, წუნს ვერავინ დასდებს, ისე კი, იმის სილა-მაზე რად გინდა, თუ ხელსაქმე არ გამოსდის, ჰა?!

გაბომ იყუჩა, არც ჰო უთხრა, არც არა,

ლექსამაც არ დაიხია უკან, მიდიოდა და მოდიოდა ბარჯაძიანთსა, დღენიადგ ჩასჩინებდა გაბოსა:

- ჰა, კაცო, გადაწყვიტე, წავიდეთ ბერშუეთში თუ არა? როდემდე გიცადოს ი გოგომა, ადგება და სხვას გაჰყვება, აბა, შენ კი არ დაგელოდება!

გულზე არ ეხატებოდათ ლექსას გაუთავებელი მისვლა-მოსვლა გაბოს შვილებსა, მაგრამ, რას გაუბედვდნენ ქალს მონყურებულ და სახლიკაცის ნაქეზებით აცუნდრუკებულ მამასა.

თანხმობაც მალე მიიღო მაჭანკალმა, ის კი არა, თავად აიმედებდა ლექსასა: მთავარია კაბა ეცვას და ხელსაქმე გამოსდიოდესო.

ერთ კვირაში, ბერშუეთიდან ჩარდახიანი ურმით ამოიყვანეს გარდატენში მუგუზალივით შავი მართა. ახალი ცოცხი რომ კარგად ჰგვის, ზედგამოჭრილი გამოდგა მისთვის, სანამ თაფლობის თვე ედგა, ბავშვებსაც არაფერი

უჭირდათ, მერე კი შეიძულა, ვერა და ვერ გაითავისა და ოჯახში ყველაფერი აირია. გაისტუმრებდა თუ არა ვენახში ქმარსა, ვაი, მისი გერების ბრალიც, წყევლა-კრულვის ისეთ ქარ-ბორბალას დაატრიალებდა, ქვას გახეთქავდა მისი წანკლიანი ენა.

სამადლოდ და წიო-წიოდ დადიოდნენ სოფელში მშიერ-მწყურვალ ბავშვები, ხან ხუციაანთ ოჯახს აფარებდნენ თავსა, ხან შავდათუანთა. გაბომ არაფერი იცოდა, თუ რა უბედურება ტრიალებდა მისი ობლების თავზე. ან, ვინ ეტყოდა, მეზობლებსაც ეშინოდათ ამ თავზე ხელაღებული სატანისა (როგორც ის მონათლეს სოფელში), მით უფრო, გერებს, აბა, ერთი გაეხედათ და ენა მიეტანათ მამისთვის? კალო გაილენებოდა მათ თავზე, სულ გვერდებს აუჭრელებდა ჯოხითა.

პირში წყალჩაგუბებული, ნაცემ-ნაგვემი პატარები, ისევ დარას მიეკვრებოდნენ გულზე, იმედი მიეცემოდათ, გაისუსებოდნენ, დაიმალებოდნენ და მერე ხან ვისი ბოსლიდან გამოჰყავდათ, ხან ვისი – სათონიდან...

დარა კი უტეხი იყო, ფიცხი და პირში მთქმელი, აბა, ერთი ხელით შეხებოდა? მთელ სოფელს თავზე დაასევდა, გაბოც გაიგებდა და მართას სამშობლოც. იცოდა ეს ყველაფერი მართამ, ამიტომ ჰქონდა რიდი დარასი და გიორგასიც, ისე კი სწყევლიდა, მაგრამ ახლოს ვერ ეკარებოდა, რისი, ან ვისი ეშინოდა, თვითონაც ვერ აეხსნა, - თილისმინაო, - ჩაიბურტყუნებდა და გაეცლებოდა დარასა.

მას მერე უფრო ჯალათად ექცათ დედინაცვალი პატარებს, რაც გაბო უფროს შვილთან, გიორგისთან ერთად, ხაშურში წავიდა რკინიგზაზე სამუშაოდ.

ობლების წამებას გულგრილად ვერ უყურეს გვარის კაცებმა და ხაშურში დაადევნეს მათი გასაჭირი გულუბრყვილო მამას, სულ მისხალ-მისხალ ჩაუკაკლეს ავყია დედინაცვლის ამბები.

თავზარი დაეცა გაბოს. გარდატეხილი დაბრუნება გად-
ანყვიტა, მაგრამ არ გამოუშვეს, დაანყნარეს: - „გაგულისე-
ბულ გულზე არფერი მოიმოქმედო, ყველაფერი გაითვალ-
ისწინე, აწონ-დაწონე და საქმე ისე მოაგვარეო“, - უთხრეს.

წყენა და ბრაზი მაინც ვერ გადახარშა გაბომ და ცოლს
მუქარით გაჯერებული „შავი ქალაღი“ გამოუგზავნა.

სწორედ ამ „შავ ქალაღს“ აჩეჩებდა ხელში მართა, გაკ-
ერპებულ გერსა და ავის მომასწავებლად დასჩხაოდა:

- ნამიკითხე, შენ არ გელირსოს ბედი, გამაგებინე, რასა
მწერს ჩემი გაბოი, ეგების რამე უნდა გვითხრას, ან იქნებ,
ჩვენი გაჭირვება გაიგო და უნდა მოგვეშველოს, აჰა, გა-
მომართვი-მეთქი!

- გწერს არა-ა-ა, - ცრემლს ვერ იკავებდა დარა.

- ჰო, ჰო, მწერს, აბა, რა არის მაშ, ეს ქალაღი? - მართამ
სამად დაკეცილი ცისფერი ფურცელი გაშალა და თვალწინ
აუფრიალა.

დარამ წერილი გამოართვა, თვალი გადაავლო და გაშრა,
ფერი წაუვიდა.

- ნაიკითხე, გოგო, რას დამუნჯდი, - მოსვენება დაკარგა
მართამ.

დარა იდგა გაჩუმებული და ფიქრობდა: - მაინც, ვინ ჩაუ-
ტანა ასე დაწვრილებით მათი ოჯახის ამბები გაბოსა, ვინ
აამხედრა ცოლის წინააღმდეგ? ასეთი სიტყვები, რაც წერ-
ილში ეწერა, არასოდეს გაუგონია მამის პირიდან. გაბომ,
თითქოს გული გადაუშალა ცოლსა, ახლა ეუბნებოდა იმას,
რაც არ სმენია მართას ყურებსა, ნანობდა, რომ შეცდომა
დაუშვა, როცა ეს ულამაზო ქალი სახლში შემოიყვანა.

- „თუ არ შეგეძლო ჩემი შვილების მოვლა, რაზე დაიდე
მათი ცოდვა, ან მიმიხედე, როგორც წესი და რიგია, ან
გამეცალე, იქით წადი, საიდანაც მოხვედი, სახლში აღარ
დამხვდე, თორემ...“

დარამ, რომელიც ჩუმად კითხულობდა წერილს, უცებ თავი
მალა ასწია და მართას მიაჩერდა: - როგორ ნაიკითხოს ეს
ყველაფერი, ხმამაღლა, ჰა! ქალი ქმრისაგან თბილ სიტყვებს
და მოფერებას ელოდება, ის კი შვილების დაჩაგვრას არ
პატიობს და სახლიდან გაგდებით ემუქრება.

- რა ენა ჩაგივარდა, შე სასიკვდილე, ხმა ამოიღე, - მუ-
ჯლუგუნი ნაჰკრა მართამ დაყურსულ გერსა.

დარა გამოფხიზლდა. წამიერად სახე გაუნათდა, თვალე-
ში ეშმაკური ღიმილი ჩაუნვა, მხრები შეარხია, გასწორდა,
წერილი კარგად გაშალა და დაიწყო:

- ჩემო საყვარელო, სანატრელო, ოჯახის დედა-ბურჯო,
მართა...

- შენ გენაცვალე გაბო-ო-ო, ეგრე როგორ გყვარებივარ
კაცო-ო-ო, - მკერდზე მჯილი დაიკრა მართამ და მეორე
ხელით თვალეზე მომდგარი ცრემლები თავშლის ყურით
შეიმშრალა.

- „რაც სახლის კარი გამოვიხურე და აღარა გხედავ, - გა-
ნაგრძო კითხვა დარამ, - სულ შენზე ვფიქრობ, რა გიჭირთ,
როგორ ხართ, ჩემი შვილები როგორ არიან, ხომ არ შიათ,
სწყურიათ, სცივათ... აბა, შენ იცი, დედაკაცო, როგორ მოუ-
ვლი ობლებსა, არავის დააჩაგვრინო და გააცივო, მშიერე-
ბი არ ატარო, მოეფერე დარასა, მიტასა, მიხასა, თამარასა
და ელესა, სუფთად ჩააცვი, დაბანე, ასწავლე...“

- მა-ა, ეგრე ვიზამ, შენ გენაცვალს მართაი...

- „ჯამაგირი ავიღე, - კითხულობს დარა, - ქიშმირის
საკაბე გიყიდე, კიდევა, ფორებიანი შალი...“

- შენ შემოგეველე, კაცო-ო-ო, - გამოითქვიფა გვერდები
მართამა, - მაზლისცოლის გულისა რო არ გამხადე, იმაზე
ნაკლები რითი ვარ, ადამიანო, წკაპა-წკუპით რო დადის
წითელი ფლოსტებითა და ტარსიკონის შალითა, - რაო,
გოგო, კიდევ რასა მწერს, მაგას დავენაცვლე!

- „ვენახში ხშირად ჩადი, - განაგრძო კითხვა დარამ, - სიმინდში წყალი შეუშვი და მორწყე, ვაზი ჭრაქსა და ნაცარს არ გაანადგურებინო, ბიჭებს შეანამლინე, ჩემს მოსვლამდე საქონელსაც მიხედე, ტკიპა არ დაასიო, თურქულმა, ან რაიმე ავადმყოფობამ არა ავნოსრა

- ეგრე ვიზამ, გაბო, შენ დაგენამლე, ეგრე, მა-ა,!

დარა წამიერად შეჩერდა, გაოცებულმა შეხედა აცრემლებულ დედინაცვალს და ისევ კითხვა განაგრძო:

- „გოცნი მაგ ლამაზ თვალეში, ჩემო დახატულო, აბა, შენ იცი და შენმა ქალობამა, მართა, შვილები არ დამიჩაგრო, კარგად მოუარე, მე ვიცი და ჩემმა კაცობამა, ისეთ ფარჩა-ატლასში გამოგანყო, გარდატენში კიარა, ტანას ხეობაშიც არ დადიოდეს შენი სადარი ქალი!“...

მართამ თავი ველარ შეიკავა, თვალეზე მომდგარი ცრემლები შეიმშრალა და გერს ხელიდან წერილი გამოსტაცა, მკერდში ჩაიხუტა, კოცნა და რა კოცნა, ეფერა, რალაცას ბუტბუტებდა და უაზროდ იცინოდა... მერე წერილი დაკეცა და სკივრისკენ ისე გაიქცა, თითქოს ვინმე მისდევდა. იქ საგულდაგულოდ გადამალა, დარას გაუღიმა და ტახტზე მოწყვეტით დაეცა. ერთხანს ჩუმად იჯდა, ალიზით შელესილ კედელს მისჩერებოდა.

დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა. მზე შუბის ტარზე მოდგა თუ არა, მართამაც გამოიღარა, სკივრს თავი ახადა, დაკეცილი ტანსაცმელი ამოყარა, ქალიშვილობის დროინდელი ქვედა ბოლო და დაჩითული კოფთა ამოიღო, თავი მოიწესრიგა, ტანსაცმელი მოირგო და გახალისებული, მდინარე „ათრევისკენ“, დაღმართზე დაეშვა.

- სად მიდის ასე გამოპრანჭული, ქა?! ერთმანეთს ეკითხებოდნენ ყორეზე გადმომდგარი, გაოცებული მეზობლები

- ალბათ, ვენახში, აბა, მდინარის პირზე, არც არავის ქორწილია და არც ქელები, მაგრამ ეს კაკლის ფოთლებში

ჩანყობილი ტანსაცმლის გამომზეურება, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს?- ქირქილებდნენ სოფლის დედაკაცები და ბარჯაძიანთ კარ-მიდამოს ზვერავდნენ, იქნებ, როგორმე იქ ეპოვათ დედინაცვლის ასეთი ფერიცვალობის მიზეზი.

მართა მალე მობრუნდა ვენახიდან, ვახშმოების თადარიგი დაიჭირა, საჩქაროდ პური მოზილა, მერე ხუციაანთ თედოს გადასძახა, - ქათამი დამიკალიო, სახლი მიაღაგ-მოალაგა, ეზო დაგავა... ამასობაში ცომიც გაულვივდა და თონე გაახურა, ჩქარობდა, ბიჭების სამწყემსურიდან მოსვლამდე ყველაფერი უნდა მოესწრო. შოთ- ლავაშიც მალე ამოყარა, ვახშამი გაამზადა და სუფრის გაშლა დაიწყო.

გერები გაოცებული შეჰყურებდნენ დედინაცვლის ფუს-ფუსს და დარას ეკითხებოდნენ, რა მოუვიდაო. მიზეზი კი მხოლოდ მან იცოდა, მაგრამ ღუმდა.

ბიჭებმა საქონელი მორეკეს და დააბინავეს, მართამ ძროხები მოწველა, რძე აადულა და მანვნის დედის გარეშე („ჩუმად“) ჩაასხა ქილებში, გოგონებმა მდინარე „ათრევიდან“ წყალი გოზაურებით მოზიდეს, მაგრამ როცა შუათანა თამარამ, მეორედ მოინდომა წყაროზე წასვლა, მართამ აღარ გაუშვა:- გვეყოფა, დაიღლები, დაისვენეო, ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააოგნეს ობლები, განა ეს ის ქალი იყო, რომელმაც ლამის სული ამოხადა გოგოებს კოკების თრევიტა და წყლის ზიდვითა?!

ვახშამზე შაქარივით დაუტკბა გერებს, სულ თავის ხელით უსხამდა თიხის ჯამებში ჩიხირთმის წვნიანს, ქათმის დიდ ნაჭრებს აძალებდა ბიჭებს:- აიღეთ, თქვენი საყელოც კი ჭამსო.

ვახშმოების მერე პატარა ელეს მიხედა, დაბანა, დააძინა, ტანსაცმელი დაუკერა, გაურეცხა და გვიანობამდე ხელი არ გააჩერა...

სახლში საქმეს რა დალევს, მით უფრო, მრავალშვილიან ოჯახში...

იმ ღამეს, ბარჯაძიანთ გაბოს ღარიბულ სახლში, დიდ, გრძელ ტახტზე მშვიდად ეძინათ დედინაცვალსაც და გერებსაც.

- ეგრე შებრუნებით რო წაუკითხე მამას წერილი, არ გეშინია რო გაიგოს სიმართლე? - ეჩურჩულებოდა ლოგინში ჩათვლემილ დარას ჩახუტებული თამარა.

- არა, არ მეშინია, როგორ გაიგებს, კითხვა მაგან არ იცის და წერა, ვერავისაც ვერ წააკითხებს, დამიჯერა და შეინახა, ალბათ, მამას აჩვენებს.

- მერე, მამა არ დაგსჯის ამ ტყუილისთვის?

- არა, შენ მაგისი ნუ გეშინია, ლექსა ძია ჯერ არ წასულა ხაშურში, მივალ და ყველაფერს ავუხსნი, ასე რატომ მოვიქეცი, გამიგებს, მამას ამბავს ჩაუტანს და დაამშვიდებს. ისიც მაპატიებს და გადასთქვამს, მართას ეტყვის, - ეგრე მოგწერეო...

- ნეტა, სულ ასე კარგად მოგვექცევა? - სიტყვა შეაწყვეტინა თამარამ;

- არ ვიცი, მამა დაბრუნდება და ყველაფერი სხვანაირად იქნება, - მოეფერა პატარა დაიკოს უკვე შეღერებული და ნაადრევად დაქალიშვილებული დარა...

ვარდობის თვე იდგა ატენის ხეობაში. „დანახვისის“ მთის მაღლა, ცის გუმბათზე, მთვარე თვლემდა...

განთიადი მწუხრის ფარდებს კეცავდა...

*

ავტორისაგან:

დაფუძნებულია რეალურ ამბავზე,

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორი.

2016 წლის დეკემბერი.

სარჩევი

პოეზია

რაც მიყვარდა	11
სამშობლოსათვის, მაცალე!	12
მ ა რ ტ ი.....	13
ო, მ ა პ ა ტ ი ე... ..	14
სიყვარული შენი მდევდა	15
ნ ა ტ ე რ ფ ა ლ ი.....	16
„ძ ლ ე ვ ა ი...“ დ ი დ ი.....	16
ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი.....	17
გ ა ნ გ ა შ ი ს ზ ა რ ი.....	17
ი ს ა გ ვ ი ს ტ ო.....	18
შენი მზითა და მთვარი... ..	19
წ ვ ი მ ა რ ო მ ა რ ა... ..	20
შ ე ნ თ ვ ი ს, მ ა მ უ ლ ო!	21
კ ვ ე ტ ე რ ა.....	21
ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ი.....	22
კ ი დ ე ვ რ ა მ დ ე ნ ი?!	23
ბ ა ხ ტ რ ი ო ნ თ ა ნ.....	23
როცა ღმერთია ჩემთან.....	24
გ ა გ რ ა შ ი პ ა ტ ა რ ა ს ა ხ ლ ი ა.....	25
წ ა რ წ ე რ ა.....	26
ჩ ა დ გ ე ბ ა ზ ა მ თ რ ი ს ქ ა რ ბ უ ქ ი.....	27
მ ა რ ო მ ა ყ ა შ ვ ი ლ ს!	28
წლებია ისე ჩავლილი.....	29
ფ ე რ ი ი ც ვ ა ლ ე ს.....	30
ს ა ი თ გ ა რ ბ ი ა ნ?!	31
რა ხანია დაყვავილდა.....	32

ს ა მ თ ა ვ ი ს ი.....	33
შ ე ნ ზ ე ფ ი ქ რ ე ბ ი თ	34
სამშობლოვ, ჩემო!.....	35
ჩემამდე აღარ მოდიან.....	36
დ ა ნ ა ხ ვ ი ს ი	37
მ ო ლ ა ლ უ რ ი	38
იმ ერთი ლექსით	39
...ნ ა ვ ა თ ა ვ ი ს ი თ !	40
ხ ე ლ ე ბ ი	41
მ გ ლ ე ბ ი ს ა რ ე ნ ა	42
მ ც ხ ე თ ა შ ი	43
სანამ დროა!.....	44
და ის წარსულიც.....	45
ცისკრის ნათელთან.....	46
რ კ ო ნ შ ი	47
ქართული გენით... ..	48
დ ე დ ა ს	49
ღრუბლები ქსილისზე	50
და სურვილებსაც.....	51
თეძამზე, ფონით... ..	52
გ ა ნ მ ე ო რ დ ე ბ ა	53
„ბ ა რ ხ ა ტ ი ს კ ა ბ ი თ...“	53
იმ გ ზ ა ზ ე	54
შ ე ნ ს ა ხ ო ე ბ შ ი	55
ჩ ი ტ ე ბ ი	56
ჯ ა ვ რ ი	57
მაინც, არ იშლი?!	58
მიქცევის ჟამი	59
უ ბ რ ა დ მ ი დ ი ა ნ	60
დ რ ი ს ი ს ც ი ხ ე ს თ ა ნ	61

მე ვინ გამითბობს ?!... ..	62
დ ე კ ე მ ბ ე რ ი	63
სადაც დამტოვე	63
ისევ შენი იმედით... ..	64
განგებით მერგო.....	65
ის ატკრეცილი დღეები	66
ვარიაციები მათხოვრობის თემაზე.....	67
რ ი თ ი ვ უ წ ა მ ლ ო თ ? !	68
ხ ე (ვ) ხ მ ე ლ ა	69
ი ს ს ი ჭ ა ბ უ კ ე	70
ნ ა ძ ვ ე ბ ი	70
ნუ დაგვტოვო.....	71
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს	72
ს ე რ ა ფ ი ტ ი	73
ს ა კ უ რ თ ხ ი ს ი	74
ლ ა ქ ა	75
ა მ ო რ ძ ა ლ ე ბ ი	76
მ ა რ ა დ ი ს ო ბ ი ს ბ ი ლ ი კ ზ ე	77
ო ც ნ ე ბ ი ს ს ა ხ ლ ი	78
ზ ე დ ა ზ ე ნ ზ ე	79
ე რ თ ა ნ მ ი ნ დ ა შ ი	80
ტკივილიანი მოტივი.....	81
გ ა რ დ ა ტ ე ნ ი	82
ნ ვ ი მ ა	83
რ ა მ ო გ ა ქ ე ს ? !	83
ა მ შ უ ა ლ ა მ ე ს	84
ომგადახდილი მამის ს უ რ ა თ ზ ე	85
მიტევების გზებზე.....	86
გ ო გ ი დ ო ლ ი ძ ე ს	87
ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს მ ე ფ ე	88

ო მ ა რ ხ ა ი ა მ ს !.....	89
ჩ ე მ ი ქ ა რ თ ლ ი.....	90
გ ე რ გ ე თ შ ი.....	91
რ ე ქ ვ ი ე მ ი თ.....	92
წ ა ვ ა ლ.....	93
პ რ ო ვ ი ზ ო რ ი.....	94
ს ა ტ ა ნ ი ს წ ა წ ა ლ ი.....	95
გ უ შ ი ნ ი ყ ო.....	96
და ს ტ ა ქ რ ი ს ფ ა ს ი.....	97
მ ა რ ტ ი ს პ ი რ ს.....	98
პ ა ს უ ხ ი... ა რ ს ა დ!.....	98
თ ო ვ ლ ი ს ფ უ ნ ჯ ი თ.....	99
მ ი რ ა ჟ ე ბ ი თ.....	100
„ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი“.....	101
დ უ მ ი ლ ი ს ც რ ე მ ლ თ ა ნ.....	102
ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ს ე ზ ო ნ ი.....	103
ი ვ ლ ი ს ი.....	104
ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე შ ი.....	105
თ ე თ რ ი ზ ა მ თ ა რ ი.....	106
გ ა რ ე თ მ ზ ე ა და დ ა რ ი ა!.....	107
მ ი მ ნ უ ხ რ ი ს და ლ მ ა რ თ ზ ე.....	108
ხ ი ლ ვ ე ბ შ ი.....	109
რ ა ც უ ნ და მ ო ხ დ ე ს.....	109
და გ ვ ი ა ნ ე ბ უ ლ ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი.....	110
ს ა ი თ გ ა რ ბ ი ა ნ?.....	111
მ ა მ უ ლ ი ს ლ ო ც ვ ა დ.....	111
დ რ ო მ ი დ ი ს.....	112
ბ ე წ ვ ი ს ბ ი ლ ი კ ი თ!.....	113
ქ ა რ თ უ ლ ი მ ზ ი თ.....	113
რ ა დ ვ ე რ შ ე ვ ნ ი შ ნ ე?... ..	114

ი ს ბ ი ლ ი კ ე ბ ი.....	115
რ ა ე შ ვ ე ლ ე ბ ა თ?!.....	116
გ ა ნ ა კ ი დ ე ვ შ ე გ ე ყ რ ე ბ ი?!.....	117
ს ხ ვ ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ე ბ ს... ..	118
ვე რ და გ პ ი რ დ ე ბ ი.....	119
რო გ ო რ ც მ ზ ი ს ს ხ ი ვ ი.....	119
წ ვ ი მ ი ს პ ე ი ზ ა ჟ ი.....	120
დ რ ო ბ ა რ ბ ა ც ე ბ ს... ..	121
ნ ა ც რ ი ს ფ ე რ წ ვ ი მ ა დ... ..	122
ქ რ ი ს, ფ ი ქ რ ი ს ქ ა რ ი... ..	123
მ ი მ ნ უ ხ რ ი ს ჩ რ დ ი ლ შ ი.....	124
გ ზ ა და გ ზ ა ვ ტ ო ვ ე ბ.....	125
უ შ ე ნ ო დ.....	126
ს ა ხ ლ ი.....	127
ს ი ზ მ რ ი ს თ ა რ ო ზ ე.....	128
ზ ა მ თ რ ი ს ბ ა ლ ე ბ შ ი.....	128
ა ს ე, უ ბ რ ა ლ ო დ... ..	129
*** და ე, და მ ნ ა ც რ ო ს.....	129
უ ხ ი ლ ა ვ ი ს ი მ ი თ.....	130

ძკედი რკეუდიდან

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.....	133
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო და ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა ვ!.....	133
მ ო ხ ვ ა ლ.....	134
*** ის ე ც ა ხ ც ა ხ ე ბ და ლ ა მ ი ს უ ბ ი ნ ო ბ ა.....	134
მ ზ ე ო, მ ა რ ი ა მ!.....	135
და უ ლ ო ც ე თ.....	136
უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე შ ი.....	137
მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო ბ და მ ც ხ ე თ ა.....	138

ს ა მ შ ო ბ ლ ო.....	140
ჩემი მეგზური.....	140
შენ მეგულები.....	141
მ გ ზ ა ვ რ ი.....	142
ნინოს ჯვართ!.....	143
ძმობის ტაძარში.....	144
ჩვენ რომ უკვდავი გვეგონა.....	145
კითხვა - უპასუხოდ.....	146
წაუკითხეთ პატარებს	147
ფ ა ლ ა ვ ა ნ ი.....	147
მ ო ნ ა დ ი რ ე	148

დექსები ინგლისური თარგმანით

*** მივჩერებივარ დაბინდულ სარკმელს	150
*** I am staring at the dim, misty window	151
*** სად დგანან, ნეტავ, ზამთრის ჯარები	152
*** If only I knew where winter troops guard.....	153
ვინ დამიქარგავს?!	154
Who will embroider?!	155
გ ზ ა ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ზ ე.....	156
On the crossroads	157
*** ვარ შეხიზნული ფიქრს და ჯავარში	158
*** I'm obsessed with thoughts and worries.....	159
*** ვილაც თავისთვის მღეროდა... წუხელ... ..	160
*** Someone was singing last night	161
*** თავისთვის... წყნარად, შრილებს წვიმა.....	162
*** The rain is rustling itself quietly	163
ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი.....	164
ctober	165

ბიჭვინთის ნოსტალგია	166
ostalgia of Bichvintha	167
ც ვ რ ი ა ნ ხ ე ლ ე ბ ი თ... ..	168
*** The night coloured the dark surroundings	169
დ ა ვ ლ ო ც უ ლ ო ბ დ ი თ!.....	170
We Were Praying!	171
კ ლ დ ე კ ა რ ი.....	172
Kldekari	173
ბ რ ა ლ ი.....	174
Fault.....	175
მ ო მ ი ს ა კ ლ ი ს ე ბ ს... ..	176
It will miss me... ..	177
მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა	178
Missing.....	179
იქნება ქარებს სტკიოდათ რამე.....	180
Maybe the winds, too, were in pain	181
ი ს მ ი რ ა ჟ ე ბ ი	182
Those Mirages.....	183
*** მე ფიქრი მტკივა, როგორც არასდროს.....	184
*** My thoughts disturb me as never in the past	185
*** ქარი და წვიმა მიწნანავს დარდებს	186
*** The wind and the rain ravel my mind	187
დ ა თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი... ..	188
And February	189
ჯ ა ნ ლ ი.....	190
Dense Haze	191
დ გ ა ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	192
Spring Has Arrived!.....	193
ი მ ე დ ი	194
Hope	195

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	196
S P R I N G	197
ს უ რ ვ ი ლ ი	198
Wish.....	199
ვ ი თ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	200
Like Spring.....	201
ტ ა ძ რ ი ს გ ზ ა დ	202
The Way to the Temple.....	203
ს ა ნ ა მ გ ე ძ ა ხ ი ა ნ	204
Come In Time	205
ნ უ შ ფ ო თ ა ვ !	206
Do not be alarmed!	207
გ ა გ რ ა შ ი	208
In Gagra	209
ჯ ვ ა რ ც მ ა	210
Crucifixion	211
თ ო ლ ი ა	212
Seagull	213
მ ო ლ ო დ ი ნ ი	214
Hope to expect.....	214

ციყდიდან: მარადისობის ბინადარნი

გ ზ ა პ ა ტ ა რ ძ ე უ ლ ზ ე გ ა დ ი ს	217
მ ც ხ ე თ ა შ ი , ა რ ა გ ვ თ ა ნ	220
გ ა ნ უ მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ა ნ ა	234
ი ს მ ზ ი ა ნ ი შ ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი	244
და რ ა ქ ა ლ ი . ? !	249

დოკუმენტური პროზა

ხ ა ნ უ ლ ე ბ ი ს ნ ა დ ი მ ი	259
მ ა რ თ ა ს გ ე რ ე ბ ი	270

